9'93

კავკასიონი

KAVKASIONI

ყოველკვირეული გაზეთი

17 ნოემბერი * ფასი 480 კუპონი

Coca-Cola

ეროვნული ბიბლიოთეკა



PARA BELLUM
ემზადე ომისათვის

როდესაც 14 სექტემბერს საღამოს ედუარდ შევარდნაძემ პარლამენტის სხდომაზე მიღებული ნაჩქარევი, შეიძლება ითქვას, ჭარბადემოციური გადაწყვეტილება შეცვალა და პარლამენტში მტკიცე პირობებით დაბრუნდა, ნათელი გახდა, რომ საქართველოში პოლიტიკური ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. ამ მომენტში როგორც სახელმწიფოს მეთაური, ისე რეალურად მოაზროვნე პოლიტიკოსები ხვდებოდნენ, რომ ბრძოლის გაგრძელება მხოლოდ თეორიული არგუმენტებით აღარ მოხერხდებოდა — სამოქალაქო ომი გარდაუვალი იყო. აქედან მოყოლებული, მოვლენები ძალზე სწრაფად და უკიდურესად მწვავედ განვითარდა. ექსპრეზიდენტის მომხრეებმა წამოიწყეს სამხედრო მოქმედებები დასავლეთ საქართველოში, თითქმის სინქრონულად განახლდა ომი აფხაზეთში, საქართველოში დაბრუნდა ზ.გამსახურდია. შედეგად დაეცა სოხუმი და საქართველოს სამთავრობო ჯარებმა დატოვეს აფხაზეთი, ეროვნული უბედურების ზონად იქცა დალის ხეობა და სვანეთის მთები, საქართველომ ოფიციალურად ითხოვა -ში წევრიანება, დამარცხებული ზ.გამსახურდია, თავის მომხრეებთან ერთად, კიდევ ერთხელ გაიქცა და თავი ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიას შეაფარა. და ეს ყველაფერი სულ რაღაც ორი თვის განმავლობაში მოხდა, რაც მოვლენათა წარმოუდგენელი კასკადია თვით ისეთი არასტაბილური ქვეყნისათვისაც კი, როგორიც საქართველოა. სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა ყველაფერზე რეაგირება ვერ მოასწრეს და, ცოტა არ იყოს, გაურკვეველ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

ახლა, როცა ექსპრეზიდენტის მომხრეთა ავანტიურა მარცხით დასრულდა, აღდგა სახელმწიფოს კონტროლი დასავლეთ საქართველოს რეგიონებზე და სიტუაცია შეტ-ნაკლებად მართვადი შეიქნა, უნდა ველოდოთ პოლიტიკურ წრეებში მოვლენათა გადაფასებას. უფრო მეტიც — სავარაუდოა საქართველოში პოლიტიკურ ძალთა ახალი გადანანილება. ზემოთქმულის აშკარა დადასტურებაა, უპირველეს ყოვლისა, რადიკალური საპარლამენტო ოპოზიციის გაერთიანება. კონსერვატულ-მონარქისტული პარტიის შტაბ-ბინაში გამართულ თავყრილობაზე, იმ პოლიტიკურმა ძალებმა, რომლებიც პარლამენტში რადიკალურად ეწინააღმდეგებოდნენ სახელმწიფოს მეთაურის კურსს, ერთიანი ფრონტი ჩამოაყალიბეს. ჯერჯერობით უცნობია ის საერთოპოლიტიკური პრინციპები, რითაც ეს ახალი ბლოკი დაუპირისპირდება საპარლემენტო უმრავლსობასა და თავად ედუარდ შევარდნაძის კურსს. მითუმეტეს საინტერესოა ამ პირნციპების გაცნობა, რადგან ბლოკში გაერთიანებულ ორგანიზაციებში (მაგალითად ილია ჭავჭავაძის საზოგადოება) არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა მიმდინარე პროცესების მიმართ.

ასეთ ვითარებაში მოულოდნელი არ ყოფილა სახელმწიფოს მეთაურის განცხადება (15 ნოემბრის რადიოინტერვიუში) საკუთარი პარტიის შექმნის შესახებ. სავარაუდოა, რომ „შევარდნაძის პარტიაში" გაერთიანდებიან სამთავრობო სტრუქტურის წარმომადგენლები, პოლიტიზირებული ინტელიგენციის გარკვეული ნაწილი, მაჟორიტარ დეპუტატთა უმრავლესობა, აგრეთვე რიგითი მოქალაქეები (განსაკუთრებით თბილისელები), რომლებიც უყოყმანოდ ენდობიან სახელმწიფოს მეთაურს. ამდენად, ეს იქნება საკმაოდ მრავალრიცხოვანი პარტია, თუმცა მის ძალასა და პოლიტიკურ მომავალს მაინც ედუარდ შევარდნაძის ავტორიტეტი და გამოცდილება განსაზღვრავს.

„შევარდნაძის პარტიასთან" ყველაზე დაახლოებულ ორგანიზაციად უნდა იქცეს „მნვანეთა პარტია". ასეთი ვარაუდის საფუძველს იძლევა ამ პარტიის წევრთა და, განსაკუთრებით, მისი ლიდერის დამოკიდებულება უკანასკნელ ხანს მომხდარ მოვლენათა მიმართ (განსაკუთრებით გამოიკვეთა ეს დამოკიდებულება საქართველოს CHГ-ში შესვლასთან დაკავშირებით).

ალბათ, უცვლელი დარჩება „ლიბერალებისა" და „რესპუბლიკელების" პოლიტიკური პლატფორმა. ამ პარტიებს საკმაოდ სოლიდური ინტელექტუალური პოტენციალი გააჩნიათ. მათი ცენტრისტული კრედო სამომავლოდაც არ უნდა შეიცვალოს, მაგრამ ხელისუფლების ცალკეული ნაბიჯებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება ამ ორგანიზაციებისათვის კვლავაც დამახასიათებელი იქნება.

მიუხედავად იმისა, რომ ერთგვარად იმპულსური და წინააღმდეგობრივია „საქართველოს სახალხო ფრონტის" პოლიტიკური მანევრები, იგი უეჭველად სერიოზული ძალაა, რადგან ეს არის, შეიძლება ითქვას, აშკარად გამოკვეთილი პატრიოტული ორგანიზაცია. უნდა ვიფიქროთ, რომ უახლოეს მომავალში საბოლოოდ ჩამოყალიბდება და განისაზღვრება „სახალხო ფრონტის" პოლიტიკური მიმართულება.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რომელიც პოლიტიკური დოქტრინით, მოღვაწეობის მასშტაბით, ჩამოყალიბებული სტრუქტურითა და მყარი პარტიული დასციპლინით ყველაზე სერიოზულ ორგანიზაციად მივიჩნიოთ. გარდა ამისა, ჯერჯერობით ეს არის ერთადერთი პარტია, რომელიც აშკარად და არაორაზროვნად აცხადებს, რომ ხელისუფლებაში მოსვლისათვის ემზადება. საზოგადოებისათვის კარგად არის ცნობილი, რომ უკანასკნელ პერიოდამდე სახელმწიფოს მეთაურისათვის სწორედ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია წარმოადგენდა მთავარ პოლიტიკურ დასაყრდენს. ამ ორგანიზაციამ შეძლო მძლავრი საპარლამენტო ფრაქციის ჩამოყალიბება და მინისტრთა კაბინეტში საკმაოდ მაღალი პოსტებიც მიიღო, მაგრამ ერთბაშად ოპოზიციაში აღმოჩნდა. „განხეთქილების" მიზეზები კარგადაა ცნობილი, მაგრამ ერთი რამ აუცილებლად უნდა აღინიშნოს — პოლიტიკური კამათი არ გასცილებია ეთიკის ფარგლებს. უფრო მეტიც, მიუხედავად კონფროტაციისა, აღინიშნა, რომ ედუარდ შევარდნაძეს ალტერნატივა არა ჰყავს და ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნა ყოვლად დაუშვებელია, თუმცა სახელმწიფო კურსთან უთანხმოების საბაბით, პარტიის წევრებმა დატოვეს სამთავრობო პოსტები. ამავე დროს, ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ მკვეთრი პოზიცია დაიკავა დასავლეთ საქართველოში მიმდინარე მოვლენების მიმართ. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე უნდა ვიფიქროთ, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ოპოზიციაში გადაინაცვლებს, მაგრამ ეს იქნება ერთობ სერიოზული და, ამავე დროს, კონსტრუქციული ოპონენტი.

აი, ასეთად ისახება პოლიტიკური სპექტრი დღევანდელ საქართველოში. გამოთქმული ვარაუდები გარკვეულ ანალიზსა და შეხედულებებს ემყარება, რასაც, ნებსით თუ უნებლიედ, სუბიექტური ფაქტორიც ემატება. მოვლენათა სწრაფი, წინააღმდეგობრივი განვითარება პრაქტიკულად გამორიცხავს ზუსტი პროგნოზის შესაძლებლობას, მაგრამ მსჯელობა საქართველოში პოლიტიკურ ძალთა განლაგებაზე აუცილებელია, რადგან სწორედ პოლიტიკური ბუნდოვანება, მავან „მოღვანეთა" ორმაგ-სამმაგი თამაშია მიზეზი ჩვენს თავს დატრიალებული ბევრი (თუ ყველა არა) უბედურებისა.

და ბოლოს, კატეგორიულად უნდა ითქვას, რომ სანამ აფხაზეთი არ დაუბრუნდება საქართველოს, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილიზებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ამიტომ ყველა პოლიტიკური ორგანიზაციის ძალისხმევა ახლა ამ პრობლემის გადაწყვეტისათვის უნდა იქნეს მობილიზებული. ალბათ, გარდაუვალი იქნება სამხედრო ძალის გამოყენება. სამამულო ომს კი აუცილებლად სჭირდება პოლიტიკური და იდეოლოგიური უზრუნველყოფა.

პაატა ვეშაპიძე

კავკასიონი

დამფუძნებლები: შეზღუდულ პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჯოკა-კოლა კავკასიონი" და კერძო პირები: გიორგი ალიბეგაშვილი, ვასილ მაღლაფერიძე, მამუკა ფაჩუაშვილი.

სარედაქციო კოლეგია

პასუხისმგებელი მდივანი ბონდო მჟინარაშვილი

გამოდის ოთხშაბათობით.

•

მასალების გამოყენება რედაქციასთან შეთანხმების გარეშე განიხილება, როგორც საავტორო უფლებების შელახვა. გაზეთი არ გამოხატავს არც ერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოყვანილი ფაქტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. ოთხ ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის მასალა არ გამოქვეყნდება. წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.

•

მისამართი: თბილისი, პეტრიაშვილის ქ. № 7. ტ. 29-37-75.

•

იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ზომარაულის 29.

რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში, რეგისტრაციის № 1122.

ქრონიკა. ინფორმაცია

იბერია

რომი

დსს „იბერია" ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პრეს-ცენტრზე დაყრდნობით იტყობინება, რომ 5-14 ნოემბერს საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ პარტიის თავმჯდომარე გიორგი ჭანტურია და პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი, საქართველოს პარლამენტარი ირინე სარიშვილი, ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა იტალიაში, ქალაქ რომში. დელეგაცია რომში შეხვდა ვატიკანის სახელმწიფოს მეთაურს, რომის პაპ იოანე-პავლე II-ს.

ეროვნულ-დემოკრატები აგრეთვე შეხვდნენ კარდინალ სილვერსტრინის, მონსინიორ კასტელის და ვატიკანის სხვა მნიშვნელოვან მოღვაწეებს.

უაღრესად მნიშვნელოვანი შეხვედრები იყო იტალიის ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის შტაბ-ბინაში ამავე პარტიის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე დი კამერინასთან და იტალიელი ქრისტიან-დემოკრატების ერთ-ერთ ლიდერ დეპუტატ მარინისთან.

იტალიის პარლამენტში უცხოეთის კომისიის თავმჯდომარემ კარილიამ და კომისიის სხვა წევრებმა თბილი მიღება მოუწყვეს ქართული დელეგაციის წევრებს. ირინე სარიშვილი შეხვდა მაფიასა და ტერორიზმთან მებრძოლი კომისიების წევრებს და ანტიმაფიის კომისიის თავმჯდომარეს სენატორ ვიიოლატეს. სენატში იყო შეხვედრები სენატორ ბერნასოლასთან და სენატის ვიცე-პრეზიდენტ ჯორჯო დი ჯუზეპესთან, რომელმაც გიორგი ჭანტურიას სენატის საპატიო მედალი გადასცა.

12 ნოემბერს ირინე სარიშვილი გამოვიდა იტალის ტელევიზიის პირველი არხით (რაიუნო), პირდაპირი ეთერით.

ქართული დელეგაცია მიიღო საგარეო საქმეთა სამინისტრომ და ამ სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის თავმჯდომარემ ბატონმა ამარიმ. ეროვნულ-დემოკრატები შეხვდნენ: ევროპარლამენტის დეპუტატ მიქელინის, „ლეგა-ნორდის" ლიდერებს სენატორებს პერინისა და ბოსკოს, და სხვა მნიშვნელოვან პირებს.

იტალიის პოლიტიკურმა წრეებმა საქართველოს ჰუმანიტარული დახმარების გაზრდასთან ერთად მნიშვნელოვანი პოლიტიკური დახმარება აღუთქვეს.

შემდეგ გიორგი ჭანტურია და ირინე სარიშვილი გაემგზავრნენ სტრასბურგში, სადაც ისინი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრებთან მამუკა გიორგაძესთან, ვანო ხუხუნაიშვილთან და გიორგი გოგნიაშვილთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ ევროპარლამენტის სესიის მუშაობაში, რომელიც გაიმართება ა.წ. 15-19 ნოემბერს.

მოსკოვი

როგორც სააგენტო „იბერიასათვის" გახდა ცნობილი, რუსეთ-საქართველოს სამხედრო ხელშეკრულების ერთ-ერთი პუნქტი, რომელიც ხელმოწერილ იქნა მოსკოვში გენერალური შტაბების უფროსების ცქიტიშვილისა და კოლესნიკოვის მიერ, ითვალისწინებს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის რეალური საფრთხის შექმნის შემთხვევაში ორი ქვეყნის უმაღლეს ხელისუფალთა გადაწყვეტილებით შეიძლება საბრძოლო მოქმედებებში ჩაებას საქართველოში დისლოცირებული რუსეთის ჯარი.

თბილისი

სააგენტო „იბერიასთვის" გახდა ცნობილი, რომ ამიერკავკასიაში დისლოცირებული რუსეთის ჯარების დაჯგუფებების შტაბის უფროსმა ბელჩენკომ გამოთქვა აზრი, რომ შესაძლებელია გაიმართოს რუსეთისა და საქართველოს შეიარაღებული ძალების ერთობლივი მანევრები საქართველოს ტერიტორიაზე. თუმცა მისივე თქმით, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ჯერჯერობით თავს იკავებს ამ წინადადების მიღებისაგან.

მე მხოლოდ საქართველოსი კი არა, შევარდნაძის საქართველოს ელჩი ვარ

გვესაუბრება გერმანიაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი — ბატონი კოტე გაბაშვილი

— ბატონო კოტე, გვინდა მოგილოცოთ საერთაშორისო დიპლომატიურ ასპარეზზე გასვლა. თქვენ წილად გხვდათ, გამხდარიყავით გერმანიაში საქართველოს პირველი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი. როგორ გესახებათ ფქვენი მისია ჩვენს ქვეყანაში შექმნილი ამ ურთულესი სოციალურ-პოლიტიკური ვითარების ფონზე და რა განცდა გეუფლებათ გამგზავრების წინ?

— ის მისია, რომელიც მე დამეკისრა, ეფიქრობ, მართლაც დიდი ისტორიული ვალდებულებაა. მომიწევს დიპლომატიური სამსახური იმ ქვეყანაში, რომელიც სულიერად, კულტურულად და ინტელექტუალურად ერთ-ერთი ყველაზე მახლობელია საქართველოსთვის. ეს რომ ცარიელი სიტყვები არ იყოს, გაგახსენებთ, რომ გერმანიაში მოხდა იმ ინტელექტუალური სამეცნიერო და პროფესიული კადრების აღზრდა, რომლებიც მოგვიანებით ქართული უნივერსიტეტის პირველ დამაარსებლებად მოგვევლინენ. გარდა ამისა, საქართველოსა და გერმანიას სულიერი და იდეალისტური, ფილოსოფიური იდეისადმი მსგავსი დამოკიდებულება გააჩნიათ. ეს ერთიანობა ამ ორ ქვეყანას შორის, სამწუხაროდ, რუსეთ-გერმანიის ურთიერთობის გამო, წლების მანძილზე შეწყვეტილი გახლდათ. ჩემი აზრით, დასავლური ორიენტაცია, რომელიც ასე მისაღებია ჩემთვის, სწორედ გერმანიასთან ურთიერთობით უნდა განხორციელდეს. პოლიტიკური თვალსაზრისით, გერმანიისთვის საქართველო დღეს ის ქვეყანაა, რომლისთვისაც მას დახმარების გაწევა შეუძლია და ერთგვარად ევალება კიდეც, თუნდაც იმისათვის, რომ მადლობა გადაუხადოს ქართველ პოლიტიკოსს, რომელმაც გერმანიას ერთიანობა დაუბრუნა. ნიშანდობლივია, რომ მე ახლა მარტო საქართველოსი კი არა, შევარდნაძის საქართველოს ელჩი ვარ, რაც გერმანიის პოლიტიკურ წრეებს ზედმიწევნით კარგად აქვთ შეგნებული. ქართველი პოლიტიკოსისათვის ამაზე უფრო მომგებიანი ვითარება გერმანიაში დიპლომატიური სამსახურის ასაწყობად და ურთიერთობათა დასამყარებლად ძნელად წარმოსადგენია.

ბუნებრივია, სირთულეებიც არსებობს. საქართველოში შექმნილ გარემოებათა გამო, მისი ტერიტორიის შეფარული და ნაწილობრივი ანექსიის პირობებში, ჩვენი ქვეყნის დასავლეთთან ურთიერთობა მორალური და ჰუმანიტარული დახმარებით შემოიფარგლებოდა და მეტი არც შეიძლებოდა ყოფილიყო. თუკი საქართველოს სურს თავისი დამოუკიდებლობა ბოლომდე განახორციელოს, გახდეს ჩვეულებრივი დასავლური ტიპის ქვეყანა და ყველანაირი გაელენის სფეროდან გამოვიდეს, შინაგანად მზად უნდა იყოს ამისათვის. შესაძლებლობათა ასპარეზი საამისოდ საკმაოდ დიდია, ოღონდაც უნდა გავითვალისწინოთ, რომ არც ერთი დიდი ქვეყნის, მათ შორის გერმანიის რეალური პოლიტიკა არაფერს მოუტანს საქართველოს, თუკი ჩვენს ქვეყანას არ ექნა მყარი საფუძველი ეკონომიური ურთიერთობების, კაპიტალდაბანდებების, შესაბამისი განათლებისა და საკუთარი შინაგანი მზადყოფნის თვალსაზრისით ევროპულ ცივილიზებულ სახელმწიფოთა წრეში ჩაბმისათვის. საერთოდ კი, გერმანიასთან დიპლომატიური ურთიერთობების დასამყარებლად საუკეთესო პირობების კონგლომერატია და ჩემი განწყობაც შესაბამისია.

გერმანიაში წასვლის წინ ერთი, უკვე ჩემი, პირადი საგვარეულო სურვილი გამაჩნია. მე გაბაშვილი ვარ გვარად და მსურს, რაღაცნაირად გამოვისყიდო ჩემი წინაპრის — ზაქარია გაბაშვილის შეცდომა, რომელიც ერთ დროს სულხან-საბას დაუპირისპირდა მისი დასავლური ორიენტაციისათვის. მე პირადად ყოველთვის ეამართლებდი სულხან-საბას საქართველოსთვის მკვეთრი ევროპული ორიენტაციის მოსურნეობის გამო.

— თქვენ ქალაქ თბილისს მერი ბრძანდებოდით. იქნებ გვითხრათ, როგორ მოხდა, რომ მოულოდნელად მოგიწოთ ამ პოსტის დატოვება და დიპლომატიური მისია დაგეკისრათ?

— დიპლომატიური მისიის შესრულება, რა თქმა უნდა, ჩემი გადაწყვეტილება არ ყოფილა. უბრალოდ მოხდა ისე, რომ ქალაქის მერობა გარკვეულ ეტაპზე აღარ შემეძლო. ვინმეს შესაძლოა ისეთი შთაბეჭდილება შეექმნას, თითქოს გარკვეული წინააღმდეგობა გამიჩნდა სახელმწიფოს მეთაურთან და იმ პოლიტიკასთან, რომლის გატარებაც მას ბოლო დროს მოუხდა (СНГ-ში შესვლას ვგულისხმობ). პირიქით, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ეს იყო ერთადერთი მართებული ნაბიჯი, რომელიც სახელმწიფოს მეთაურმა გადადგა, მიუხედავად იმისა, რომ ეს არც მისი სურვილი იყო და არც პოლიტიკური ორიენტაცია. ეს იყო გარდაუვალი აუცილებლობა, რაც აფხაზეთში შექმნილმა მდგომარობამ გამოიწვია, მაგრამ მე მაინც დასავლური ორიენტაციის კაცი ვარ. ქალაქის მერის პოსტზე კი, უამრავი სამეურნეო საკითხის გადაჭრა მომიწევდა, რომელთაც რუსეთთან უშუალო ურთიერობის გარეშე ვერაფრით მოვაგვარებდი. ეს ჩემთვის საგარეო საქმეთა სამინისტროს, რესპუბლიკის მთავრობასა და ქვეყნის მეთაურს. ამაზე მე უკვე ვმუშაობ. გარკვეული კონტაქტები უკვე დავამყარე. აქაც და იქაც არიან ადამიანები, რომლებსაც სურთ მხარი დამიჭირონ, თუნდაც იგივე გერმანიის საელჩოს შეუძლია საქართველოს ბიუჯეტში გადმოსარიცხი თანხა ქართული საელჩოს შენახვას მოახმაროს. აუცილებელია, ამას სხვა თანხებიც მიემატოს, შესაძლოა არასტანდარტული — შეცენატური გზაც გამართლებული იყოს, რადგან სუსტი და ახლადფეხადგმული ქვეყანა ვართ, რომელიც პირველად აგებს თავის დიპლომატიურ ურთიერთობებს. ახლა ამ საქმის მოგვარებაა ჩემთვის მთავარი, შემდეგ კი საელჩოს ჩამოყალიბება.

— დაზუსტებულია თუ არა გერმანიაში თქვენი გამგზავრების თარიღი და იახლებთ თუ არა თან ოჯახის წევრებს?

— გერმანიაში ჩემი გამგზავრების თარიღი ჯერ დაზუსტებული არ არის. ჯერ ის თანხები უნდა დაზუსტდეს, რომელთა საშუალებითაც მე ოპერირება უნდა დავიწყო. საჭიროა ელემენტარული ფინანსური საშუალებები გაჩნდეს შენობის თუ ტექნიკური და მატერიალური უზრუნველყოფის პირობათა შესაქმნელად. როდესაც ამის გარანტიებს მივიღებ, მომიწევს ერთი-ორი კვირით გამგზავრება ბონის მოსაძებნად და დასაქირავებლად, «აპარატურის» და მოსაქანების შესაძენად, ყოველივე იმისა მოსაგვარებლად, რაც საელჩოსათვის აუცილებელია.

ოჯახის წევრების წაყვანა ჯერ საერთოდ არა მაქვს გეგმაში. საამისოდ, ცხადია, სპეციალურ თანხას არავინ გამოყოფს. თუკი ეს მოხდა, მოხდება ჩემივე ხელფასის ხარჯზე, რაც ჯერ აგრეთვე გაურკვეველია. ასე რომ, ცხოვრება გვიჩვენებს...

ისე კი, კარგი იქნება ყოველივე საშობაო დღესასწაულამდე მოგვარდეს. ევროპაში ამ უდიდესი დღესასწაულის დღეებში უამრავი დაპატიჟება და მიწვევა ხდება, გაცილებით ადვილია კონტაქტების დამყარება და ურთიერთობების გაბმა. ასეთ დროს ერთ საათში შეიძლება ისეთი საკითხი მოგვარდეს, რასაც სხვა შემთხვევაში ერთი კვირა დასჭირდებოდა.

ახლა ჩემი ელჩად დანიშვნის წერილობით თანხმობას ველოდები გერმანიიდან, სიტყვიერი უკვე მიღებული გვაქვს. 8 ნოემბერს ტელეფონით შევიტყვე, რომ გერმანიიდან მოსული ასეთი თანხმობა სულ მალე იქნება, უბრალოდ დოკუმენტის ოფიციალურად მომზადებაა საჭირო. ასე რომ, ზოგიერთი ჩვენი თანამოქალაქის მიერ გავრცელებული ჭორი, «ომ ასეთი დასტური ვერ მივიღე, სიმართლეს არ შეესაბამება.

— ბატონო კოტე, თქვენ ბოლომდე იზარებდით საქართველოს მიერ არჩეულ ბოლოდროინდელ პოლიტიკურ კურსს და მისი აღმასრულებელიც იყავით. გაგრძელდება თუ არა ასეთი მიმართულება თქვენი ელჩობისას, თუ რაიმე სიურპრზებს უნდა მოველოდეთ?

— საერთოდ მკაცრად წინააღმდეგი ვარ პოლიტიკაში სიურპრიზებისა. თუ სიურპრიზების ხასიათზე ხარ, გვერდზე უნდა გადგე და არავინ შეაწუხო. ახლა ამის დრო არ არის. სიურპრიზებს პოლიტიკაში სკანდალის მეტი არაფერი მოაქვს, სკანდალები კი მდაბალი ემოციების გამოვლენის საწინდარია. ჩემგან სიურპრიზად მხოლოდ ის შეიძლება ჩაითვალოს, რომ ჩემთვის შინაგანად მიუღებელი პოლიტიკური კურსის განვითარების შემთხვევაში, განზე გადგომას ვამჯობინებ.

— შეგიძლიათ თუ არა, რომ დამაჯერებლად გვესაუბროთ საქართველოს СНГ-ში შესვლის დადებით და უარყოფით მხარეებზე?

— უარყოფითი მხარე ორგვარია. პირველ რიგში მკვეთრი ფსიქოლოგიური განცდა იმისა, რომ ეს არის კიდევ ერთხელ რუსეთის გავლენის ქვეშ ერთგვარი მიბრუნება. СНГ-ში რუსეთი უძლიერესი ქვეყანაა და ბუნებრივია, რომ ეს ასე აღიქმება. თვითონ СНГ არ არის იმდენად ტრაგიკული, რამდენადაც ეს ფსიქოლოგიური ფაქტორი. არის კიდევ ერთი უარყოფითი მომენტი, თვით რუსეთში შექმნილი არასტაბილური ეკონომიური ვითარება. ცხადია -ს ქვეყნების ეკონომიურ მდგომარეობას ჩვენს ქვეყანაში არსებულ კრიზისს ვერც შევადარებთ, მაგრამ ცუდი იქნება თუკი საგეგმო ეკონომიკიდან საბაზროზე გადასვლის გამო СНГ-ს ქვეყნების ეკონომიკის არასახარბიელო მდგომარეობა კვლავინდებური ცენტრალიზების ხასიათს მიიღებს (მაინც არა მგონია, რომ ეს ისევ მეტროპოლიისა და პროვინციების ურთიერთობას გავდეს). მეორეს მხრივ, ცნობილია, რომ ჩვენი დაბალხარისხოვანი პროდუქციით ევროპულ ბაზარზე ვერ გავალთ, ხოლო СНГ-ში კიდევ არსებობს იმის შანსი, რომ ჩვენი ეკონომიური დონე ოდნავ ავამაღლოთ და ვეცადოთ ევროპული სტანდარტების შესაბამისი პროდუქცია შევქმნათ. ჩვენს რეალურ მდგომარეობას თუ დავუფიქრდებით, ვფიქრობ, ხუთი წლის მანძილზე საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკის მდგომარეობიდან ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნის (მაგ. უნგრეთის) მდგომარეობაში გადანაცვლება გარკვეულ წინსვლად უნდა ჩაითვალოს.

საერთოდ, არამცთუ СНГ-ს, თვით რუსეთის ბედიც ჯერჯერობით გაურკვეველია. საკმარისია ორი ურთიერთდაპირისპირებული ძალის გაჩენა რუსეთში, რომ ეს უმალ ხდება ჩვენს ქვეყანაში ბოლო დროს ინსპირირებული შიდაკონფლიქტების მიზეზი. მე აქ მხოლოდ აფხაზეთის კონფლიქტს არ ვგულისხმობ, არამედ ე.წ. ყოფილი კანონიერი პრეზიდენტისა და მისი მომხრეების საქმიანობასაც. მე მიმაჩნია, რომ ეს ინტერვენციის ჯიდევ ერთი, ახალი ფორმა იყო და მისი ლიკვიდაცია საქართველოსათვის .უმნიშვნელოვანესი გახლდათ. ვფიქრობ, СНГ-ში მტრული გავლენის ნეიტრალიზაცია გარკვეულწილად შესაძლებელი იქნება. ეს მოვლენა ისე უნდა მივიღოთ, როგორც არის და ამის მიხედვით მოვახდინოთ ჩვენი შემდგომი პოლიტიკური ნაბიჯების დაგეგმვა.

— როგორ გესახებათ საქართველოსგან აფხაზეთის დაბრუნების პერსპექტივა და როგორ ფიქრობთ, რა როლი უნდა შეასრულოს თქვენმა დიპლომატიურმა მოღვაწეობამ ამ თვალსაზრისით?

— გერმანიასთან დიპლომატიურმა ურთიერთობამ შეიძლება ძალიან სერიოზული როლი შეასრულოს მხარდაჭერისა და სწორი პოლიტიკური ორიენტაციის თვალსაზრისით, თუკი ეს საჭირო გახდა, გარკვეული ზეწოლის თვალსაზრისითაც. აფხაზეთის საკითხის გადაწყვეტისას გათვალისწინებულ უნდა იქნას მთელი კომპლექსი საკითხებისა, როგორც პოლიტიკური, ასევე სამხედრო ღონისძიებებთან დაკავშირებული. რაც აფხაზეთში მომხდარი ტრაგედიის მოდეგები უნდა აღკვეთოს. ეს ბრძოლა ერხოთ და მოვლენის შეფასება იმგვარად შევძლოთ, რომ ყველამ გაიგოს — ეს არ არის არავითარი შიდა ომი, ეს შეფარული ინტერვენციის გარკვეული ფორმაა. ჩვენ ომი თვით ეგრეთწოდებულ ზვიადისტებთანაც არ გვქონია; ეს ყველაზეფერი საერთო გარე ძალაა, რომელიც საქართველოს დანგრევასა და მის სხვადასხვა ნაწილებად დაქუცმაცებას ისახავდა მიზნად.

ახლა, როდესაც ამ კონფლიქტის ერთი ეტაპი პრაქტიკულად დამთავრებულია, აფხაზეთში სამხედრო ოპერაციების წარმოება, ჩემი აზრით, უკვე რეალურია. ამჯერად, ზურგში მეორე ფრონტის წარმოების საშიშროება აღარ არსებობს. ახლა, თუ ამ მეორე ძალის ლიკვიდაცია მთლიანად მოხდება, მიმაჩნია, რომ საკმაოდ სწრაფად გახდება შესაძლებელი აფხაზეთში სამხედრო ოპერაციების ჩატარება, შემდეგ კი პოლიტიკური ზეწოლის მოხდენა. ასეთი პერსპექტივა რეალურია. მე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და მჯერა, რომ საქართველო აფხაზეთს არ დაკარგავს.

— თქვენ სულ ახლახანს დაბრუნდით ზუგდიდიდან, სადაც ამ რეგიონში არსებული კონფლიქტი პრაქტიკულად დასრულდა. როგორ ფიქრობთ, მოხერხდება თუ არა ამ პოლიტიკური ავანტიურის უშუალო ხელმძღვანელთა სათანადოდ დასჯა, მათი გამოყენება გარეშე ძალამ კვლავაც რომ ვერ შეძლოს?

— თუ ეს ასე არ მოხდება, თუ ამ მოვლენასა და მის თავკაცებს არ დაერქვა პრიმიტიულ-ფაშისტური დაჯგუფების სახელი, საქართველო თუ არ გაჯანსაღდა, არაფერი გვიშველის, თუ კვლავაც გაგრძელდა მათ მიმართ ლოიალური დამოკიდებულება, ის გაწყობა, რომ ისინი უნდა შევიწყალოთ, რადგან მაინც ქართველები არიან (აქ იმ შეცდენილ მასას არ ვგულისხმობ, რომელიც უგუნურებით აიყოლიეს საკუთარი ამბიციებისა და მტრული ზრახვების განსახორციელებლად), სასიკეთო შედეგს ვერ მივიღებთ. ამ ხალხს საქართველოს მტერი უნდა დაერქვას. მათთან ანგარიშის გასწორება საქართველოს ისტორიული ვალია და როდესაც ილია ჭავჭავაძე ამბობდა: „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა, მე ვარო შენი თანამდევი უკვდავი სული...“, — ის სული ვერ ეგუება ამ ყაჩაღებსა და ეირთხებს და საქართველო ამ განწყობით უნდა გაუსწორდეს მათ. ერთი სიტყვით, ფიზიკურად რომ ვერ დაისაჯონ, მორალურად უკვე იმდენად დასჯილები არიან, რომ საქართველოში ვერასოდეს დაბრუნდებიან...

— ბატონო კოტე, თქვენ განათლებით ფილოლოგი ბრძანდებით, მრავალმხრივი ცოდნა გაგაჩნიათ თქვენი სპეციალობის მიღმაც, ფლობთ ინგლისურ და გერმანულ ენებს, პოლიტიკურ სარბიელზეც საკმაო ხანია მოღვაწეობთ და მაინც, როგორ გგონიათ გაქვთ თუ არა საკმარისი დიპლომატიური ცოდნა იმისათვის, რომ დაკისრებული მისია შეასრულოთ?

— რასაკვირველია არა მაქვს. საერთოდ ადამიანი, რომელსაც ჰგონია, რომ რაიმესათვის საკმარისი ცოდნა გააჩნია, ცდება, ვინაიდან ცოდნა ამოუწურავია. მთავარია, მისი შეძენის სურვილი გაგაჩნდეს. უნდა გქონდეს კულტურა და ტაქტი იმისათვის, რომ შენი ცოდნის დროულად და ზომიერად გამოყენება შეძლო. დიპლომატიური ცოდნა განყენებელად არ არსებობს, არსებობს იმ ქვეყნის ცოდნა, სადაც მუშაობ, შენი საკუთარი ქვეყნის პოზიციის გაგება და მისი გამოყენება, არსებობს ტაქტი, ურთიერთობის წესი და ეტიკეტი, ამ ყველაფერს მე არც ისე ცუდად ვფლობ. საერთოდ, მიმაჩნია, რომ დიპლომატია ცოდნა არ არის, დიპლომატია ცხოვრებაა, ხოლო როგორ ცხოვრობ, რამდენად კონტაქტური ხარ, რამდენად შეგიძლია ადამიანებთან სწორი ურთიერთობის დამყარება, შენზეა დამოკიდებული. ვნახოთ, როგორ გავამართლებ, ამას დრო გვიჩვენებს...

ესაუბრნენ ნინო სვანიძე

და ილო გველესიანი

ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე

ნებისმიერ საქმეს სჭირდება, უპირველეს ყოვლისა, პროფესიონალი, მიზანსწრაფული კაცი. უშიშროების სამინისტროს — მით უმეტეს. პატიოსანი, პრინციპული, თავისი საქმის პროფესიონალი თუ შეძლებს რესპუბლიკის უშიშროების უზრუნველყოფას. პირველ რიგში საჭიროა პიროვნება, რომელიც უანგაროდ მოემსახურება დიდად საპატიო და საპასუხისმგებლო საქმეს — საქართველოს ეროვნული უშიშროების დაცვას. უშიშროების მინისტრმა ავტორიტეტი თავისი პიროვნული ღირსებებით, შესაძლებლობებით, პროფესიონალიზმით უნდა მოიპოვოს. ჩვენი საუბარი იგორ გიორგაძესთან, რომელიც 2 საათს გაგრძელდა, სწორედ უშიშროების სამინისტროს მუშაობას შეეხება.

— ბატონო იგორ, რთულ და დაძაბულ დროს ხდება უშიშროების სამინისტროს ჩამოყალიბება. ეს პროცესი, ალბათ, რესპუბლიკის უშიშროებაზე გარკვეულ უარყოფით გავლენას მოახდენს.

— დღევანდელ ვითარებაში ძლიერი უშიშროების სამინისტრო სახელმწიფოს ძირითადი საყრდენია. ასე მიგვაჩნია ჩვენ, რესპუბლიკის ხელმძღვანელობას და მთავრობას. რაც შეეხება უარყოფით მოვლენებს, აქ მთავარია მხოლოდ და მხოლოდ კანონიერება. თუ ჩვენ სულ მცირედითაც გადავუხვევთ კანონიერების გზიდან, ვერ გავალთ იმ გზაზე, რომელიც ტაძართან მიგვიყვანს. არ შეიძლება დღევანდელი მდგომარეობა კანონის დარღვევის საფუძველი გახდეს. უწესრიგობით წესრიგს ვერ დაამყარებ. კანონის გარეშე კანონიერებას ვერ მიაღწევ. უშიშროების სამინისტროს ახალი სტრუქტურის ჩამოყალიბების პროცესში დიდ ყურადღებას ვაქცევთ კანონიერების დაცვას. თუ ჩვენ სიძლიერესთან ერთად კანონიერების დაცვასაც მივაღწევთ, მოვერევით რესპუბლიკის წინაშე მდგარ პრობლემებს.

— სუკის გაუქმების შემდეგ თქვენ შექმენით მძლავრი ოპერატიული სამმართველო შინაგან საქმეთა სამინისტროში, ეს იყო ერთგვარი პარალელური სტრუქტურა: არსებობდა საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის ოპერატიული განყოფილებაც. რამ გამოიწვია ოპერატიული სამმართველოს შექმნა და ხომ არ სჯობდა, თავიდანვე ერთ სტრუქტურაში ყოფილიყო ორივე სამსახური, როგორც ახლაა?

— სამწუხაროდ, დეკემბერ-იანვრის ცნობილი ამბების შემდეგ მარტო სუკში და შინაგან საქმეთა სამინისტროში კი არა, სხვადასხვა უწყებებშიც მოხდა გარკვეული განხეთქილება. ეს, ალბათ, იმან გამოიწვია, რომ ეროვნული მოძრაობიდან მოსული არაპროფესიონალები ვერ ხედავდნენ პრობლემებს ისე, როგორც ამას პროფესიონალები ხედავდნენ. ოპერატიული სამმართველო საინფორმაციო-სადაზვერო ბიუროს ჩამოყალიბებამდე შეიქმნა. ჩვენ წამოვედით უშიშროების სამინისტროდან იმიტომ, რომ სამინისტროს მაშინდელი ხელმძღვანელობა, ჩვენის აზრით, არასწორ პოლიტიკას ატარებდა. ჩვენ ნათლად დავინახეთ, რომ სულ მალე სახელმწიფოს დასჭირდებოდა ძლიერი, კანონზე დაყრდნობილი უშიშროების სამინისტრო. კადრების გადარჩენის და, რაც მთავარია, ძალისმიერი სტრუქტურის შექმნის მიზნით გამოვეყავით, რადგან, როცა ქვეყანა ინგრევა, მხოლოდ ინფორმაციის მიმწოდებელი სამინისტრო სახელმწიფოსათვის ერთგვარი ფუფუნებაა. ამხელა აპარატის შენახვა მხოლოდ ინფორმაციის მოსაპოვებლად ახლა დაუშვებელია. ჩვენ ვხედავდით, რომ საჭიროა ძალისმიერი სტრუქტურის შექმნა, მაგრამ გასარკვევი იყო, სად უნდა შექმნილიყო ეს სტრუქტურა. მაშინდელმა თავდაცვის მინისტრმა თენგიზ კიტოვანმა მიიღო ჩვენი წინადადება და თავდაცვის სამინისტროში შევქმენით სპეცსამმართველო. შემდეგ თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა შეიცვალა, გაჩნდა სხვადასხვა მიდგომა ამ სტრუქტურის მიმართ და ჩვენ საქმის გაგრძელება შინაგან საქმეთა სამინისტროში ვარჩიეთ. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ თავისი არსებობის მოკლე პერიოდში ამ სამმართველომ გაამართლა იმდენად, რამდენადაც ის იყო მობილური, ძალისმიერ სტრუქტურაზე და, რაც მთავარია, კანონზე დაყრდნობილი. ჩავატარეთ არაერთი ოპერაცია, რომელმაც დაგვანახა, რომ ეს სტრუქტურა, ისე ვთქვათ, სიცოცხლისუნარიანია. დღეს კი, როცა ჩვენ მძლავრი უშიშროების სამინისტროს ჩამოყალიბების საშუალება მოგვეცა, რა თქმა უნდა, არცთუ უკანასკნელ როლს ითამაშებს ამ სტრუქტურაში ყოფილი ოპერატიული სამმართველო, რომელიც ახლა უკვე ოპერატიულ-საბრძოლო სამმართველოს სახელით არსებობს უშიშროების სამინისტროში. ის აუცილებლად გაძლიერდება და შეასრულებს იმ მოვალეობას, რასაც აკისრებს დღეს უშიშროების სამინისტროს სახელმწიფოს მეთაური, პარლამენტი და მთავრობა.

— მოგეხსენებათ, დაზვერვა დიდ ფინანსურ ბაზას საჭიროებს. შეუძლია თუ არა უშიშროების სამინისტროს მაღალი დონის სადაზვერვო ოპერაციების ჩატარება?

— დღეისათვის იმ ფინანსებით, რაც ჩვენ გვაქვს, სერიოზული სადაზვერვო ოპერაციის ჩატარება, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან რთულია. თქვენ სწორად ბრძანეთ, რომ სერიოზული სადაზვერვო, და არა მარტო სადაზვერვო სამსახური, ძალიან სერიოზულ დაფინანსებას მოითხოვს. აღიარებულია, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი სპეცსამსახური იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის უშიშროების კომიტეტი (ასე თუ ისე, პირველ ხუთეულში აღიარებულია), მას ჰქონდა ძალიან სერიოზული ფინანსური ბაზა. და ეს აძლევდა საშუალებას, მაღალკვალიფიციურად, პროფესიონალურად ჩაეტარებინა ოპერაციები საზღვარგარეთ. ზოგი მათგანი ცნობილიც არის, ზოგი კი უცნობად დარჩება. ჩვენ, ამ ეტაპზე გვიჭირს, ძალიან გვიჭირს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ საქმეს შევეშვებით და დაველოდებით, როდის მომძლავრდება ჩვენი სახელმწიფო და გამოვვიყოფს სათანადო ფინანსებს. არავითარ შემთხვევაში. ჩვენი ამოცანა ზუსტად ისაა, რომ დღეს მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ცოდნა, პროფესიონალიზმი და ჩავატაროთ ასეთი ოპერაციები ეროვნული ინტერესებიდან, ჩვენი ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე.

— ბატონი ირაკლი ბათიაშვილი და ბატონი შოთა კვირაია — საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელები — ბატონ ედუარდ შევარდნაძეს ახლდნენ სოხუმის ცნობილი ამბების დროს. რატომ არ ახლდით თქვენ ბატონ ედუარდს სამეგრელოში და, საერთოდ, მიზანშეწონილად თვლით თუ არა, რომ უშიშროების მინისტრმა ამდენი ხნით დატოვოს სამსახური?

— რა თქმა უნდა, სადაც სახელმწიფოს მეთაურია, იქ უნდა იყოს მისი აპარატიც და, სხვათა შორის, მეც ვახლდი ბატონ ედუარდს სამეგრელოში, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ არ მიმაჩნია სწორად, თითქოს ამა თუ იმ სამსახურის ფიზიკურად სახელმწიფოს მეთაურის გვერდით ყოფნა გამოხატავს პრაქტიკულად მის გვერდში დგომას. არ მინდა ვინმე დავამცირო ან სხვა უწყებებს შევეხო, მაგრამ დასავლეთ საქართველოში ამ ბოლო დროინდელ წარმატებებში ძალიან სერიოზული, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა უშიშროების სამინისტრომ, მისმა ქვეგანაყოფებმა, მის მიერ ჩატარებულმა ოპერაციებმა და ამის შესახებ ყველაზე კარგად იცის სახელმწიფოს მეთაურმა. არა მგონია, რომ სახელმწიფოს მეთაურის გვერდით დგომის აფიშირება მის რეალურ დახმარებას ნიშნავდეს.

— თქვენ თავს არიდებთ (ჯერჯერობით მაინც) სოხუმის ტრაგედიაზე საუბარს. სადღეისოდ თუ შეიძლება რაიმეს თქმა?

— არა, თავს არ ვარიდებ, როგორც პროფესიონალი, ველოდები იმ სერიოზული მუშაობის შედეგებს, რასაც სხვა უწყებებთან ერთად ჩვენი სამინისტროც ატარებს. თქვენ იცით, რომ შექმნილია კომისია ამ საკითხის შესასწავლად. მიზანშეწონილად არ მიმაჩნია, რომ უშიშროების მინისტრმა გაუსწროს მოვლენებს და ამ პრობლემაზე ისაუბროს, ვიდრე ეს კომპეტენტური, ძლავრი, სერიოზული კომისია, რომელსაც თუ არ ხელმძღვანელობს, ყოველდღიურად მაინც აკონტროლებს სახელმწიფოს მეთაური, მუშაობას დაამთავრებს. ამ კომისიაში ძალიან სერიოზულად ვართ წარმოდგენილი. ჩვენ პირველი დღიდან ვმუშაობთ ამ პრობლემაზე, მაგრამ ის ფორმები და მეთოდები, რომელსაც ამ საკითხზე მუშაობის დროს ვაყენებთ, ყოველთვის არ შეიძლება პრესაში გამოქვეყნდეს ან ტელევიზიით გადაიცეს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ინფორმაციას არ მოგაწვდით. უკვე სერიოზულად ვმუშაობთ ამ პრობლემაზე და დარწმუნებული ვარ, პრობლემას ძალიან ფართო სპექტრით უნდა განხილვა. არ შეიძლება, ეს გადაწყვიტოს ან თავდაცვის სამინისტრომ, ან საგარეო საქმეთა სამინისტრომ, ან უშიშროების სამინისტრომ. ყველამ ერთიანად, ბრძნული პოლიტიკით, თუ საჭირო იქნება, სერიოზული ღონისძიებებით, რომელსაც გაატარებს ძალისმიერი სტრუქტურები, უნდა გადაწყვიტოთ ეს პრობლემები, მაგრამ, უპირველესია დიპლომატია, პოლიტიკური მიდგომა, როგორც ეს ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ თავის ბოლო გამოსვლაში ბრძანა.

— რა მდგომარეობაა აფხაზეთის სვანეთში?

— სამწუხაროდ, ძალიან რთული. არ მინდა ჩვენი მოსახლეობის, ანდა ჩვენი მეზობლების გაღიზიანება, მაგრამ გამოიკვეთა, რომ გარდა კონფედერატებისა, იქ გარკვეულწილად აქტიურობს სომხური ბატალიონი. ეს პრობლემა შეეხო აფხაზეთის სვანეთსაც. გულისტკივილით ვამბობ, რომ უახლოეს დროში თუ არ შევაჩერეთ ეს პროცესი, რომელიც ახლა აფხაზეთში ვითარდება, სავალალო შედეგამდე მიგვიყვანს, იმდენად აქტიურად მიდის ექსპანსია და კეთდება ყველაფერი, რომ იქ ქართველმა კაცმა მომავალში არ გაიხაროს. მეშინია, რომ საზოგადოება ამას ჯერ ვერ ხედავს. ეს ჩვენი ბრალი არ არის, ალბათ, არც პრესის, და ვერავინ ვერ დავადანაშაულებ. შეიძლება ბლოკირება ხდება იქ, სადღაც ზემოთ, იმიტომ, რომ საერთაშორისო საზოგადოება მოკლებულია სერიოზულ ინფორმაციას ადგილებიდან. პრაქტიკულად, იქ გენოციდს აქვს ადგილი. საშინელება ხდება და ჩვენი ხალხი დაუცველია. ჩვენ ჯერჯერობით უძლურები ვართ. ამიტომ ვჩქარობთ და ამიტომ ვამბობთ, რომ ამ პრობლემაზე დღეს უკვე მიმდინარეობს მუშაობა. რა თქმა უნდა, ჯერ ამ შედეგები არ ჩანს და, ალბათ, ასე სწრაფად ამ შედეგებს ვერც მივაღწევთ, რადგან სერიოზულად დავამარცხდით ყველა ასპექტში. უნდა ვაღიაროთ, რომ ეს არის ქართველი ერის დამარცხება XX საუკუნის მიწურულს, ისეთი დამარცხება, რომელიც ჩვენ, ალბათ, არ გამოგვიცდია ამ ბოლო ორასი წლის განმავლობაში.

— ამასწინათ ჩვენს გაზეთში ვწერდით: „კამათელი გაგორებულია“ — წარმოთქვა ძვ. წ.აღ. 49 წელს იულიუს კეისარმა და გადალახა მდინარე რუბიკონი. დღეს ქართველთა წინაშე მდინარე ენგურია...“

— სამწუხაროდ, დღეს ყველა საინფორმაციო საშუალებით, განსაკუთრებით რუსეთის პრესითა და ტელევიზიით საუბარია საქართველოს და აფხაზეთს შორის საზღვარზე. საშინელებაა, რომ ყური უკვე შეეჩვია ამას, რასაც უშიშროების სამინისტრო არც შეეგუა და არც შეეგუება. საქართველოს საზღვრები აღიარებულია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, გაეროს მიერ, ეს საზღვრები ცნო რუსეთმა და საუბარი იმაზე, თითქოს ენგურზე წყდება საქართველო-აფხაზეთის ურთიერთობა, პოლიტიკურად არასწორად მიმაჩნია. საქართველო-აფხაზეთის პრობლემა უნდა გადაწყდეს, მაგრამ საუბარი იმაზე, რომ ენგურზე იქნება ეს საზღვარი, თავიდანვე უნდა გამოირიცხოს. ენგური არის საქართველოს ერთ-ერთი მდინარე და არა საზღვარი. დღეს თუ იქ საზღვარი გადის, იმის ბრალია, რომ ჩვენი სისუსტე და ხორცი, ჩვენი მოძმეები აკეთებენ ყველაფერს, რათა იქ საზღვარი იყოს. იმ „ზვიადისტების“ გამო და იმ ბანდიტური ფორმირებების შიშით არის ეს საზღვარი, თორემ ღალატი რომ არ ყოფილიყო და სოხუმის, ოჩამჩირის ტრაგედია არ დატრიალებულიყო, დღეს ენგურზე არ იქნებოდა საუბარი, როგორც საქართველო-აფხაზეთის საზღვარზე. ვფიქრობ, ენგურის გადალახვის გარკვეულ ვადებზე საუბარი პოლიტიკურად და პროფესიონალურადაც მიუღებელია. ჩვენ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მოხდება სამ დღეში ან ერთ კვირაში, მაგრამ ყველა ქმედება იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ, რაც შეიძლება მალე მოხდეს ამ მდინარის გადალახვა და კიდევ ერთხელ ვამბობ: მიმაჩნია, ის უნდა გადავლახოთ არა ტანკებით ან ჯავშანმანქანების საშუალებით, არამედ პოლიტიკური გზით.

— ბატონ გია ყარყარაშვილისთვის მოწყობილი ტერორისტული აქტი ფართოდ გახმაურდა. ბატონმა გიამ გადაწყვიტა, თვითონ გამოიძიოს ეს საქმე. რა თქმა უნდა, უშიშროების სამინისტროც მუშაობს ამ მიმართულებით. არის თუ არა რაიმე ცნობილი?

— ეს ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია საქმე. იმისათვის, რომ მოკლე ვადაში და ხარისხიანად გამოძიებულ იქნეს, მას უშუალოდ კურირებს ჩემი პირველი მოადგილე, გენერალი ავთანდილ იოსელიანი. ოპერატიული ჯგუფი ძალიან სერიოზულად მუშაობს. უკვე აყვანილია სამი ეჭვმიტანილი. შემძლია გითხრათ, რომ ისინი ქართველები არიან, აბაშის მკვიდრნი. საკმაოდ სერიოზული ნივთმტკიცებებია ამოღებული. მათ აღიარეს ერთ-ერთი ხიდის აფეთქება ამ რეგიონში და ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ ეს ის ჯგუფია, რომელიც ეცადა ყარყარაშვილის მკვლელობას. სამწუხაროდ, არ ვიცი, საიდან შეიქმნა ეს ფონი — არასწორად მიმაჩნია, რომ ამხელა აყიოტაჟი უნდა ატყდეს ამ ფაქტთან დაკავშირებით. თქვენც გეხსომებათ, როგორ თავდაჰერილად, ვაღიაცურად შეხვდა ასეთივე ტერორისტულ აქციას ბატონი ჯაბა იოსელიანი. არავითარი აყიოტაჟი არ ყოფილა ამ აქტის გარშემო, მიუხედავად იმისა, რომ იმ აქტმა ბავშვის, უდანაშაულო ხალხის სიცოცხლე იმსხვერპლა, და დიდი ზიანი მიაყენა მოსახლეობას. მიმაჩნია, რომ სერიოზულად უნდა ვიმუშაოთ და უმოკლეს ვადაში გავხსნათ ეს საქმე, არა მგონია, თვითმოქმედებით გაიხსნას ეს საქმე. თუ ბატონ გია ყარყარაშვილს სპეციალისტები ჰყავს, რომლებიც ამ საქმეზე იმუშავებენ, ჩვენ მზად ვართ ვითანამშრომლოთ მათთან. საქმე აღძრულია და მიჰყავს უშიშროების სამინისტროს. ჯაბა იოსელიანის მიმართ მოწყობილი ტერორისტული აქტი ჩვენმა სისტემამ გახსნა და ამას საკმაო დრო დასჭირდა. სამწუხაროდ, ასეთი დანაშაული რთულად იხსნება იმიტომ, რომ შემთხვევის ადგილზე ძალიან ცოტა რამ რჩება. აშკარაა, რომ დაბალპროფესიონალურ ტერორისტული აქტი ჩატარებული. არა მგონია, ჩვენს სამინისტროს გაუჭირდეს ამ დანაშაულის გახსნა. მთავარი ისაა, რომ თუ ყოველი ასეთი ფაქტი არ გავხსენით და არ მივიყვანეთ საქმე ბოლომდე, ხვალ სახელმწიფოს ვერ ავაშენებთ.

— უშიშროების მინისტრმა ერთობ არასახარბიელოდ დაიწყო მუშაობა. თქვენს შვეულმფრენს ავტომატის ცეცხლი გაუხსნეს. თუ გაარკვიეთ ამ ტერორისტული აქტის მომწყობთა ვინაობა?

— უპირველეს ყოვლისა, არ მინდა საზოგადოებამ ისე აღიქვას, თითქოს ეს იყო ჩემს წინააღმდეგ ჩატარებული აქცია. ღრმად ვარ დარწმუნებული, იმ ფორმირებების გარკვეულმა ჯგუფებმა, რომლებიც დაიფანტნენ სამთარობო შეიარაღებული ძალების შესვლის შემდეგ დასავლეთ საქართველოს ყველა რაიონში და ყველა რეგიონში, დათარეშობენ ტყე-ღრეში, იცოდნენ, რომ ამ რეგიონში „ზვიადისტების“ წარმომადგენელი ვერტმფრენში არ იქნებოდა და ეს ცეცხლი არ იყო გიორგაძისთვის გამიზნული. მით უმეტეს, იქ იყვნენ ბალტინის მოადგილეებიც. ავტომატიდან კი არა, ყუმბარმტყორცნიდან გვესროლეს. ჩვენ ვიცოდით, რომ როცა ამ ფორმირებებისგან გაიწმინდებოდა ეს ტერიტორიები, იქნებოდა ტერორისტული აქტები, დივერსიები. სირთულე ისაა, რომ ამას ჩვენი ხალხი, ქართველები აკეთებენ. შემოგზავნილს უფრო იოლად გამოავლენ. ეს ადგილობრივი ხალხია. ამის გახსნა ძალიან ძნელია. მოკლედ, უნდა მოგახსენოთ, რომ საქმე ამაზე აღძრული არ არის და არც სპეციალური ჯგუფია გამოყოფილი. ჩვენ ვმუშაობთ იმ რეგიონში ყველა ასეთი დაჯგუფების წინააღმდეგ, მათ ჯამოსავლენად და განსაიარაღებლად.

— ბატონო იგორ, გაზეთმა „ფარანმა“ წინასწარმეტყველური კითხვა დასვა ამ გაზაფხულზე ქართველი ნათლიმამებისა და პროკურორების ურთიერთობის თაობაზე. ერთი კვირის თავზე მოკლეს ქალაქის პროკურორი მიხეილ ჭურდაძე. ეს შეიძლება იმდენად არ შემოდიოდეს თქვენს კომპეტენციაში, მაგრამ იქნება რაიმე მაინც გვითხრათ ამ ბოროტსით მოცული მკვლელობის შესახებ?

— მართალი ბრძანდებით — ეს არც ჩემი კომპეტენციაა და არც ვიძიებდით ამ საქმეს. თუ რაიმე ოპერატიული დახმარება სჭირდება პროკურატურას, მზად ვართ, დავეხმაროთ. თქვენ იცით, რომ ამ საქმეს იძიებს რესპუბლიკის პროკურატურა და ჩვენ ვასრულებთ ყველანაირ დავალებას, რასაც პროკურატურა გვთხოვს, ოპერატიული ღონისძიება იქნება თუ სხვა საშუალებების გამოყენება. თუ მიზანშეწონილად ჩაითვლება, რომ რაღაც ნაწილი ამ საქმისა ჩვენ გამოვიძიოთ, რა თქმა უნდა, თავს არ ავარიდებთ და აუცილებლად მივიღებთ მონაწილეობას საქმის გახსნაში.

— თქვენ კონტრდაზვერვის ხაზით მუშაობდით სუკში. უნდა ვიგულისხმოთ, რომ კარგი ურთიერთობა გექნებათ რუსეთის სპეცსამსახურებთან. თქვენთან სტუმრობდნენ ამერიკის სპეცსამსახურის მაღალი თანამდებობის პირებიც. გამოიყენებს თუ არა უშიშროების სამინისტრო ამ კონტაქტებს პროფესიონალიზმის ამაღლების მიზნით?

— უსათუოდ. უკვე გადაღებულია კონკრეტული ნაბიჯები ამ მიმართულებით. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ძალიან სერიოზული დახმარება გაგვიწია, მოგვიმზადეს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. ისინი უკვე ჩაბმული არიან საქმეში და არცთუ უშედეგოდ მუშაობენ. რუსეთი გვპირდება, რომ დაგვეხმარება კადრების მომზადებაში და არამარტო კადრების მომზადებაში. ისევე, როგორც ამერიკის შეერთებული შტატები, გვთავაზობს დახმარებას და ურთიერთკავშირების გაძლიერებას, რათა ერთიანი ძალით ვებრძოლოთ ისეთ საშინელებებს, როგორიცაა ტერორიზმი, ნარკობიზნესი, იარაღის უკანონოდ გადაადგილება და ა.შ. საერთაშორისო დანაშაულობებზე არის საუბარი.

Coca-Cola

ეკენ რუსეთთან, უკრაინასთან, ყოფილი კავშირის სხვა რესპუბლიკებთან, შავი ზღვის აუზის ქვეყნებთან, ყველასთან ვითანამშრომლებთ და ეს კავშირები, არაერთხელ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ, მიუხედავად იმისა, როგორი კურსიც უნდა გაატაროს სახელმწიფომ, აუცილებელია. ეს კავშირი არ უნდა იყოს დამოკიდებული ამა თუ იმ პოლიტიკური დაჯგუფებისა თუ პოლიტიკური ლიდერების სურვილზე. მთელი მსოფლიო გაერთიანებულია ამ საშინელებების წინააღმდეგ საბრძოლველად. ერთიანი საინფორმაციო ბანკი არსებობს, ერთიანი გეგმა არსებობს. და თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩვენ პრაქტიკულად უკვე ნარკობიზნესის სატრანზიტო გზა ვართ, საერთაშორისო ნარკობიზნესი მაქვს მხედველობაში, უნდა ვიგულისხმოთ, რომ მარტო ჩვენ ვერაფერს გავხდებით და აუცილებლად ვითანამშრომლებთ. ვიცი, რა დგას ამ შეკითხვის მიღმა. ჩვენს პარტიებს აკვიატებული აქვთ, ამ თანამშრომლობაში ეძებენ გარკვეულ ღალატს. მინდა დავაწყნარო ყველა, ვისაც ამ თანამშრომლობის ფაქტებთან დაკავშირებით რაღაც ეჭვები აქვს — გაძლევთ სიტყვას, უშიშროების სამინისტროს არცერთი თანამშრომელი, მინისტრიდან დაწყებული, არ დაუშვებს იმას, რომ უშიშროების სამინისტროს კონტაქტები ჩვენი ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ, ეროვნული უშიშროების საზიანოდ იყოს გამოყენებული. პირიქით, ყველა ღონე ვიხმართ, რომ ეს კონტაქტები



პროფესიონალიზმის ამაღლების თვალსაზრისით, ვრცელი ინფორმაციის მიღების მიზნით გამოვიყენოთ. წარმოიდგენდა ვინმე, რომ საქართველოს და ინდოეთის სპეცსამსახურები ითანამშრომლებდნენ? ირკვევა, რომ საჭიროა ეს კავშირი.

— თქვენ განაცხადეთ, რომ მინისტრად დანიშვნისთანავე თქვენთან მოვიდნენ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები. მინც, რომელი პარტია მოვიდა და რომელმა გამოგიცხადათ ერთგულება?

— მე არ ვიტყოდი, რომ საუბარი იყო ერთგულებაზე. საუბარი იყო იმაზე, თუ როგორ პოზიციას დაიჭერდა უშიშროების სამინისტრო პოლიტიკური პატიების მიმართ. ალბათ, ჩემმა პასუხმა დააკმაყოფილა, იმიტომ, რომ ეს კონტაქტები გრძელდება იმ ურთიერთობების დონეზე, რაც უნდა გააჩნდეს საერთოდ ცივილიზებულ ქვეყნებში უშიშროების სამინისტროს და პოლიტიკურ პარტიებს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: არავითარი ბრძოლა პოლიტიკურ პარტიებთან ჩვენს პროგრამაში არ შედის. საუბარია მხოლოდ და მხოლოდ შეიარაღებულ ფორმირებებზე. თუ პოლიტიკურ პარტიას თავისი იდეების განხორციელება მოესურვება იარაღის ძალით, აქ წინ აღუდგება უშიშროების სამინისტრო. თორემ მათი პოლიტიკური მრწამსი, მათი იდეები ჩვენი სფერო არ არის. რა თქმა უნდა, ჩვენ ვიცით, ვინ რას მოიმოქმედებს ხვალ და ზეგ და უნდა ვიცოდეთ კიდეც; მაგრამ პირობას გაძლევთ, რომ უშიშროების სამინისტრო არასდროს თავის პრაქტიკაში პოლიტიკურად სხვანაირად მოაზროვნე ხალხს არავითარ ზიანს ან შეურაცხყოფას არ მიაყენებს, მათი უფლებების შელახვას არ დაუშვებს. ჩემის აზრით, პოლიტიკურ პარტიებსაც ზუსტად ეს აინტერესებდათ. არ ყოფილა საუბარი ასეთი ღია მიმართულებით, მაგრამ ხომ ვიცოდი, რაც აინტერესებდათ და ეს გახვეულარტე.

— ბატონმა გია ჭანტურიამ განაცხადა, ყველაზე საშიში კაცი გიორგაძეაო. რა ურთიერთობა გაქვთ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიასთან და რამდენად სერიოზულად აღიქვით ეს განცხადება?

— ეს პოლიტიკური ლიდერის განცხადებაა. მინდა გითხრათ, რომ თვითონ პარტია, რომელსაც გია ჭანტურია ხელმძღვანელობს, ბოლო პერიოდში პოლიტიკურად გაიზარდა. მათი ხელმძღვანელობაც უფრო დაიხვეწა. ის გარკვეულწილად ძალიან ლოგიკურ და სერიოზულ ნაბიჯებსაც დგამს. არავითარი პიროვნული ურთიერთობა ჭანტურიასთან, სამწუხაროდ, არა მაქვს და არც მქონია. არც ვიცნობთ ერთმანეთს. ალბათ, იმიტომ, რომ ჩემი პროფესიით მე კონტრდაზვერვაში ვმუშაობდი და არა მე-5 სამმართველოში. დისიდენტებთან და ეროვნულ მოძრაობასთან უშუალო კავშირი არა მქონდა. ჩვენი ძალიან ბევრი თანამშრომელი იცნობს პიროვნულად ყველა ლიდერს, გარკვეულ ეტაპზე კონტაქტიც ჰქონიათ მათთან. არ ვიცი, რა ეტაპზე, ჩემმა რომელმა მოქმედებამ, რომელმა გამოსვლამ ან რომელმა ფაქტმა მიიყვანა იმ დასკვნამდე გია ჭანტურია, რომ ყველაზე საშიში პიროვნება საქართველოში იგორ გიორგაძეა. არა მგონია, რომ ის გულით ამბობდეს ამას. ვფიქრობ, ეს რაღაც პოლემიკის დონეზეა ნათქვამი. არ მიმაჩნია, რომ ეს ფრაზა უნდა იყოს ჩვენი ურთიერთობის განმსაზღვრელი. ეს ფრაზად დარჩება და, ვიმედოვნებ, ურთიერთობაზე გავლენას არ მოახდენს. ასეთი ურთიერთობა აქვს ყველა სამინისტროს ყველა პარტიასთან. ჩვენ არა გვაქვს პრეტენზია განსაკუთრებულ კონტაქტებზე, მაგრამ მზად ვარ დიალოგისთვის. მზად ვარ ნორმალური ურთიერთობისათვის. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მოქალაქეს უშიშროების სამინისტროს სახით ჰყავდეს ძლიერი დამცველი. მან უნდა იცოდეს, რომ ის ბოლო ინსტანცია, რომელიც მას დაუდგება გვერდით და, თუ გნებავთ, თავისი მკერდით შეხვდება ტყვიასაც, უნდა იყოს უშიშროების სამინისტრო. კაცი აქ უნდა მოდიოდეს რწმენით, უნდა მოდიოდეს იმედით და ამ იმედს სამინისტრო არ უნდა უცრუებდეს. კიდევ ვუბრუნდები ბატონ გია ჭანტურიას. ვიმეორებ, რომ მზად ვარ ყველანაირი დიალოგისათვის. ვიცი, რომ ის შეიარაღებული ფორმირება, რომელიც ჭანტურიას პარტიის სახელით იყო დასავლეთში, ძალიან სერიოზულად დაეხმარა სამთავრობო ძალებს. საერთოდ ის, რომ ჩვენი მოსახლეობის ნაწილი შეიარაღებულია, შეიძლება დღესდღეობით სასიკეთოც არის, მაგრამ, ხვალ და ზეგ, როცა გადაწყდება, რომ უკვე მორჩა ეს ამბავი, არ სჭირდებათ პარტიებს თავისი შეიარაღებული დაჯგუფებები, ალბათ, მაშინ შევხვდებით ერთმანეთს და გამოვნახავთ ფორმას, როგორ გადაიდოს ეს იარაღი გვერდზე და პარტია პოლიტიკურ ძალად დარჩეს.

— სპეცსამსახურის თანამშრომლებმა განაცხადეს, რომ გამსახურდიას გადასცეს „მრგვალი მაგიდის" სიით არჩეულ იმ დეპუტატების სია, რომლებიც აქტიურად თანამშრომლობდნენ სუკთან. გადასცა თუ არა სპეცსამსახურმა შევარდნაძეს იმ დეპუტატების სია, რომლებიც აქტიურად თანამშრომლობდნენ გამსახურდიასდროინდელ სპეცსამსახურთან, და საერთოდ, მართებულად მიგაჩნიათ თუ არა აგენტების სიების გადაცემა? დაზღვეულნი არიან თუ არა ის აგენტები მხილებისაგან, რომლებიც ახლა თანამშრომლობენ თქვენთან?

— ძალიან სერიოზული კითხვაა. სამწუხაროდ, უნდა ვთქვა — ყოფილი უშიშროების — სუკის გარკვეულმა ხელმძღვანელებმა იმისათვის, რომ გამოეჩინათ თავიანთი ლოიალურობა, დაეტკიცებინათ ერთგულება ხელისუფლების მიმართ, ნაწილობრივ გადასცეს იმ დეპუტატების და არადეპუტატების სია, რომლებიც თანამშრომლობდნენ ყოფილ უშიშროების კომიტეტთან. გადასცეს თუ არა საქმეები, ასეთი ინფორმაცია არა მაქვს, ვერაფერს მოგახსენებთ. ვიცი, რომ სპეციალური ბარათები აჩვენეს, მაგრამ საქმეებს ვერ გადასცემდნენ, რადგან არ ყოფილა ამაზე საუბარი. ბატონი ედუარდი მაღალი დონის პოლიტიკოსი და ხელმძღვანელია, ყველანაირი სკოლა აქვს გავლილი და იცის, რომ ეს იგივეა, ექიმს სთხოვო, ავადმყოფის საიდუმლო გაამხილოს. არის რაღაც საიდუმლოება, რომელიც არ გაიცემა არავითარ დონეზე. ერთი თვეა, რაც მინისტრი ვარ, მანამდეც ვფლობდი სიტუაციას. ბატონ ედუარდს არ უკადრებია არც ჩემთვის და არც საკუთარი თავისთვის, რომ ასეთი სია მოეთხოვა. მან იცის, რომ მთავარია ამოცანა დაგვისახოს და ჩვენ გადავწყვიტოთ ეს ამოცანა. ის ენდობა პროფესიონალებს. არის თუ არა საშიშროება იმისა, რომ გაიცემა ასეთი სიები და სადმე „დაიკარგება"? მთელი სერიოზულობით, მთელი პასუხიმგებლობით ვაცხადებ, რომ ყველანაირი ინფორმაციის გაჟონვა აქედან გამორიცხულია. არ არსებობს უშიშროების სამსახური, რომელსაც არ ეხმარება მოსახლეობა, არა ჰყავს აგენტურული აპარატი. მაშინ ის უშიშროების სამინისტრო არ იქნება. ჩვენთან თანამშრომლობა არათუ სამარცხვინო, არამედ საპატიო და ძალიან დიდ პატრიოტულ საქმესთან არის დაკავშირებული. თუ ვინმეს მიაჩნია, რომ ჩვენთან თანამშრომლობა დასმენაა, ძალიან ცდება. თუ არა ჩვენთან თანამშრომლობა, არ გაიხსნებოდა ის საზარელი ფაქტი, რაც ჯაბა იოსელიანს მოუწყეს. თუ არა თანამშრომლობა, არ გაიხსნებოდა უამრავი სხვა საქმე. ეს უნდა იცოდეს მოსახლეობამ და ამის პროპაგანდას პრესაც უნდა აკეთებდეს. ერთ-ერთ ინტერვიუში ვთქვი და ახლაც ვიმეორებ: ამერიკის შეერთებულ შტატებში სახელმწიფო პროგრამა არის დამუშავებული ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს, გამოძიების ფედერალური ბიუროს და ჯარის ავტორიტეტის ასამაღლებლად. მასში ჩართულია კინემატოგრაფია, პრესა, ტელევიზია და ა.შ. ჩვენ ჯერჯერობით ამ გზას ვერ დავადექით. მგონი, მომავალში ამას უფრო მეტი ყურადღება მიექცევა.

— პარლამენტის სხდომებზე ხშირად გაისმოდა, რომ პარლამენტში არიან КГБ-ს აგენტები. რასაკვირველია, თქვენ არ იტყვით, არიან თუ არა КГБ-ს აგენტები პარლამენტში. საერთოდ, სწორად მიგაჩნიათ თუ არა ამგვარი ხალხის პოლიტიკურ არენაზე გამოსვლა?

— მიმაჩნია, რომ უშიშროების სამსახურმა და მინისტრმა თავის აპარატზე საერთოდ არ უნდა ილაპარაკოს. რაც შეეხება მითქმა-მოთქმას პარლამენტში, მინდა იცოდეს ყველამ: გახდება თუ არა პიროვნება დეპუტატი, მასთან არავითარი ურთიერთობა არა აქვს უშიშროების სამინისტროს. ეს არის წესი, რომელსაც ჩვენ არ ვარღვევთ და ეს გრძელდება. კანონი ჯერ არ გვაქვს, მაგრამ არსებობს დაუწერელი კანონი, როცა პიროვნება გადის პოლიტიკურ სფეროებში, საუბარი იმაზე, რომ ის შეიძლება იყოს აგენტი, გამორიცხულია. უნდა იცოდეს ფართო საზოგადოებრიობამ, რომ პარლამენტის ან მთავრობის წევრი არასოდეს არ იქნება უშიშროების სამინისტროს ფარული თანამშრომელი. ვურჩევდი ჩვენს დეპუტატებს, ფრაქციების და პარტიების ლიდერებს, რომ ამ თემაზე საუბარს უფრო მეტად პოპულისტური ხასიათი აქვს, ვიდრე რეალური. სხვათა შორის, ამ სიტყვის ასე ტრიალი — აგენტი ხარ თუ არა ხარ — ყველაზე უფრო დიდ ზიანს ჩვენ გვაყენებს. უშიშროების სამინისტროს ავტორიტეტი ილახება. ჩვენ ეროვნულ საქმეს ვაკეთებთ და უშიშროების სამინისტროს უნდა უყურებდნენ, როგორც ეროვნული უშიშროების სამინისტროს. აქ არ არის სხვა ქვეყნის ინტერესები წარმოდგენილი და ვერავინ გაგვაკონტროლებს „ზემოდან".

— რამდენად სწორად მიგაჩნიათ, რომ აგენტები კენჭს იყრიან და ეს არ უნდა გამოქვეყნდეს მათი გვარები არჩევნებამდე, როგორც ეს სხვადასხვა ქვეყანაში ხდება?

— ასეთი რამ მხოლოდ ორ ქვეყანაში ხდება. ეს არის ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და ბულგარეთი. იყო ამის მცდელობა ჩეხეთში და უნგრეთში და ძალიან სავალალო შედეგები მოჰყვა. მოვუწოდებ ყველას, დავანებოთ თავი იმის ქექვას, თუ ვინ, სად და როგორ თანამშრომლობდა, თუ არ თანამშრომლობდა. უშიშროების სამინისტროს არავითარ სიებს არ გამოაქვეყნებს. ვიმეორებ: იმ ხალხს, ვინც ჩვენთან ითანამშრომლებს, მილიონპროცენტიანი გარანტია უნდა გააჩნდეს და მე ამის გარანტიას ვიძლევი, რომ არავითარ შემთხვევაში არავის ამის შესახებ არ ეცოდინება. პრესას ვთხოვ, დაგვეხმაროს იმის პროპაგანდაში, რომ ხალხი ჩვენსკენ შემობრუნდეს და არ გარბოდეს ჩვენგან.

— ქალბატონმა ირინე სარიშვილმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ „დამნაშავეთა სამყაროს მიემატა სახელმწიფო დონემდე ეუვანილი ბანდიტიზმი" და რომ „ხელისუფლების სფეროში მათ მფარველები ჰყავთ". რა კომენტარს გაუკეთებდით ამ სიტყვებს?

— სამწუხაროდ, ქალბატონი ირინე მართალს ბრძანებს. რაც შეეხება მფარველებს, გეტყვით, რომ ეს არის ძალიან რთული პრობლემა და ამ პრობლემაზე სხვადასხვა ქვეყნებში სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს. ძალიან სერიოზული თანხები სჭირდება, ძალიან სერიოზული ტექნიკური აღჭურვილობა, რომ ეს არხები სააშკარაზე გამოიტანოს უშიშროების სამინისტრომ. ერთია გქონდეს ოპერატიული ინფორმაცია, მეორეა, პასუხისგებაში მისცე ის ხალხი, რომელიც გარკვეული ბანდიტური დაჯგუფების უკან დგას. ჩვენ ამ თემაზე სერიოზულად ვმუშაობთ. ეს არის ჩვენი ამოცანა და ყველას მოვუწოდებთ, თუ ვინმეს გააჩნია კონკრეტული ინფორმაცია ამა თუ იმ ფაქტზე, რომელიც დაგვეხმარება ზედა ეშელონებში ამ ხალხის მხილებაში, მზად ვართ მოვუსმინოთ და გარანტიას ვაძლევთ, რომ მათ მ[illegible] მოწოდებული ინფორმაცია არ გაჟონავს.

— ბატონმა სანდრო კავსაძემ ჩვენ[illegible] კურორტს, თქვენ და შინაგან საქმეთა მინისტრისადმ[illegible] ზავნათ წერილი, სადაც გწერთ, რომ სამართალდამ[illegible] ორგანოებში ხშირია ადამიანის ღირსების შემლახველ[illegible] ფაქტები. რამდენად არიან დაზღვეულნი საქართველო[illegible] მოქალაქეები ამგვარი ფაქტებისაგან თქვენი სამინისტ[illegible] როს თანამშრომლების მხრივ?

— ვიძლევი სრულ გარანტიას, რომ არცერთი ფაქტი არ დარჩება დაუსჯელი, თუ საიმ[illegible] უშიშროების სამინისტროს თანამშრომელი შელახავს მოქალაქის უფლებებს. ჩვენ გვაქვს ფაქტები, როცა წინ აღვუდექით სხვის მიერ ჩადენილ დანაშაულს. ჩვენი სამინისტრო თვითრეკლამ[illegible] არ საჭიროებს და რაც მთავარია, არ მინდა გავ[illegible] ღიზიანო ის უწყებები, რომელთაც აღვუდექი[illegible] წინ, როცა ილახებოდა ადამიანის უფლებები. [illegible] მწუხაროდ, ასეთი ფაქტები არის. ჩვენ ვაგრ[illegible] ლებთ მუშაობას. არავის, არცერთ თანამშრ[illegible] მელს არ მივცემთ უფლებას, რომ კანონი და [illegible] ღვიოს, მაგრამ კანონის ფარგლებში სიმკაც[illegible] და სერიოზულ მიდგომას დანაშაულთან ბრ[illegible] ლაში კი მივითხოვთ.

— როგორც კი სახელმწიფო მეთაური გადა[illegible] რამე პოლიტიკურ ნაბიჯს და მის ამ ნაბიჯს რომელ[illegible] პოლიტიკური პარტია მკვეთრად დაუპირისპირდ[illegible] გააკრიტიკებს, ოპონენტის შტაბბინაში მაშინვე ფ[illegible] დება ბომბი. ჩვენ ყოველი ასეთი ფაქტის შემდეგ [illegible] ნდება კითხვა: ვის აძლევს ეს ხელს? რასაკვირვ[illegible] თქვენთვისაც საინტერესოა პასუხი ამ შეკითხვაზ[illegible] რამ ჩვენგან განსხვავებით, თქვენ ამ შეკითხვაზე პას[illegible] მიღების უფრო მეტი საშუალება გაქვთ. მაინც, ვ[illegible] ლევს ხელს?

— სანამ არ გაიხსნება ის აფეთქებები, [illegible] ლებიც ამ ბოლო დროს მოხდა, ვერაფერს გეტყ[illegible] თქვენ იცით, რომ დამოუკიდებლობის პარ[illegible] საბალხო ფრონტისა და ტრადიციონალისტ[illegible] შტაბბინებში მოხდა აფეთქებები, მაგრამ, საბ[illegible] ნიეროდ, არავინ დაშავებულა. საქმე გაიხსნება [illegible] არა, ყველაფერი გაირკვევა. ჩვენ უკვე გვაქვს მ[illegible] ნაცემები, გასული ვართ სერიოზულ არხებზე [illegible] მივაწვდით კიდეც საზოგადოებას სრულ და ზუ[illegible] ინფორმაციას ამ ფაქტის შესახებ.

— გასულ წელს, ახალი მინისტრთა კაბინეტ[illegible] ფორმირების შემდეგ, შინაგან საქმეთა მინისტრმა გ[illegible] ნაცხადა, რომ თუ გაზაფხულისათვის წესრიგი არ და[illegible] მყარდებოდა ქვეყანაში, გადადგებოდა. მაგრამ პირო[illegible] ბა პირობად დარჩა და მის გადაყენებას სახელმწიფო [illegible] მეთაურის გადადგომაც კი მოჰყვა. ყველაზე კარგა[illegible] მგონი ირაკლი ბათიაშვილი მოიქცა და გადადგა, როგ[illegible] სახელმწიფოს მეთაურმა [illegible] შესვლის განცხადება[illegible] მოაწერა ხელი. ის არ ეთანხმებოდა ამ ნაბიჯს [illegible] გაერიდა სამსახურს. რა შემთხვევაში გადადგება იგო[illegible] გიორგაძე?

— ჩემი მიზანია, საქართველოს რესპუბ[illegible] კას ჰქონდეს ძლიერი უშიშროების სამინისტრ[illegible] ეს ყველა პროფესიონალის მიზანია. ვინაიდან [illegible] მეცა დღეს იმის საშუალება, რომ პირველი [illegible] დამედო ეროვნულ უშიშროების სამინისტრ[illegible] მშენებლობაში, როგორც ყველა მშენებელი, [illegible] დრე სახურავი არ იქნება მზად და არ გადაიტ[illegible] რება ეს სახლი, გადადგომას არ ვაპირებ. ალბ[illegible] ერთი თვის დანიშნული მინისტრისათვის გადა[illegible] გომაზე ფიქრი ნაადრევია. მაგრამ არავითარ[illegible] ახირება მინისტრის პოსტთან დაკავშირებით არ[illegible] მაქვს. ვიცი, რომ ჩემი ცოდნა, ჩემი ერთგულება [illegible] სამსახურის მიმართ გამოადგება საქართველო[illegible] როგორც სახელმწიფოს. შეიძლება ეს ხელს არ[illegible] აძლევდეს რომელიმე პარტიას, რომელიმე დაჯ[illegible] გუფებას, მაგრამ ამასთან ერთად მინდა მაგალი[illegible] თად მოვიყვანო ამერიკის შეერთებული შტატ[illegible] ბი. 40 წელი დემოკრატები იყვნენ თუ კონსერვა[illegible] ტები ხელისუფლების სათავეში, გამოძიების ფე[illegible] დერალურ ბიუროს ხელმძღვანელობდა ერთი კაც[illegible] ი — ედგარ ჰუვერი.

ჩემი აზრით, ეს არ უნდა იყოს კონიუნქტუ[illegible] რა. უშიშროების სამინისტროს უნდა ჰქონდეს [illegible] პროგრამა ყველა დროისათვის, ყველა პარტიის [illegible] გამარჯვების შემთხვევაში იმიტომ, რომ უშიშ[illegible] შროების საკითხი ნებისმიერ დრ[illegible] და ნები[illegible] სმიერ ეპოქაში ერთნაირად [illegible]. უნდა [illegible] იყოს დაცული პიროვნება და [illegible] ფო ინ[illegible] ტერესი. და ის, თუ რომ[illegible] ხელისუფლების სათავეში, [illegible] ნებ[illegible] ელ[illegible] ეს[illegible] ა[illegible] ნ[illegible] ა[illegible] ბ

პრობლემებმა არ უნდა შეგაშინოთ...

— ასე ფიქრობს საქართველოს მთავრობის მრჩეველი ეკონომიკის დარგში დოქტორი ლუის ედრინგტონი

ბატონი ლუის ედრინგტონი ამერიკის შეერთებული შტატების ოკლაჰომას უნივერსიტეტის პროფესორია ფინანსების და ეკონომიკის დარგში. საქართველოს მთავრობის მოთხოვნითა და, განსაკუთრებით, ყოფილი პრემიერმინისტრის მოადგილის — ბატონ რომან გოცირიძის ძალისხმევით ბატონი ედრინგტონი საქართველოში მოიწვიეს ეკონომიკის საკითხებში მრჩევლის სტატუსით. საქართველოს აშკარად ჭირდებოდა გამოცდილი და მაღალკვალიფიციური დამკვალიანებელი. აგვისტოში, ამერიკის მთავრობის დასტურით, ბატონი ედრინგტონი საქართველოში ჩამოგრძანდა...

— ბატონო ედრინგტონ, აგვისტოდან დღემდე საკმაო ხანი გავიდა, რომ გარკვეული წარმოდგენა შეგქმნოდათ საქართველოს ეკონომიკაზე და იმ პროცესებზე, ჩვენში რომ მიმდინარეობს... ზოგადად რისი თქმა შეიძლება და რა საკვანძო საკითხების გაშოკვეთას ისურვებდით?

— უნდა გამოვიტყდეთ, რომ ეკონომიკური სიტუაცია ძალზედ მძიმეა... ვიდრე ჩამოვიდოდი, ვიცოდი, ასე რომ იყო და, ამდენად, არ გამკვირვებია... თუ ამ ვითარების გამომწვევ მიზეზებს შეეეხებით, შეიძლება რამდენიმე მათგანი საგანგებოდაც გამოვყოთ: პირველი და უთუოდ მნიშვნელოვანი ის არის, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის მოიშალა სავაჭრო კავშირურთიერთობა და შედეგებმა თავი იჩინა როგორც საქართველოში, ასევე სხვა რესპუბლიკებშიც. საქართველოში ბევრი ქარხანა თუ ფაბრიკა ვერ ღებულობს ნედლეულს, ვერ მუშაობს და საქონელსაც ვერ ყიდის. გარდა ამისა, თუ ადრე ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკები ერთ ფულად სისტემას წარმოადგენდნენ, ახლა სხვადასხვა რესპუბლიკაში სხვადასხვა სავალუტო სისტემაა და ესეც საკმაო პრობლემებს ქმნის (ჩემი მოვალეობის ერთი მხარე სწორედ ამ რესპუბლიკებს შორის სავაჭრო ურთიერთობების მოწესრიგებას გულისხმობს და ეს არცთუ მარტივი რამ არის...). ეკონომიკურ წინსვლას დიდად უშლის ხელს ომი. რკინიგზით მიმოსვლა და ტვირთის გადატანა გართულებულია, ზოგჯერ, და საკმაოდ ხშირადაც, ლიანდაგს აყრიან ხოლმე და ამდენად სავაჭრო ქსელის მოწესრიგება ძნელია. ასევე საგანგებოდ აღსანიშნავია ენერგეტიკასთან დაკავშირებული პრობლემები; ვიდრე საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იყო, ენერგეტიკულ რესურსებზე ფასი იყო ძალიან დაბალი — ახლა კი ის მსოფლიო სტანდარტებს შეესაბამება. ამდენად, ახლანდელი მდგომარეობის გასაზრებლად და სამართავად სერიოზული სამუშაოა შესასრულებელი, რასაც დასავლეთის სტანდარტებიკია, მნიშვნელოვნად განსხვავდება საბჭოთა კავშირისდროინდელი სტანდარტებისაგან...

— რადგან ფულადი სისტემები ახსენეთ, ჩვენს ეროვნულ ფულად ერთეულს მინდა შეეხოთ.. ყველა მოველოდით ეროვნულ ვალუტას და მიგვაჩნდა, რომ კუპონი ხსნა და გამოსავალი, სამწუხაროდ კი აღმოჩნდა, რომ კუპონის ამარა დარჩენილი ხალხი გაღატაკდა და გაუბოვარდა... როგორ ფიქრობთ, რა იყო კუპონის გასაოცარი დევალვაციის მიზეზი?

საბელმწიფო ბიუჯეტის მდგომარეობა იმგვარია, რომ ვერ ყიდულობს კუპონს და ვერც საქონელს ყიდულობს — ამიტომ კუპონის გაუფასურება ხდება. თუმცა ისიც გაითვალისწინეთ, რომ საქართველო ბევრად უკეთეს დღეშია, ვიდრე დანარჩენი რესპუბლიკები, ავიღოთ თუნდაც, უკრაინა და, იგივე, რუსეთი... ბალტიისპირეთს სხვა პრობლემები აქვს...

ცენტრალურმა ბანკმა მისი ყოფილი პრეზიდენტის დროს დაბალპროცენტიანი დიდი კრედიტები გასცა — ამან გამოიწვია ინფლაცია. კრედიტები გაიცემოდა იმისათვის, რომ პროდუქციის წარმოება დაწყებულიყო, მაგრამ ასე არ მოხდა, და ამჟამად არის ბევრი ფული და არ არის პროდუქცია. ყოველივე ამის შედეგია კუპონის დევალვაცია.

კონკრეტული მაგალითი მოვიხმოთ:

შენიშნავდით, რომ სულ ახლახან, დროის მცირე მონაკვეთში, ძალიან სწრაფად დაეცა კუპონის ფასი. რა მოხდა? ფერმერებს მოსავლის ასაღებად მიეცათ ნაღდი ფული — კუპონები. ეს ფული ბანკში არ დაბრუნებულა, რაც მთავრობას პრობლემად ექცა. მოხდა ემისია. მოსავლის ასაღებად გაცემული თანხა გამოვიდა ბაზარზე, ფერმერები კუპონის შენახვას დოლარის შეძენას ამჯობინებენ.

ნორმალურ შემთხვევაში ფერმერი თავის შემოსავალს ჩადებდა ბანკში და მთელი წლის მანძილზე გამოიყენებდა. მაგრამ აქ ასე არ მოხდა, რადგან ბანკის პროცენტი დაბალია, დეპოზიტები შეიძლება გაიყინოს, ამიტომ ფერმერს ურჩევნია, კუპონი დოლარზე გაცვალოს — ასე ის უფრო მშვიდად იგრძნობს თავს.

ამიტომ საბანკო სისტემა უნდა შეიცვალოს, უნდა გაიზარდოს საპროცენტო განაკვეთი ბანკში და აღდგეს ნდობა საბანკო სისტემების მიმართ — ამის შემდეგ დოლარის საყიდლად ადამიანი ბაზარს აღარ მიაშურებს და ფული ბანკს დაუბრუნდება.

ვფიქრობ, ცენტრალური ბანკის ახალი პრეზიდენტი ამ პრობლემებს სათანადოდ მოაგვარებს.

— ალბათ თანამშრომლობა, გარკვეული აზრით, პარტნიორობაც არის — ადამიანებს ერთმანეთისა უნდა ესმოდეთ. ამ მხრივ რაიმე სირთულეები ხომ არ შეგქმნიათ ქართველებთან ურთიერთობის დროს?

— როგორ გითხრათ, ისინი, ვინც თავიანთ თავზე მუშაობენ, მუდამ ინტერესდებიან და სხვადასხვა საკითხზე მესაუბრებიან. ყველაზე დიდი სირთულე ენობრივი ბარიერია. რაგინდ კარგად ფლობდეთ ინგლისურ ენას, როგორც კი ეკონომიკურ ტერმინებს ვეხებით, საუბარი რთულდება. ხშირად, სრულყოფილად თარგმნიან, რასაც ვამბობ, მაგრამ არ ხდება ეკონომიკური ტერმინების დაზუსტება. მიუხედავად ამისა, მაინც ვთანამშრომლობთ.

— მოგეხსენებათ, ჩვენი ქვეყანა ცოტა ხნის წინ СНГ-ში გაწევრიანდა. საზოგადოების ნაწილი ფიქრობს, რომ საერთო ეკონომიკური სივრცე რუსეთთან სამუდამოდ დაუქვემდებარებს მას საქართველოს, ნაწილს მიაჩნია, რომ თანამეგობრობაში შესვლა გარკვეულად მაინც გაუმჯობესებს ეკონომიკურ სიტუაციას საქართველოში. როგორია თქვენი აზრი?

— რუსეთთან ურთიერთობის პოლიტიკურ მხარეს რაც შეეხება, ვფიქრობ, ეს ჩემზე უკეთ თქვენ მოგეხსენებათ. ეკონომიკის თვალსაზრისით, გეტყვით, რომ იმდენად ხართ რუსეთთან გადაჯაჭვულნი, ამჟამად შეუძლებელიცაა რუსეთს გვერდი აუაროთ და სხვა ქვეყნებთან გააჩაღოთ ვაჭრობა — ასე სწრაფად, მოკლე დროში, ეს ვერ მოხერხდება. დასავლეთის ქვეყნებთან ვაჭრობა ნელ-ნელა, თანდათანობით უნდა დაიწყოს და ამისათვის საკმაო დროა საჭირო.

ასე რომ, ამ ვითარებაში ძალზე მნიშვნელოვანია ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან სავაჭრო კავშირურთიერთობების აღდგენა. თქვენ უნდა მიიღოთ ნედლეული, გაიტანოთ ბაზარზე თქვენი საქონელი, თანაც ეს კავშირები თვისობრივადაც უნდა განახლდეს. ვიმეორებ, რომ ამჟამად საქართველოსთვის ყოველივე ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.

— უცხოეთის ქვეყნები საქართველოს ჰუმანიტარულ დახმარებას უზავნიან და ჩვენ, ძირითადად, კვების პროდუქტებს ვიმარაგებთ. ალბათ ქვეყნის მომავლისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა დიდ ინვესტიციებს, რაც საშუალებას მოგვცემდა ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისთვის აუცილებელი თანამედროვე პარატურა შეგვეძინა...

— ამ ვითარებაში ორივე მნიშვნელოვანია — სურსათიცა და ვთქვათ, მანქანა-დანადგარებიც... ცხადია, რომ ქვეყნის მომავალს მნიშვნელოვნად განაპირობებს, დანამედროვე საწარმოო აღჭურვილობა.

ჰუმანიტარული დახმარების იმედი მუდმივად შეიძლება იქონიოთ: ამერიკიდან თუ სხვა ქვეყნებიდან თქვენ ხანგრძლივად მოგივათ ჰუმანიტარული ტვირთი — და ეს ახლანდელ ვითარების მოგვარებაში დაგეხმარებათ.

მაგრამ ერთია ჰუმანიტარული დახმარება და სულ სხვაა დიდი ინვესტიცია — მისი დანიშნულება მხოლოდ ამჟამინდელი ვითარების განმუხტვა როდია.

დღესდღეობით გრძელვადიანი ინვესტიციებისგან დიდი შვიდეული ქვეყნები თავს იკავებენ. ისინი დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ მათ მიერ გამოყოფილი თანხა დანიშნულებისამებრ დაიხარჯება. ინვესტორი არ ჩადებს თანხას, ვიდრე არ ექნება სრული გარანტია, რომ თანხა სწორედ ის საქმეს მოხმარდება, რისთვისაც გამოყოფილი იყო. როგორ შეიძლება მათი დარწმუნება? პირველ რიგში თქვენ უნდა შეცვალოთ ეკონომიკური სისტემა, აჩვენოთ, რომ საქართველოში ფინანსური სისტემის რეფორმა ხორციელდება და ინფლაცია მცირდება — ამას რომ მოახერხებთ, მხოლოდ შემდეგაა შესაძლებელი გრძელვადიან ინვესტიციებზე ფიქრი — ეს იქნება ხანგრძლივი განვითარების პროგრამა თუ სხვა რამ.

— რამდენადაც მესმის, ამჟამად თვითონ ქართველებმა უნდა მოაგვარონ მრავალი საჭოჭმანო საკითხი?

— დიახ, ასეა. პირველ რიგში, ომი უნდა დამთავრდეს — ეს ერთ-ერთი სერიოზული მიზეზია, რატომაც მნიშვნელოვანი ინვესტირება არ ხდება. უნდა მოხდეს ადგილობრივი სისტემების გამართვა, ფინანსური სისტემის რეორგანიზაცია, ეკონომიკური სისტემების შეცვლა — ეს თქვენი ერის საფიქრალია.

ვფიქრობ, პოტენციური კრედიტორები — მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი — ყურადღებას გამოიჩენენ, თუმცაღა ეს დინჯი და აუჩქარებელი ორგანიზაციები არიან... ყოველ შემთხვევაში, პრობლემებმა არ უნდა შეგაშინოთ, ადრიან ქვეყნები, თქვენზე ბევრად მძიმე მდგომარეობიდან რომ იპოვეს გამოსავალი.

ნინო პირთაძე

დაიწყო ქართული „კოკა-კოლას“ ექსპორტი

ყველა არასასურველი [illegible] ეკონომიკური [illegible] მიუხედავად [illegible] ქვეყანაში მაინც შეიქმნა ერთი სერიოზული ამერიკულ-ქართული ერთობლივი ფირმა „კოკა-კოლა“, რაც საქართველოსათვის უთავოდ პრესტიჟულია, ფირმის ამერიკელ მესვეურთათვის კი, გარკვეულ რისკთანაა დაკავშირებული, რადგან მათი ძირითადი დანიშნულების მიუხედავად, (კოკა-კოლა ყველგან!), მთავარი [illegible] სასმელის ხარისხის შენარჩუნებაა. „კოკა-კოლას“ ფართო რეალიზაცია, არაერთგზის [illegible] ეკონომიკური [illegible] ფირმის [illegible] ეკონომიკურ [illegible] ეკონომიკურ [illegible] ეკონომიკურ

„საქართველოს არმიას — ისეთს, როგორზეც ვოცნებობდ და როგორიც მესახება“ ასეთი მიძღვნა აქვს პროფესორ ციხკარიშვილის მონოგრაფიას „ნაპოლეონ ბონაპარტი“. ეს ნაშრომი, რომელიც ახლახან დასრულა ავტორმა, გენიალური ფრანგი მხედართმთავრისა და სახელმწიფო მოღვაწის საოცარი ცხოვრების აღწერას წარმოადგენს. ამ ვრცელ ნაშრომში ყოფით ამბებთან ერთად სამხედრო საკითხებიც ფართოდაა გაშუქებული.

ნაპოლეონის სტრატეგიული კონცეფციების ძირითადმა პრინციპებმა დღესაც შეინარჩუნეს მნიშვნელობა. იგივე ითქმის არმიის შექმნის, მისი ორგანიზებისა და ჯარისკაცის ფსიქოლოგიურად მომზადების ნაპოლეონისეულ მეთოდებზეც.

ვფიქრობთ, რომ ახლა, როცა ახლადფეხადგმული ჩვენი არმია მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამს სამხედრო ხელოვნების საიდუმლოებათა შეცნობის გზაზე, დაინტერესებული მკითხველისათვის ზედმეტი არ იქნება, თუ ზოგიერთ ნაწყვეტს გაეცნობა ამ ნაშრომიდან.

ნაპოლეონი

“ხალხს, რომელსაც თავის არმიაზე ზრუნვა არ უნდა, მომავალში სხვისი არმიის გამოკვება მოუწევს...“

იმ დროისათვის, როდესაც ახალგაზრდა ბონაპარტი სამხედრო ასპარეზზე გამოვიდა, გაბატონებული იყო თავისებური სტრატეგიული დოქტრინა, რომელიც „გამოფიტვის სტრატეგიის“ სახელით იყო ცნობილი. ეს სტრატეგია მოწინააღმდეგის არა ბრძოლის ველზე დამარცხებას, არამედ მანევრებითა და კონტრმანევრებით დაღლას, დაძაბუნებას, მისი მატერიალური და სულიერი რესურსების გამოფიტვას ითვალისწინებდა. ასეთი ომი ხანგრძლივი, მომქანცველი და ხშირად უშედეგო იყო.

ნაპოლეონმა ღრმად შეისწავლა თავისი წინამორბედი დიდი მხედართმთავრების საბრძოლო გამოცდილება და გამოიყენა და დაეყრდნო რა საფრანგეთის რევოლუციის შედეგად მომხდარ ცვლილებებს სამხედრო სფეროში, ომის წარმოების ახლებური გზები დასახა.

სიახლე იმაში მდგომარეობდა, რომ ნაპოლეონი ომს მოწინააღმდეგის არა გამოფიტვის, არამედ მისი სრული განადგურებისათვის აწარმოებდა. ამიტომაა, რომ ნაპოლეონს „განადგურების სტრატეგიის“ შემოქმედად მიიჩნევენ.

მოწინააღმდეგის განადგურება მისი არმიის განადგურებას მოსდევს თან. აქედან გამომდინარე, თავისი საომარი მოღვაწეობისას, ნაპოლეონი მთავარ მიზნად გეოგრაფიული პუნქტების დაკავებას კი არ ისახავდა, არამედ მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის მწყობრიდან გამოყვანას. მხოლოდ ამ ამოცანის შესრულების შემდეგ იხსნებოდა მისთვის გზა მტრის ქალაქებისა თუ სიშაგრეებისაკენ. „ევროპაში ცოტა როდია კარგი გენერალი, მაგრამ ისინი ერთდროულად რამდენმე სამიზნეს უყურებენ, მე კი მხოლოდ ერთს — მოწინააღმდეგის ჯარის მასებს და ვანადგურებ მათ“ — ამბობდა კორსიკელი.

მიუხედავად იმისა, რომ თავისი მთავარი სტრატეგიული პრინციპების განხორციელებისას ნაპოლეონი, ჩვეულებრივ, მრავალფეროვან ხერხებს იყენებდა, მაინც შეიძლება მოკლედ იქნას ჩამოყალიბებული ის ძირითადი კომპონენტები, რომელთაც მისი სტრატეგია შეიცავდა. აი, ისინიც: ომის მთავარი ასპარეზის განსაზღვრა დარტყმის ძირითადი მიმართულების ამოცნობა; საკუთარი ძალების წინასწარგანზრახული დაფანტვა მოწინააღმდეგის ძალების შესაბამისად დაქსაქსვის მიზნით; საკუთარი დაფანტული ძალების მაქსიმალურად სწრაფად და მაქსიმალურად დიდი რაოდენობით თავმოყრა დარტყმის ძირითადი მიმართულების უბანზე; მთავარი დარტყმის სწრაფად და დიდი ძალებით განხორციელება; გაჩაღებულ ბრძოლებში მთელი არსებული ძალების გამოყენება (მათ შორის უკანასკნელი რეზერვებისაც); მოპოვებული გამარჯვების შემთხვევაში უკუქცეული მოწინააღმდეგის ენერგიული დევნა მისი სრული განადგურების მიზნით; სამხედრო გამარჯვების პოლიტიკური წარმატებით დასრულება.

ნაპოლეონის სტრატეგიის ქვაკუთხედს წარმოადგენდა საკუთარი ძალების სწრაფი და მაქსიმალური რაოდენობით კონცენტრაცია დარტყმის ძირითად მიმართულებაზე. „სტრატეგიის არსი იმაში მდგომარეობს, რომ თუნდაც სუსტი არმიით, მოწინააღმდეგეზე უფრო მეტ ძალას მოუყარო თავი იმ პუნქტში, სადაც თვითონ აპირებ შეტევას ან მოწინააღმდეგის შეტევას ელოდები“ — აი, ამ სტრატეგიის ნაპოლეონისეული ახსნა. უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა იგი დროის ფაქტორს. ბონაპარტზე უკეთ არავინ იცოდა ომში დროის ფასი: „ზმავალში მე შეიძლება მომიწიოს ბრძოლის წაგება, მაგრამ არასოდეს მომიწევს დროის დაკარგვაო“.

მთავარი მიზნის — გამარჯვების მიღწევისათვის ნაპოლეონი არ ზოგავდა საკუთარ ძალებს. „გენერალი, რომელიც ხვალისათვის ხელუხლებლად შეინახავს მაშველ ძალებს, დამარცხებული იქნება. საჭიროებისას უნდა შეგეძლოს მთელი შენი ძალების ბრძოლაში ჩაბმა, თვით უკანასკნელ ჯარისკაცამდე, რადგან გამარჯვების შემთხვევაში აღარ გეყოლება მოწინააღმდეგე, რომელსაც ხვალ უნდა შეება“ — ესეც ნაპოლეონის სიტყვებია.



ომი, თავისთავად, რა თქმა უნდა, საშინელებაა, მაგრამ თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე კაცობრიობამ ვერ შეძლო მისი თავიდან მოშორება. ვერ შეძლო და ომიც მის თანამგზავრად დარჩა...

ამიტომ ამ საშინელ საქმესაც ცოდნა უნდა, მასაც სწორი გაძღოლა სჭირდება, რათა იგი სწრაფად, ნაკლები დანაკარგებით, და რაც მთავარია, წარმატებით დასრულდეს. ომი არ არის უკონტროლო ბრბოებს შორის ატეხილი უწესრიგო ხოცვა-ჟლეტა. იგი ადამიანთა ორგანიზებულ, გაწვრთნილ და ერთიან ხელმძღვანელობას დაქვემდებარებულ არმიულ შენაერთთა შორის მიმდინარე გეგმიური შეჯახებაა. ამ შეჯახებას თავისი წარმმართველები ჰყავს — დაპირისპირებულ არმიათა მთავარსარდლები.

ბონაპარტის აზრით, ჯარების უნარიანი ხელმძღვანელობა ყველაზე რთული და ყველაზე ძნელი რამ არის ისედაც რთულ და ძნელ სამხედრო საქმეში და ამიტომ, ცოტა ვინმეს თუ შეუძლია მისი ღირსეულად გაძღოლა.

მთავარსარდალი განსაკუთრებული თვისებებით უნდა იყოს დაჯილდოებული, თვლიდა ნაპოლეონი. ამ თვისებათაგან უპირველესი პასუხისმგებლობის გრძნობაა. მან ომის პერიოდში ისეთი გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს, რომლებიც არა მარტო მისი არმიის ათასობით ჯარისკაცის სიცოცხლეს შეეხება, არამედ მთელი სახელმწიფოს ბედს განაპირობებს. ასეთი გადაწყვეტილების მიღებას დიდი ნებისყოფა და დიდი სიმამაცე სჭირდება. ეს სიმამაცე უფრო მეტია, ამბობდა ნაპოლეონი, ვიდრე ყველაზე თავზეხელაღებული ჯარისკაცის თუ ოფიცრის მიერ გამოჩენილი სიმამაცე, რადგან ის მაინც პირადია, ერთი ადამიანის ბედის განმსაზღვრელი, მთავარსარდლისა კი — ყველასი. ნაპოლეონის აზრით, მთავარსარდალს, ცხადია, ბევრი სხვა თვისებაც უნდა ჰქონდეს. ყველას ნუ ჩამოვთვლით. ბევრი მათგანი ისედაც ცნობილია. კერძოდ, ცნობილია, რომ მთავარსარდალი კომპეტენტური, თავისი საქმის ჭეშმარიტი მცოდნე უნდა იყოს. ერთმმართველიც უნდა იყოს, რადგან არმია ვერ იტანს კოლექტიურ ხელმძღვანელობას („ომში ორი კარგი გენერლის არმიის სათავეში ყოფნას ერთი ცუდისა სჯობია“ — ამბობდა კორსიკელი), შეუდრეკელი უნდა იყოს. ეს იმას ნიშნავს, რომ წინააღმდეგობა უნდა გაგრძელდეს თვით უმძიმეს ვითარებაშიც, ვინაიდან ომში ხშირად ხდება ისე, რომ ერთი შეხედვით უიმედო მდგომარეობა სასიკეთოდ იცვლება. ამიტომ, როგორც ბონაპარტი ამბობდა: „ომში ნებაყოფლობით არასოდეს არ უნდა გააკეთო ის, რაც მოსახდენთა შორის ყველაზე უარესი შეიძლება იყოს“.

მხედართმთავარი შეუბრალებელიც უნდა იყოს, თანაც, არა მხოლოდ მოწინააღმდეგის მიმართ, და აი, რატომ:

ომს თავისი კანონები აქვს, მძიმე და საშინელი. ამ კანონებში მეთაურის ვალდებულებაც შედის — შეგნებულად გააგზავნოს ხიფათზე თავისი ჯარისკაცები. ეს მეთაურის მოვალეობა და მეთაურის ხვედრია. და სწორედ აქ უნდა გამოიჩინოს მან სიმტკიცე და შეუბრალებლობა. მეთაურს არა აქვს სისუსტისა და გულჩვილობის გამოჩენის უფლება. მან რომ თავისი ჯარისკაცების სიცოცხლის დაზოგვის მიზნით რომელიმე კონკრეტულ შემთხვევაში ინიციატივა დაჰკარგოს და წარმატების მიღწევის შესაძლებლობა გაუშვას ხელიდან, ამას გაცილებით მეტი მსხვერპლი და უბედურება მოჰყვება. არც ერთხელ, არასდროს ნაპოლეონს მსგავსი სისუსტე არ გამოუჩენია. მაგრამ ასევე არც ერთხელ, არასდროს, მას უაზრო ოპერაცია არ ჩაუტარებია და უმიზნოდ ჯარისკაცების სიცოცხლე საფრთხეში არ ჩაუგდია.

მთავარსარდლის, მცოდნე და უნარიანი მხედართმთავრის როლი, რა თქმა უნდა, უდიდესია, მაგრამ თვით ყველაზე გამოჩენილი მხედა[illegible] [illegible]არც ვერ[illegible]ფერს გააწყობს, თუ მას სათანადოდ [illegible]ომზადებული არმია არ ეყოლება. მართალია, გამოთქმა, რომელსაც ხშირად იმეორებდა ნაპოლეონი: „სჯობს ლომი ედგას ცხვრის ფარას სათავეში, ვიდრე ცხვარი ლომების ჯოგსო“, სიმართლის ელემენტებს შეიცავს, მაგრამ ეს მაინც ფრაზაა, ლამაზად ნათქვამი ფრაზა. რეალობა კი, რომელსაც ნამდვილი წარმატება სდევს თან, ისაა, რომ არმიაც სათანადო უნდა იყოს და მისი წინამძღოლიც ღირსეული.

არმიის საფუძვლიანად მომზადებას, მის გაწვრთნას და აღჭურვას ნაპოლეონი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. ძალაუფლების ხელში აღებისთანავე იგი არმიის რეორგანიზაციას შეუდგა. პირველი, რაც მან ამ მიმართებით გააკეთა, მუდმივი სამხედრო ბანაკების მოწყობა იყო. ეს ბანაკები ჯარისკაცთა ყოველმხრივ გაწვრთნისათვის იყო განკუთვნილი, მათ შორს, მათი ტაქტიკური გადამზადებისათვისაც. სასწავლო ბანაკები განზრახ ქალაქებიდან შორს იყო განლაგებული, რათა ჯარისკაცებს წვრთნისა და მეცადინეობის მეტი სხვა საქმე არ ჰქონოდათ. ისინიც მთელ დროს წვრთნასა და ვარჯიშს ანდომებდნენ. ჯარისკაცები არამარტო იარაღის ხმარებას ეუფლებოდნენ და ზუსტ სროლაში ვარჯიშობდნენ, არამედ მიწის სამუშაოების შესრულებასაც სწავლობდნენ. არავის ევროპაში ისე სწრაფად და ისეთი მოცულობით არ შეეძლო სანგრების, ბრუსტვერებისა და ტრანშეების მომზადება, როგორც ფრანგ ჯარისკაცებს.

ამ ბანაკებში შეჯიბრის სული იყო გამეფებული. ნაპოლეონის ინიციატივით ცალკეული ნაწილები, შემდგომში კი მთელი შენაერთები, ერთმანეთთან შეჯიბრში იყვნენ ჩაბმულნი. ვარჯიშსა და წვრთნაში გამარჯვებულებს საგანგებოდ აჯილდოვებდნენ. ამას არაიშვიათად თვითონ ბონაპარტი აკეთებდა, რომელიც ამ ბანაკებში დიდი ხნით ჩადიოდა და ჯარისკაცების წვრთნას თვალყურს ადევნებდა. ბანაკებში ჯარისკაცებს[illegible] [illegible]ნებდა, ზრუნავდნენ. მათ კარგად [illegible] სამედიცინო დახმარებას უწევდნენ და სუფთად და კოხტად აცმევდნენ. საერთოდ, არმიაზე ზრუნვას ერთნაირად ინაწილებდნენ ნაპოლეონიცა და ქვეყნის მოსახლეობაც (აქ შეუძლებელია არ გავიხსენოთ კლაუზევიცის ცნობილი გამოთქმა: „ხალხს, რომელსაც თავის არმიაზე ზრუნვა არ უნდა, მომავალში სხვისი არმიის გამოკვება მოუწევს“. დამაფიქრებელი სიტყვებია!).

სამხედრო სამსახური ძნელი სამსახურია. ათკეცად ძნელი და საშიშია იგი ომის პირობებში, როცა სისხლი იღვრება და გარშემო ნგრევა და სიკვდილია. ასეთ დროს ადამიანს სულიერი და ფიზიკური ძალის უკიდურესი დაძაბვა უწდება. ითვალისწინებდა რა იმ განსაკუთრებულ მდგომარეობას, რომელშიც ადამიანი ომის დროს იმყოფება, ნაპოლეონს აუცილებლად მიაჩნდა ჯარისკაცის არა მარტო უშუალოდ სამხედრო საქმეში გაწვრთნა, არამედ მისი ფსიქოლოგიურად მომზადებაც და მის ფსიქიკაზე ისეთი ზემოქმედების მოხდენა, რომელიც მის სულიერ ძალებზე იმოქმედებდა და მის მორალურ მდგომარეობას გაუმჯობესებდა. დიდი კორსიკელი პირველი არ იყო, ვინც ფსიქოლოგიურ ფაქტორს მიაქცია ყურადღება, მაგრამ იგი უდაოდ პირველი იყო, ვინც ასე ღრმად ჩაწვდა ამ ფაქტორის მნიშვნელობას ომის დროს და ვინც მანამდე არნახულ სიმაღლემდე აიყვანა იგი.

თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდა ბონაპარტი ჯარის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, ნათლად ჩანს მისი ცნობილი აფორიზმიდან: „სულიერი ძალა ისე შეეფარდება ფიზიკურს, როგორც სამი ერთს“. აქედან გამომდინარე, მას ხშირად მოჰყავდა ასეთი შედარება: „მაღალი მორალური სულისკვეთების ერთი ჯარისკაცი, სამ სხვას ჯობია, რომელთაც ეს სულისკვეთება არ გააჩნიათ“.

ინტენსიური წვრთნისა და ვარჯიშის შედეგად მოკლე დროში საფრანგეთის არმია თავისი საქმის ზედმიწევნით მცოდნე და დისციპლინირებულ ორგანიზმად გადაიქცა. ნაპოლეონი სულით ხორცამდე პროფესიონალი იყო და მისთვის წვრილმანი და მეორეხარისხოვანი რამ არ არსებობდა. იგი ვერაფერში ზერელობას ვერ იტანდა, მით უმეტეს, სამხედრო საქმეში. მისთვის თუ არმია იყო, არმია უნდა ყოფილიყო: ძლიერიც, კარგად აღჭურვილიც, დისციპლინირებულიც და თავგანწირულიც. მისი არნახული ძალისხმევის შედეგად საფრანგეთის არმია იმდენად გაძლიერდა, ისე კარგად აღიჭურვა და ისეთი მოწინავე ტაქტიკით შეიარაღდა, რომ იმდროინდელ მსოფლიოში მისი ბადალი არ მოიძებნებოდა. ამიტომ იყო, რომ ამ არმიამ შეძლო თხუთმეტი წელი ებრძოლა ევროპული ქვეყნების კოალიციებთან და ამ ხნის განმავლობაში თითქმის ყველა მისი მონაწილის დედაქალაქს წვეოდა „ვიზიტით“..

არაფერს ისე სერიოზულად არ უდგებოდა ნაპოლეონი, როგორც ომის მომზადებისა და წარმოების საქმეს. ამიტომ ომის დაწყების წინ იგი მთელი ყურადღებით სწავლობდა როგორც მომავალი საომარი მოქმედების ასპარეზს, ისე მოწინააღმდეგის არმიას. როგორც ცნობილია, ომისათვის მზადების პერიოდში და თვით საომარი მოქმედების პროცესში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანას, მის დეზინფორმირებას და დეზორიენტირებას. ნაპოლეონი ამ საქმის დიდოსტატი გახლდათ. მთელი მისი სამხედრო ცხოვრება ამის მკაფიო დადასტურება იყო. მოწინააღმდეგის შეცდომაში შესაყვანად ნაპოლეონს მთელი სადეზინფორმაციო სამსახური ჰქონდა შექმნილი. ამ საქმეს უამრავი მისი მზვერავი და მსტოვარი ემსახურებოდა. ამიტომ იყო, რომ იგი ყოველთვის და ყოველმხრივ იყო ინფორმირებული მოწინააღმდეგეზე. ამავე დროს ბონაპარტი თვალისჩინივით უფრთხილდებოდა საკუთარ საიდუმლოებას. რად ღირს თუნდაც ეგვიპტეში ლაშქრობის გასაიდუმლოება. თუ საით მიდიოდა ფრანგული ფლოტი, გემების ზღვაში გასვლამდე არაფერი იცოდნენ ბონაპარტის თვით ისეთმა უახლოესმა თანამებრძოლებმა, როგორებიც იყვნენ დეზე და კლებერი! ასევე იყო იტალიაში მეორე ლაშქრობის წინაც. როცა არმიის ჭეშმარიტი მარშრუტის შესახებ მხოლოდ ოთხ კაცს ჰქონდა სწორი ინფორმაცია. საიდუმლოების ასეთი დაცვა დღესაც სამაგალითოა და მიბაძვის ობიექტად გამოდგება.

ცხადია, კიდევ ბევრი ასეთი შემთხვევის გახსენება შეიძლება, ისევე, როგორც, საერთოდ, ბევრის თქმა შეიძ[illegible] [illegible] ნაპ[illegible] უმ[illegible] დიდრესი სამხედრო მემკვიდრ[illegible] [illegible]ახებ.

მიუხედავად იმისა, რო[illegible] [illegible] თემა ეხება შორეულ ქვეყანას [illegible] [illegible]ულ ეპოქას, ვფიქრობთ, იგი მაინც [illegible]ფიქრებელი უნდა იყოს ჩვენთვის, რადგან არსებობს საკაცობრიო ისტორიული გამოცდილება, რომელიც არსებითად ყველა იმ ერის კუთვნილებაა, ვისაც სურვილი აქვს გამოიყენოს ეს გამოცდილება, რაიმე ისწავლოს და შექმნას.

დიმიტრი ციხკარიშვილი

ყაბარდო

ყაბარდოული ენა

ყაბარდოელი ცხოვრობენ ძირითადად ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. ისინი სახლობენ ყაზბეგის ახლო აღმოსავლეთის ზოგიერთ ქუჩებში. ენოსანეების საერთო აქვთ ადიღეებთან. ყაბარდოელებს ხალად ჩამოყალიბება დაკავშირებულია ფეოდალური ურთიერთობების განვითარებასთან (XII-XIV-სს.). ძირითადი საქმიანობა იყო მიწათმოქმედება, ზესაკონლეობა, ხელოსნობა.

ყაბარდო-ბალყარეთი შედიოდა რსფსრ-ს შემადგენლობაში. 1921 წელს შეიქმნა ყაბარდოს ავტონომიური ოლქი. 1922 წლიდან ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიური ოლქი. 1936 წლის 5 დეკემბერს გარდაიქმნა ასსრ-ად. 1944-56 წლებში, ეწოდებოდა ყაბარდოს ასსრ. მოქმედი კონსტიტუციით მიღილი ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ IX მოწვეთის უმაღლესი სამეჭოს, რიგგარეშე VII სესიიდან — 1978 წლის 26 მაისს. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოდ ორკამარა იყო ერთამავალიანი უმაღლესი სამეჭო, რომელსაც ირჩევდა მოსახლეობა 5 წლის ვადით.

თ. ბოგუმაძე — „ყაბარდოელები შედიან ადიღოელ-კაბალთონი ოჯახის ადიღურ-ადიღეური ჯგუფში. მათი ენა არის ყაბარდოელ-ჩერქესული, რომელიც ადიღეველებთან ერთად ეკუთვნის ადიღეველებთან ერთად ძირძველი მოსახლეობისა, იფეფალსბეგბინ ამ საკუთარ ადიღეველებთან, რომელნიც ცხოვრობენ ადიღეს ავტონომიურ რეგიონელიან (ტრანსფერ-ბრალ), ყაბარდოელები (ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკაში) და ჩერქეზები (ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში). ბალყარეთის ბრალ). მათი საერთო რიცხოვნობა რუსეთის შემადგენლობაში დასახლებით ერთ მილიონია, ხოლო საშუალოდაერი — 3 მილიონამდე".

ბუნება

ყველაზე ამაღლებული ადგილია სამხრეთ-დასავლეთი და სამხრეთი ნაწილი, სადაც ყველგანთა და მთავარი ქედების ზოგიერთი მწვერვალის სიმაღლე 3000 მეტრს აჭარბებს (ალტუნი — 5642 მ, ფიზოკი — 5203 მ, ბაზარა — 5068 მ), ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ ზედაპირი დაბლდება და მეინარეებსა ადგილია და თვრეს შესართავთან 200 მეტრს აღემატება. მთავარი და ყველგანთ ქედების ოელიეფეფ ალპური. სასარგებლო წიაღისეულიდან აღსანიშნავია: მოლიბდენი და ვოლფრამი, კოლიბენტალები, ოქრო, ვანადიუმი, ბინერალური საშენი მასალა, მინერალური წყაროები, ფეიზარეებსი: თერეგი, მალკა, ბაქსანი, ნენგეში, ჩერეგი სათავე ფოინეგიზენი აქვთ, ეკუნეს ბაქმრეგ, ბეფელის ბაფრეგ და ბალი წყალი ნიადაგებია. ტყეებში ხარობს: წიფელი, ოქროსფერა, ბეზა, ეარეფი, ეფეკანი ბალნარობენ: ფოიტეგერი, ფეარეული და ტყის კაკაბიანური კეკრნა, ბეფრ ფოთვი, ზვეელი, არჩეგი, ეიხეი და ტახი. ფრინველეებიდან: ხოხობი, მწყერი, კაკაბი და ოროკი. ტყის ფართობია 180.000 ჰექტარი.

მოსახლეობა

ყაბარდოელები ცხოვრობენ ძირითადად ყაბარდოელები (45,6 პროცენტი) და ბალყარელები (9,0 პროცენტი). არიან აგრეთვე: რუსები, უკრაინელები, ოსები და სხვა. ქალაქის მოსახლეობა შეადგენს 60 პროცენტს. ქალაქებია ნალჩიკი (დედაქალაქი), პროხლადნი, მაისკი, ბაქსანი, ნართოყალი, თირნიაუზი და ტერეკი. ყველა ეს ქალაქი შეემნილია სამეფოთა ხელისუფლების წლებში.

თ. ბოგუმაძე — „ანტაგური და შეა საუკუნეების ჩარდალი წაროდგენილ ადიღეველებს ძირითადად ორი კრებითი სახელით იცნობდნენ: ჯიქების (ბაზანტიი წყაროებით „ზიხების", „ასაფეთი — „ეშეაკ-ეშეაკ-ეშეკ") და „ჩერქეზების", ეს უკანასკნელი ამეფდრდეს თარგეფ-ხმის მიერ (რუსული წყაროებში „ადიგეები" — „ადიგეელები"). შემდეგაც XIV საუკუნიდან მოკლებული ადიღეველ ჩერქეზებს ეწოდებოდა „ადიგეები", ეს ფორმა ოფიციალურ ეფეფ-ში ფეფ-ეფ-ეფ-

1937 წელი, ალბათ, ყველაზე ტრაგიკული თარიღია მთელი XX საუკუნისა. ერებისა და ხალხების იმ უშველებელ და უაზრო კონგლომერატში, რომელსაც საბჭოთა კავშირს უწოდებდნენ, იმ დროს მართლაც „ცეცხლის კევრი“ ბრუნავდა. ალექსანდრე სოლჟენიცინი თავის რომანს „წრე პირველი“, ასე ამთავრებს: მიდის მოსკოვის ქუჩებში დახურულძარიანი მანქანა, რომელსაც დიდი ასოებით აწერია: ხორცი. სინამდვილეში, იქ დასახვრეტად განწირული პოლიტპატიმრები არიან შეყრილნი.

ვინ მოთვლის, რამდენი ასეთი ხორცის მანქანა დაღოლავდა მაშინ „ძლევამოსილი საბჭოეთის“ უკიდეგანო გზებზე და გადაჰქონდათ, უსასრულოდ გადაჰქონდათ „პროდუქტი“ სხვადასხვა ციხეებში, ხორცსაკეპ მანქანათა საკბილოდ.

ამონაწერი ოქმიდან:

„მე, ტყიბულის რაიპროკურორის თანაშემწე მიქაძემ, (sic!) განვიხილე საქმე ბრალდებულ კოტეტიშვილი ვახტანგ ილიას ძის, ექიმ ლადო კოტეტიშვილის განცხადების საფუძველზე. ბრალდებულის საქმეში არსებული მასალების მიხედვით, 1938 წლის 27 იანვრის დადგენილებით, მისჯილი აქვს დახვრეტა“.

ცრუობდა პროკურორის თანაშემწე, უსინდისოდ ცრუობდა! კი, სოც-ფედერალისტური პარტიის წევრი მართლაც იყო ვ. კოტეტიშვილი ოდესღაც, მაგრამ საიმდროოდ აღარც პარტია არსებობდა და აღარც მის წევრობას ჰქონდა რაიმე აზრი. დანარჩენ ბრალდებებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, იმდენად უნიჭოდაა შეთითხნილი სასამართლოს გონებაჩლუნგი მოხელეების მიერ.

თუმცა, ერთი სიმართლე მართლაც გამოსჭვივის ბრალდებათაგან: ვახტანგ კოტეტიშვილს, დიახაც, ჭირის დღესავით სძაგდა საბჭოთა რეჟიმი — თავისი პროლეტარიატის დიქტატურით, სოციალიზმით, ინდუსტრალიზაციით, კოლექტივიზაციით, ბრავურული მარშებით და სისხლიანი ჩეკათი. სძაგდა, მაგრამ რა ექნა, გაჩუმდა, პირში წყალი ჩაიგუბა, სიმწრით კბილს კბილი დააჭირა და განდგა, მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებზე წერა-საც კი ანება თავი და ფოლკლორულ სამყაროს მიაშურა. მაგრამ ჩეკას რას გამოაპარებდი! მშვენივრად გრძნობდნენ, რომ ვ. კოტეტიშვილი მათი პოტენციური მტერი იყო და ამიტომ მისი მოშორება დროულ, აუცილებელ საქმედ იქნა მიჩნეული.

ასე გაქრა ამ სამზეოდან, ნაძირალა კაციჭამიების ნებით, 45 წლის ულამაზესი ვაჟკაცი, დახუნძლული გონიერებით, რომელშიც სვებედნიერად იყო შერწყმული ევროპისა და აზიის ელიტარული ინტელიგენტობის საუკეთესო თვისებები.

იყო მთაწმინდაზე, ობოლაძის, აწ კოტეტიშვილის ქუჩის კუთხეში, ორსართულიანი, მყუდრო, ქართული აივნითა და რიკულებით დამშვენებული სახლი,-სადაც, ადრეული სიყრმის ჟამს, ხშირად დავდიოდი ხოლმე ვახუშტი კოტეტიშვილთან. დიდი, ხალვათი ბინა ქანდაკებებითა და ფერწერული ტილოებით იყო მორთული. მე ძალზე მიყვარდა მათი თვალიერება, რაკიღა ვიცოდი, რომ ეს ყოველივე, ჩემი სათაყვანებელი ვახტანგ კოტეტიშვილის ნახელავი იყო.

ამ სახლში, განუყრელი სათნო ღიმილით მხვდებოდა უფაქიზესი, ოდნავ სევდიანი ქალბატონი ლეილა, ვახუშტის უფროსი დაი და, ამავე დროს, გამზრდელი, რომელსაც ვახუშტი სიყვარულით „ლევანასაც“ ეძახდა, რამეთუ დაობლების შემდეგ, ოჯახში, კაცის საქმეც მან იტვირთა — სუსტი მხრებით. იტვირთა და ბოლომდე გაიტანა, უმცროს ძმას თავი ანაცვალა, ისე გაზარდა, ცივი ნიავიც არ მიაკარა და ქართველ საზოგადოებას ერთი ნამდვილი ინტელიგენტი და მამულიშვილი შესძინა. მე ახლაც ცხადად მახსოვს მისი ნაღვლიანი ღიმილი, თბილი, სათუთი ხელების ალერსიანი შეხება. გვიან გავიგე, რომ იგი სულ რამდენიმე წლით იყო ჩვენზე უფროსი, ძალზე ხნიერს კი ჰგავდა, როგორც ჩანს, მოირგო, შეიფერა დედობის უღელი. მერე და, ვინ მოთვლის, რამდენი ასეთი არშემდგარი დედა იყო იმდროინდელ საქართველოში, ვინ მოთვლის?

ერთხელ ვახუშტიმ მიამბო: დაპატიმრებამდე სამი დღით ადრე, მამა პირგამეხებული დაბრუნებულა შინ, თავის ოთახში შეკეტილა, არც უჭამია, არც უსვამს, არც ხმას იღებდა თურმე, პაპიროსს ეწეოდა მხოლოდ. როგორც მერმე გაირკვა, „იქ“ დაუბარებიათ და კატეგორიულად მიუხლიათ: ჩვენთან უნდა იმუშავო. ეს ჯაშუშობას უდრიდა. ვახტანგს უარი უთქვამს. მაშინ სამი დღე მიუციათ ვადად. სამი დღის შემდეგ, ან შენი ფეხით მოდი, ან ჩვენ მოგაკითხავთო.

ვახტანგი არ წასულა. სამაგიეროდ, მათ არ უღალატეს სიტყვას. მოვიდნენ. წაიყვანეს. სამნი იყვნენ, შავებში ჩაცმულები. შავი „ემადინი“ ელოდათ. ბავშვები, ლეილა და ვახუშტი, მაშინ უკვე დედით ობლები, ერთი შვიდისა და მეორე — სამისა, აბუზული ჩიტებივით მიჰყვნენ სადარბაზომდე. ღამე იყო. წვიმდა. „შედით, არ გაცივდეთ, მალე დავბრუნდები“, — უთქვამს მამას, ორივე ჩაუკოცნია და გაჰყოლია შავ კაცებს.

აღარ დაბრუნებულა!

თეიმურაზ მაღლაფერიძე

ვახტანგ კოტეტიშვილი

(პორტრეტი)

მღვდლის ოჯახში იყო დაბადებული (1893წ.), სულიერება სისხლით მოსდგამდა. დაამთავრა სასულიერო სემინარია. სწავლობდა პეტერბურგის ფსიქო-ნევროლოგიურ ინსტიტუტში. სწავლა გაასრულა დორპატის (ტარტუს) უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტით (სხვათა შორის, ცოტა ადრე, აქ სწავლობდა გრიგოლ რობაქიძე). 1926 წელს ივანე ჯავახიშვილმა პერსონალურად მიიწვია უნივერსიტეტში ფოლკლორის კურსის წასაკითხად.

ქ-ნ ელენე ვირსალაძის მოგონებიდან:

„ვინც დასწრებია 1927 წლის ოქტომბერში ვახტანგ კოტეტიშვილის შესავალ ლექციას, რომლითაც მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ფოლკლორი დაიწყო, მუდამ ემახსოვრება მგზნებარე ტემპერამენტით, ფართე ერუდიციით და მაღალი პოეტური გემოვნებით აღბეჭდილი მისი სიტყვა, რომელმაც სწრაფად დაიპყრო და დაიმორჩილა მრავალრიცხოვანი და მაღალკვალიფიციური აუდიტორია.

უნივერსიტეტის ერთ-ერთი ყველაზე დიდი დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით. ლექციას ესწრებოდნენ: ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი — ქართველ მეცნიერთა ბრწყინვალე პლეადა, რომელიც უნივერსიტეტისათვის ახალი, ნიჭიერი ძალის შემატებით ხარობდა.

ყველასათვის ცხადი გახდა, რომ ქართული კულტურის დიდმა და მნიშვნელოვანმა უბანმა, ქართულმა ხალხურმა სიტყვიერებამ, ჰპოვა თავისი სანდო პატრონი და ჭირისუფალი.

იმ დღიდან მოყოლებული, ვახტანგ კოტეტიშვილის ლექციები იტაცებდა ახალგაზრდობას, უნერგავდა მას ქართული ფოლკლორის დიდ სიყვარულს, ჩვენი ხალხის პოეტური სიტყვის გენიის რწმენასა და პატივისცემას.

უნივერსიტეტში ვახტანგ კოტეტიშვილს მარტო ვერ ნახავდით. სტუდენტთა გუნდით გარშემორტყმული, მუდამ პირმცინარე, მუდამ აღელვებული, მოელვარე იუმორით აღსავსე, იგი კამათობდა, არწმუნებდა ურწმუნოთ, ქადაგებდა ქართული ფოლკლორის დიდ მხატვრულ, შემეცნებითსა და ისტორიულ ღირებულებას, მისი სასწრაფოდ შეგროვებისა და შესწავლის აუცილებლობას“.

საიმდროოდ, იგი უკვე ცნობილი ლიტერატორი გახლდათ. ჯერ კიდევ 1912 წელს „სახალხო გაზეთში“ დაიბეჭდა მისი ვრცელი წერილი: „საზოგადოებრივი მოტივები არჩილ მეფისა და დავით გურამიშვილის შემოქმედებაში“. მერმე საფუძვლიანი გამოკვლევა დაურთო არაგვისპირელის ერთტომეულს, სათაურით „შავი წიგნი“. თამამად ვიტყვი, არაგვისპირელის შემოქმედებაზე დღემდე უკეთესი არა დაწერილა რა. უთუოდ მოხსენიების ღირსია მისი მრავალრიცხოვანი ესსეები — „უიტმენი — რევოლუციის პოეტი“, „ეგ. ნინოშვილი და ანტ. ფურცელაძე“, „აზიისაკენ“, „შორეული“, „ბაირონი“, „ლიტერატურული აზროვნება“ და კიდევ მრავალი, რომელთაც იგი, სხვა ჟურნალ-გაზეთებთან ერთად, საკუთარი რედაქტორობით გამომავალ, ძალზე სოლიდურ გაზეთში — „ქართულ სიტყვაში“ ბეჭდავდა. ხსენებული ესსეები გამოირჩევა როგორც აზროვნების სიღრმისეული ორიგინალობით, ისე სტილის, გადმოცემის სინატიფითაც.

ჰეშმარიტად გასაოცარია: სულ ახალგაზრდა კაცმა შეძლო პრაქტიკულად თითქმის შეუძლებელი, რაღაც სამიოდე წელიწადში დაწერა და გამოსცა „ქართული ლიტერატურის ისტორია“ (XIX საუკუნე). მართალია, მას ჰყავდა წინამორბედები კ. აბაშიძის „ეტიუდებისა“ და ა. ხახანაშვილის „ქართული სიტყვიერების ისტორიის“ სახით, მაგრამ ვ. კოტეტიშვილის „ისტორია“ თავისი ახლებური მეთოდოლოგიით, პრობლემების სიუხვითა და მასშტაბურობით, გადმოცემის სინათლითა და ერთგვარი პოეტური სტილიზებით, წინ გადადგმული ნაბიჯი არის. ეს „ისტორია“ დღემდე სამაგიდო წიგნად რჩება და მკაფიოდ ინარჩუნებს ინდივიდუალობას იმ მრავალრიცხოვანი, უსახური ოპუსებისაგან განსხვავებით, რომლებიც უხეში სოციოლოგიური მეთოდით არიან დაწერილნი და დღეს მათი ხელში აღება პრიმიტიულობის უსიამოვნო განცდის მეტს არაფერს იწვევს.

ცალკე უნდა გამოიყოს ვ. კოტეტიშვილის ინტენსიური მუშაობა ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებასთან დაკავშირებით:

იქნებ მკითხველმა არც იცოდეს, რომ ჟურნალმა „მნათობმა“, გამოსვლისთანავე, 1924 წელს, დაიწყო პუბლიკაცია ელისაბედ ყაზბეგის (ალექსანდრეს მკვიდრი ბიძაშვილი იყო) ვრცელი მემუარული წიგნისა — „მასალები დიმიტრი და ალექსანდრე ყაზბეგის ბიოგრაფიისათვის“. მემუარები სენსაციური ხასიათისა გახლდათ. ელისაბედი, არც მეტი, არც ნაკლები, ამტკიცებდა, რომ ალექსანდრეს ცნობილი მოთხრობები და რომანები, სინამდვილეში, დიმიტრის ეკუთვნოდა, ხოლო ალექსანდრემ ჩაიდინა პლაგიატი, უსინდისოდ გაძარცვაო იგი.

მემუარები ისეთი დამაჯერებელი ტონით იყო დაწერილი, რომ საზოგადოება უმალ ორ ნაწილად გაიყო: ერთნი თავგამოდებით მიემხრნენ ელისაბედს, მეორენი კატეგორიულად უარყოფდნენ ამ ჰიპოთეზის დაშვებასაც კი. სიმართლე რომ მეორეთა მხარეზე იყო, ეს ცხადად ჩანდა მათთვის, ვისაც ნამდვილი ლიტერატურული ალღო და შემოქმედებით ფსიქოლოგიაში წვდომის ელემენტარული უნარი გააჩნდა, მაგრამ საქმეს ართულებდა ზოგიერთი მემუარისტის დაჟინებული უარყოფითი დამოკიდებულება ალექსანდრეს (ერთი შეხედვით, საკმაოდ დამაჯერებელი) პიროვნების მიმართ და, აგრეთვე, მაშინ ახალგაზრდა ლიტერატორის, მიხეილ ზანდუკელის მიერ წამოყენებული, ფსევდომეცნიერული საბუთები.

სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ეს დეტექტიური რომანისათვის შესაფერი სიუჟეტი ალბათ ცნობილია [illegible]ისა, ხოლო ვისაც არაფერი სმენია, ვურჩევ, წაიკითხოს ვ. კოტეტიშვილის წიგნი „ალექსანდრე ყაზბეგი და მისი ავტორობის საკითხი“, რომელიც ეჰვებისათვის საერთოდ აღარ ტოვებს ადგილს.

ამ გამარჯვებაში ვახტანგ კოტეტიშვილს ლომის წილი ედო. იგი რომ არ ყოფილიყო, ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილი ვერასოდეს მოიშორებდა სამარცხვინო ლაქას, წამებული რაინდის, ალ. ყაზბეგის სულის აწრიალებისათვის რომ დაჩნდა მათი ფრაკის ლაცკანებს. ალ. ყაზბეგი კვლავ ამაყად შუბლდადაფნული დაუბრუნდა ქართულ მწერლობას. ხოლო მისი დაცვა და, თუ გნებავთ, გადარჩენაც, ნამდვილ ლიტერატურულ-ზნეობრივ გმირობად უნდა შეფასდეს.

გარნა იმ საბედისწერო 1937-მდე, წლების მრავალფეროვანი კრიალოსანია ჩამოსამარცვლი. მწერალთა I ყრილობაზე, ვ. კოტეტიშვილიც ვრცელი სიტყვით გამოვიდა. გამოსვლა, უმთავრესად, ეროვნულ პრობლემასა და სამომავლო კულტურის პერსპექტივებს დასტრიალებდა. აგრეთვე: მიეღოთ, თუ არ მიეღოთ ე.წ. საბჭოთა წყობილება. ამ უკანასკნელზე ვ. კოტეტიშვილის აზრი ასეთი გახლავთ:

„ქართული მწერლობისათვის რადიკალიზმი, მემარცხენეობა არ ყოფილა ახალი, ძნელადმისაღები, სადაო და, თუ ასე იყო ჩვენამდე, მით უფრო თამამად შეიძლება ლაპარაკი ჩვენს შესახებ, რომელნიც არც დიდი გვარიშვილობით ვართ დატვირთულნი, არც დიდ ფუფუნებაში გვიცხოვრია, არამედ ჩვენ ყველა, იმავე პროლეტარიატის ცხოვრებაში ვიმყოფებოდით და ვიმყოფებით. ჩვენს ზურგზე ბევრ საშინელებას გადაუვლია, მეფური რეჟიმის სისასტიკე გამოგვიცდია, წლობით გვიშიმშილია, მაგრამ ყოველთვის ერთი აზრით გვისულდგმულია, რომ როგორმე ჩვენი კულტურის საქმე ავამაღლოთ, რომ ჩვენი ხალხი განათლების მოწინავე რიგებში ჩავაყენოთ. დღეს მშრომელი ხალხი სამოქმედოდ არის გამოსული. გუშინდელი ოცნება აცხადებულია და ამ პირობებში, ქართული მწერლობა უნდა იყოს რევოლუციის მხარეზე თუ არა — ეს კითხვა ჩვენთვის არც არსებობს“.

„მაგრამ, — დასძენს ვ. კოტეტიშვილი, — ვერვინ უარყოფს იმასაც, რომ იყო ერთგვარი დამაშორებელი პირობებიც საქართველოს ინტელიგენციასა და მმართველ ხელისუფლებას შორის. ამ სიშორეს ჰქონდა სულ სხვა ნიადაგი და სახელდობრ: ისეთი საკითხები, რომლებიც დიდ ხანს იყო გამოურკვეველი. მე ნაციონალურ საკითხს ვგულისხმობ. ქართული მწერლობა ერთგვარად შეშინდა, ზღარბივით ეკლები გამოუშვა და შეიკუმშა, თითქოს რაღაც მოსალოდნელი საფრთხის წინაშე იდგა“.

აი, სწორედ აქ იყო დამარხული ძაღლის თავი! ქართული მწერლობა მართლაც შეშინდა, იგრძნო, რაღაც დიდი საფრთხე ელოდა და სულ მალე აუხდა კიდეც წინათგრძნობა. იმძლავრა რბევამ და რეპრესიებმა.

დროთა კავშირი დაირღვა!

ვახტანგ კოტეტიშვილი არ იყო შემგუებელი ბუნების კაცი, მძიმე ქართლური ხასიათი არ აძლევდა ნაირნაირი მანევრირების საშუალებას, დღეს თქმულს, ხვალ უკან ვერ წაიღებდა, პირდაპირი იყო და უკანდასახევ გზებს, ჩვეულებრივ, არ იტოვებდა, ელასტიურობა აკლდა. სხვას, შედარებით მობილურს, იქნებ ეპოვნა კიდეც გამოსავალი იმ მძიმე მდგომარეობიდან. მან ვერ იპოვნა, ამიტომაც დაიღუპა. კი, რაღა თქმა უნდა, ეშინოდა, მაგრამ შიშმა მაინც ვერ გახადა დრეკადი, მისი თითზე გადახვევა შეუძლებელი აღმოჩნდა.

დაიღუპა 45 წლის ულამაზესი ვაჟკაცი, დიდი ინტელექტუალი და უდიდესი მამულიშვილი.

მის მიერ შედგენილ „ხალხური პოეზიის“ ბრწყინვალე კრებულში, რომელსაც დღესაც არა ჰყავს ბადალი, არის ერთი ოთხსტრიქონიანი ლექსი:

„გამაგრდით, არხოტიონნო,
გატეხით რა იქნებისა?
ვისაც მოგვიკვლენ, დავმარხოთ,
სხვა კიდევ დაიზრდებისა“.

დარწმუნებული ვარ, დახვრეტის წინ, ვახტანგ კოტეტიშვილს სწორედ ეს ლექსი უხმიანდებოდა გონებაში.

„კავკასიონის“ რედაქციამ საძნელო საქმე დამავალა: გალაკტიონ ტაბიძის დაბადების დღეს, 17 ნოემბერს გამოსასვლელი ნომრისთვის პოეტის ათი ლექსის შერჩევა. მაინცდამაინც ათის! მე ის ლექსები შევარჩიე, რომლებიც გაზეთის ამ გვერდზე არის დაბეჭდილი. სხვანი სხვა ლექსებს შეარჩევდნენ, კიდევ სხვანი — სხვას. ყველას თავისი გალაკტიონი ჰყავს. აქ უმთავრესი ის მგონია, რომ არ დავივიწყოთ: პოეზიის სიყვარული სანახევროდ გემოვნების საქმეა, ხოლო გემოვნების გამო დავა არ ღირს ალბათ.
ლექსები მკაცრი ქრონოლოგიური პრინციპით არ არის დალაგებული, მაგრამ დაახლოებით ერთ ჩარჩოში თავსდება. სახელდოგრ, ცხრა ლექსი ათიან-ოციან წლებშია დაწერილი, მეათე — ორმოცდაათიან წლებში.

რევაზ თვარაძე



შადრევნების ვედრება

ცამდე ალბათ ბევრჯერ ადის
შადრევნების ვედრება,
დამტვრეული სიფერადის
სულით შემოთეთრება.
ობოლ დობას, ვარდთა კონებს,
დროთა ფუჭად სიოხრეს,
იგი ისე ვერ იგონებს,
რომ არ ამოიოხროს.

მას გახელილი დარჩა თვალები

მზეო თიბათვის, ყოფნა უმზეო!
მზე მიიცვალა ღია თვალებით!
ის მიიცვალა რაღაც უმწეო
და საოცარი გარდაცვალებით!
მას გახელილი დარჩა თვალები.
ოჰ, გახელილი დარჩა თვალები!
ის უცხო მხარეს გარდაიცვალა
და გახელილი დარჩა თვალები!
და ეს თვალები საღამოთა ხმას
უსმენდნენ ტანჯვით და მოკრძალებით.
მას გახელილი დარჩა თვალები,
ოჰ, გახელილი დარჩა თვალები!
რა ხდება იქით, საიდან ისმის
მგლოვიარეთა ქნართა: „მშვიდობით?“
უეცრად სწყვეტენ სიმები სიცილს
უამინდობით,.. უამინდობით...
საიდან ისმის ჩუმი გალობა
და უღონობა სუნთქვის შემწყდარის,
წამების წყნარი წარმავალობა
და მოგონება ძვირფასი მკვდარის?
მიდის ზაფხული... ბაღში, მდელოში
სისინებს სიო, შრიალებს ნეშო,
მე ისევ აქ ვარ... საქართველოში!
რისთვის, ძვირფასო, რისთვის, ნუგეშო?
და ეს თვალები სერაფიმთა ხმას
უსმენდნენ ტანჯვით და მოკრძალებით,
მას გახელილი დარჩა თვალები.
ოჰ, გახელილი დარჩა თვალები!
მივალ, მიმყვება მე შენი ცქერა
და ხავერდებზე ეცემა ჩრდილი,
ყველგან უჩინრად ტირის ცერერა,
თვალები ცივი და გახელილი.
ღირდა თუ არა სხვა სიცოცხლეზე
ოცნება ჩემი და ფერმიხდილი?
გზა მე არ ვიცი უახლოესი —
ერთადერთი გზა არის სიკვდილი.
მას გახელილი დარჩა თვალები.
ოჰ, გახელილი დარჩა თვალები!
ის უცხო მხარეს გარდაიცვალა
და გახელილი დარჩა თვალები.

ედგარი მესამედ

ჩვენ მივდიოდით ტაძრისკენ ორი,
იყო საღამო, ლოცვები, ზარი,
და ჩვენს საოცარ გზაზე, ლენორა,
რტოებს ტირილით ამტვრევდა ქარი.
ენატრებოდათ ფრთებს სითამამე
უზრუნველობის, შენი სიშორის.
მაგრამ უეცრად ვიღაც მესამე,
ვიღაც მახინჯი ჩადგა ჩვენს შორის.
და ჩვენ გვესმოდა ყრუ საუბარი:
საცაა მოვა სიკვდილის წამი!
ტიროდა ქარი, კვდებოდა ქარი
და მივდიოდით ტაძრისკენ სამი.

* * *

აქ მარმარილოს მაღალი სვეტი
დაუმსხვრეველი იდგა დიდებით,
უპოქის გედი
ოცნებას მღერის გაბედითებით.
კედლებს რომ სინჯავს გრძნეულ თითებით
უკვდავებისთვის შეშლილი გონი,
ჩრდილი მოსილი მარგალიტებით.
ვაი, დრონი, დრონი!
ციხე-გალავანს ჩქეფს სისხლის წვეთი,
დღე შემმუსვრელთა ალთა კიდებით.
ვინ იყო ქვათა ამათა მკვეთი?
იგი არ კვდება გულდამშვიდებით.
სურო და ხავსი, ღალღით, გვრიტებით,
ვამჩნევ თაღებზე ღრუბელთა რონინს,
გაშლილა ნისლთა პირამიდები.
ვაი, დრონი, დრონი!
ო, ნანგრევებო, თქვენ გეზიდებათ
ყრმობისა ჩემის პირველი ბედი.
უამიდობთ თუ ამიდებით
დიდება მერგო მე სხვაზე მეტი.
ეხლაც ანათებს ძველი მითებით,
იგი ქარს ებრძვის გაბედითებით.
ვაი, დრონი, დრონი!
აქ შეგხვდი პირველს, ვისაც მითებით
გესალმებოდა მძაფრი რიონი,
იყო სალამი, იყო მშვიდობით...
ვაი, დრონი, დრონი!

იმ ატმებს გაუმარჯოს, იმ ატმის ყვავილებს

ვარსკვლავების თოვლი ცას შელეკია.
მესმის რულში, როგორც ყრუ ელეგია,
მატარებლის დამღალავი ხმაური,
რაღაც მღვრიე, რაღაც არაქაური.
მე ვიგონებ ვნებას სიყმაწვილის დროს,
მე ვიგონებ ატმებზე მთვარის ჩრდილებს,
იმ ატმებს გაუმარჯოს,
იმ ატმის ყვავილებს!
ყველაფერი სიზმარივით გათავდა,
რასაც გული სიყრმით დამიხატავდა.
მესმის რულში, ერთხელ გაიბზარა რა,
მატარებლის: რა-რა-რა-რა, რა-რა-რა.
არა-არას, მე ვისმენდი მხოლოდ ჰოს.
მე ვიგონებ ატმებზე მთვარის ჩრდილებს,
იმ ატმებს გაუმარჯოს,
იმ ატმის ყვავილებს!
სარკმელიდან — მთების უბეში ნიავს
არვინ ეტყვის: იყავ, ნუ გეშინია!
იყო ღამე, იყო უდაბნოეთი,
ოდეს მშვიდი და უცნობი პოეტი.
თვითეულ ჩრდილს შევხაროდი, თითო
რტოს,
და ვიგონებ ატმებზე მთვარის ჩრდილებს.
იმ ატმებს გაუმარჯოს,
იმ ატმის ყვავილებს!

დღე გაფითრდა იაგუნდის

დღე გაფითრდა იაგუნდის,
დგას ღრუბლების ჯგუფები,
რაგინდ დიდი გული გქონდეს,
მაინც დაიღუპები.
საშინელი მოსკდა წვიმა,
როს მცხეთაში წავედი,
სად აზიდა სერაფიმმა
მწირის ცა, ვარსკვლავეთი.
არ გადიღო წვიმამ გზამდე,
ტალახებს ვერ დავზელდი,
და თავიდან ფეხებამდე
მასხა, ძლიერ დავსველდი.
მე გავცივდი, ავადა ვარ,
ძლიერ, ძლიერ ავადა.
ის მწარე დღე, გსურს თუ არა,
მოვა თავისთავადა.
დღე გაფითრდა იაგუნდის,
დგას ღრუბლების ჯგუფები.
რა გინდ დიდი გული გქონდეს,
მაინც დაიღუპები.

დამშვიდობება

ეტლს თან მიჰყვება მყუდრო სოფელი
და შემოდგომა შეუდარველი.
ქალწულთა ბედი და ღვთისმშობელი
იყოს მარადის შენი მფარველი!
ნურავინ ქვეყნად ნუ დარდობს შენზე,
ბედნიერებას შენ აღარ ელი.
უფალი იყოს ცოდვილის შემწე,
მადონა იყოს მისი მფარველი.

ომნიბუსით

ეზოს ახსოვს ყოველ წუთის
შარაგზა და გადაღმა.
.ისევ იქ დგას ჩრდილი თუთის,
ცაცხვები კი გადახმა.
და ტირიფიც მაღლარ მტევნით,
სასაცილო ტირიფი,
გადახრილი ზედმიწევნით,
მსუბუქი და ირიბი.
დაფენილი თითქოს ომში —
ფშანია თუ ჟალტამი?
ველად ყრია ლურჯი კომში
და ცისფერი ატამი.
ალუბლები. ისევ ჰქრიან
სევდიანნი სიონი
და სახელად რიონს ჰქვია
ისევ იგი რიონი.
ისევ ჩნდება მწყერით ველი,
ღალღა თვალს ეცეცება,
ღამღამობით მოდის მგელი
და საქონელს ეცემა.
დარჩენილი მინდვრად ჩალა,
დანისლული კოპიტი...
განადგურდა მეფის ჭალა
ჩრდილი შემოდგომითი.
ომნიბუსო, მახსოვს შენი
შარაგზებზე ჟღარუნი,
ძველი დაბა ახალშენი
და ქვიტკირის წყარონი.
ბარს ედები, ცას ედები,
წყალს, დაღარულს დამბებით,
მოგაქვს თეთრი გაზეთები
მუდამ ძველი ამბებით.

* * *

გაგონდება თუ არა
კარალეთის დღეები,
მთების ლურჯი კამარა —
უცხო სამოთხეები?
კიდევ შეგრჩა თუ არა
მხიარული თვალები?
თუ დრომ გადაუარა
და ჩაუქრო ალები?
მივდიოდით მხარდამხარ
და დრო გვეუარესა,
აწ არ ვიცი, სადა ხარ
და რომელსა მხარესა.

* * *

ეს იყო წინათ, დიდი ხნის წინათ,
რაც დავიწყება გულმა არ ჰგუბოს, —
მაინც მოვიდა ვიღაც გვირგვინით
და შენს უბრალოს ამშვენებს კუბოს.
მიდიხარ... ისე მიგაქვს წვალება,
თითქოს ზღვის კარად თივას თიბავდე.
ვინა თქვა შენი გარდაცვალება?
არა, სწორედ დღეს შენ დაიბადე.
მიდიხარ... აღარ დაგემდურება
არც მიწიერი, არც ზეციერი,
ვინა თქვა შენი უბედურება?
არა, სწორედ დღეს ხარ ბედნიერი.
მიდიხარ... ტკბილი გქონდეს მგზავრობა,
სხვა ბინა მარად იყო ზღაპარი.
ვინა თქვა შენი მიუსაფრობა?
არა, შენ ჰპოვე თავშესაფარი.
მიდიხარ... შენს ბედს ბევრი ინატრებს,
მშვენიერს, ბედი სხვა არსად არი,
შენ სივრცეებმა დაგაბინადრეს —
შენ უკვდავების ხარ ბინადარი.

ფილმის პრემიერაზე მარაოებით ნუ მიხვალთ!

ელდარ შენგელაიას ფილმები ყოველთვის იწვევს მაყურებლის განსაკუთრებულ ინტერესს. ასეთი ინტერესი მისმა ბოლო ფილმმა „ექსპრეს-ინფორმაციამაც“ აღძრა, თუმცა ამჯერად ადრინდელზე უფრო მეტად შეინიშნება აზრთა სხვადასხვაობა. ეს ჩანს კინოკრიტიკოსთა იმ სტატიებშიც, რომელთაც აქ ფაიქითხავთ.

1955 წელს პარიზში, თავისი ახალი ფილმის „დიდი მანევრების“ პრემიერაზე, რენე კლერმა პარიზის საზოგადოების „ნაღვლები“ დაპატიჟა — პოლიტიკური მოღვაწეები, მწერლები, რეჟისორები, კინოკრიტიკოსები. ბევრი რენე კლერის ფრანგული კინოს სიმბოლოდ მიჩნეული, ამიტომაც მისი ყოველი ახალი სურათის მიმართ ინტერესი უდიდესი იყო. მაგრამ პრემიერამ საკმაოდ უფერულად ჩაიარა. მეორე დღეს, „ფიგაროს“ მიმომხილველმა პირდაპირ აღნიშნა — ჩვენ რენე კლერისგან ახალ კომედიას ველოდით, მან კი ჩვეულებრივი მელოდრამა გადაიღოო. ელიტარულმა საზოგადოებამ ფილმი შეაფასა, როგორც „რენე კლერის მარცხი“, უფრო მეტიც, როგორც „რენე კლერის დასასრული“... რამდენიმე თვის შემდეგ, „კაიე დიუ სინემაში“ რენე კლერის დაცვა ჟან კოქტომ სცადა. „ჩვენი საზოგადოება, — წერდა იგი, — კინოში მარაოებით მოდის, როგორც ოპერაში... და ისევე, როგორც ოპერაში, ფილმს კი არ უყურებს, არამედ ერთმანეთით ტკბება. საკმარისია, ვიღაცამ მარაო ამოიღოს, რომ მას სხვებიც ბაძავენ. საკმარისია, ვიღაც ფილმის სიახლეში ვერ გაერკვიოს და ამის აღიარება შერცხვეს, მას სხვებიც მიჰყვებიან ხოლმე“.

მართლაც, „კინოელიტას“ არ უყვარს, როცა მის მიერვე შექმნილი აზრი ამა თუ იმ რეჟისორის შესახებ, რასაც „იმიჯით“ ნათლავენ ხოლმე, შეიძლება შეიცვალოს, დაინგრეს. მას სტაბილურობა უფრო უყვარს და სიახლის ეშინია. მითუმეტეს, თუ ეს სიახლე ჯერ კიდევ იმდენად ნორჩია, რომ არ ჩამოყალიბებულა როგორც სისტემა, როგორც მთლიანობა. „ელიტის“ (თუ „ბურჟუაზიის“) კონსერვატიზმმა თავის დროზე არაერთ დიდ რეჟისორს მიაყენა ტრავმა. საკმარისია, ხელოვანს რაღაც შეეცვალა თავის შემოქმედებაში, იმწამსვე „დასასრულზე“ იწყებდნენ ლაპარაკს.

ელდარ შენგელაიას ახალი ფილმის „ექსპრეს-ინფორმაციის“ სანახავად ჩვენი საზოგადოების ის ნაწილი, რომელმაც პირველად ნახა ფილმი (პარლამენტარები, კინემატოგრაფისტები, მწერლები და ა.შ.), აგრეთვე გარკვეული განწყობილებით მოვიდა. ქართველ მაყურებელს უყვარს ეს რეჟისორი, ზეპირად იცის მისი ფილმები და, რაღა თქმა უნდა, ბევრი ელოდა ისეთ სურათს, რომელიც შემდეგ ჩვენი ყოფის ნაწილი გახდებოდა — ფილმის გმირთა შორის დიალოგებს მაყურებელი უკვე ცხოვრებაში „გადაატანდა“ და ანეგდოტებივით გაითავისებდა მათ... იყო ისეთი მაყურებელიც, რომელსაც გარკვეული შიში ჰქონდა — ვაითუ უკანასკნელ წლებში ჩვენში მომხდარმა ცვლილებებმა, „პერმანენტულმა რევოლუციებმა“ დაღი დასვა ფილმის მხატვრულ მთლიანობას? ფილმის პრემიერაზე მოვიდნენ ისინიც, ვისთვისაც ელდარ შენგელაია გახდა „წაშებული რაინდი“, რომელსაც მანქანის ნაწილების ქურდობას აბრალებდნენ — ისინი გულწრფელად ოცნებობდნენ შედეგრზე, რომელიც „მტრის ჯინაზე“ ახალ მოვლენად იქცეოდა ქართულ და მსოფლიო კინოში და თვით „მტერსაც“ კი შეძრავდა. როგორც წერს დავით ბუცხრიკიძე („შვიდი დღე“, 1993, N36), მაყურებელი თურმე „პორიგ კომედიას ელოდა და იმედი გაუცრუვდა“. როგორც ხედავთ, მაყურებელი რაღაც განსაკუთრებულს და თანაც, ელდარ შენგელაიასთვის ტრადიციულს ელოდა და ამიტომ თითქმის კატეგორიულად მოითხოვდა ამ მოლოდინის ასრულებას. ასე ხომ მხოლოდ კინოში არ ხდება. რომელიღაც საესტრადო შლაგერში შეყვარებულ მსმენელს ურჩევნია ხოლმე იგივე, ათასჯერ გაგონილი სიმღერა მოისმინოს, ვიდრე რაღაც ახალი, რომელსაც მისი ყური ჯერ არ მიჩვევია... და ამ შემთხვევაშიც ყველაფერი პირიქით მოხდა — ელდარ შენგელაიამ გადაიღო ფილმი, რომელსაც არავინ ელოდა.

„დიდი მანევრების“ პრემიერიდან უკვე კარგა ხანი გავიდა და დღეს, ნორმალურ საზოგადოებში, რომელშიც ჩვენგან განსხვავებით აღარ არსებობს არც რიტუალების კულტი, არც ტრადიციულის, ძველის გაფეტიშება, საზოგადოებაში, რომელიც წინ იყურება, და არა უკან, რეჟისორის უნარი — უარი თქვას ძველზე და იფიქროს ახალზე, მისი ფილმის მთავარ ღირსებად ჩაითვლებოდა. ასეთი საზოგადოება რეჟისორს იმასაც აპატიებდა, თუ ახლის ძიების პროცესში ყველაფერი ჯერ კიდევ არ იქნებოდა დახვწილი და მთლიანი... მაგრამ ჩვენში ყველაფერი პირიქით ხდება. დღეს საქართველოში დიდი წყალდიდობაა და წყლის ნაკადთან ჭიდილში ჩვენ უფრო ხავსადქცეულ არქაულ ფასეულობებზე ჩაჭიდებას ვამჯობინებთ ნაპირისკენ ცურვით გასვლას, რადგანაც ცურვა ენერგიის დახარჯვას და შრომას მოითხოვს.

„ექსპრეს-ინფორმაცია“ იმ ფილმებს მიეკუთვნება, რომელთა სრულყოფილი აღქმა აგრეთვე გარკვეულ შრომას მოითხოვს და არა მხოლოდ და მხოლოდ „გულით „ჭლასნოსტის“ ეპოქას, მისთვის დამახასიათებელი „პირდაპირი რეპორტაჟებითა“ და მიტინგებით, რომელმაც ჩვენში გამოიწვია „ეროვნული კომუნისტებისა“ და „ეროვნული ანტაკომუნისტების“ საოცარი ალიანსი, აღადგენს სამხედრო გადატრიალების ფაქტებსაც- უფრო სწორად, ფაქტებს სწორედაც რომ არ აღადგენს, რადგანაც „რაც უფრო ზუსტია, მით უფრო მართალია“, არ არის ელდარ შენგელაიას მხატვრული პრინციპი. მანქანები, წარწერით „საქართველო“, რომლებიც თბილისის ქუჩებში დაქრიალებენ, იქიდან კი წამდაუწუმ ავტომატებიდან ისვრიან, სატელევიზიო „ექსპრეს- ინფორმაციები“, მათთვის დამახასიათებელი „ნახევარ-სიმართლეთი“ და დანაშაულის „სახალხო გამოძიებით“, ჩვენთვის ესოდენ ნაცნობი ფრაზები „მე დიალოგის მომხრე ვარ“, „ეხლა ჩვენ აქ დავსხდებით“,

„სხელმწიფო კაპიტალიზმი“, „საპატიო დირექტორის თანამდებობა“ და მრავალი სხვა რამ, რასაც ნახავთ და მოისმენთ ამ ფილმში, მხოლოდ და მხოლოდ ნიშანია არა იმდენად კონკრეტული დროის, რამდენადაც, საერთოდ, ისტორიის, როგორც ასეთის, პორტრეტის დასახატად. ფილმის გმირთა კაბინეტებში აქ ერთმანეთს ენაცვლება ჯერ ალბათ აკ-ს მდივნის, შემდეგ „ეროვნული პრეზიდენტის“ თუ „ეროვნული გმირის“, შემდეგ კი ავტომატიანი კაცის — სამხედრო საბჭოს თავმჯდომარისა თუ „ეროვნული ჯარის მეთაურის“ ფოტოები. ასეთი ცვლილებებისათვის ამსოლუტურად მოუმზადებელი, გაზარმაცებული და განებივრებული საზოგადოება აქ დაღუპვის წინაშე იმყოფება. ისტორია და საზოგადოება ხდება კიდეც „ექსპრეს-ინფორმაციის“ მთავარი გმირი.

ფილმის სცენარის ავტორმა რეზო ჭეიშვილმა და ელდარ შენგელაიამ ეს საწამლავი, რომელსაც გახრწნისკენ მიჰყავს საზოგადოება, გამოხატეს ასკილის წვენის სახით, რომელსაც ადამიანები დაუწამლავს და ახლა, როგორც ეს ჩვენში ხდება ხოლმე, ტელევიზია გვაცნობებს, რომ „აღრეულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება“. ამ ე.წ. „ექსპრეს-ინფორმაციას“ აქ საპატიო თბილისელების დაჭილდოების ცერემონია ემატება. ეს ყველაფერი კი გამოიხატება, როგორც შოუ, როგორც კონკერტი, გართობა, „ლივლივი“, რომელსაც ქვეყანა გაჭრობისაკენ მიჰყავს.



ფილმის ექსპოზიციაში ჩართულია „თბილისობის დღესასწაულის“ ქრონიკა — მწვადებითა და ღვინის მდინარეებით, ქართული და ჭურთული ცეკვა-სიმღერით, გაბადრული უცხოელი ტურისტებით და „ანდროპოვის ყურების“ წინ გამართული აღლუმით, რომელიც არაერთხელ გვინახავს ეკრანზე. დღეს ეს უკვე აღიქმება, როგორც ხელოვნურად შენარჩუნებული მთლიანობის გამომხატველი. აბსურდი, იმ მთლიანობისა, რომელიც შხამიანი ასკილის წვენით ახლა ჩვენს წინაშე დაიშლება და დაიშლება ისე, რომ მამაზეციერიც კი ვერ გაერკვევა სინამდვილეში.

მთლიანობის დაშლა და ხელოვნურად გამთლიანებული აბსურდის ამჯერად უკვე აბსურდულ ქაოსად ქცევა „ექსპრეს-ინფორმაციის“ ესთეტიკის განმსაზღვრელი ხდება. პირველად ელდარ შენგელაიას ფილმებში უსიამოვნო და ულამაზო ხდება პლასტიკა, პირველად ელდარ შენგელაიას ფილმებში დრამატურგიას აკლია მთლიანობა და თანმიმდევრობა, პირველად შეიძლება „გემოვნებაზე კამათიც“. ბევრი ამას იმით ხსნის, რომ ფილმი დროის დიდ მონაკვეთშია გადაღებული და სურათის კეთების პროცესში ჩვენში ბევრი რამ შეიცვალა. რა თქმა უნდა, ობიექტურმა პირობებმა უთუოდ იმოქმედა ფილმის ესთეტიკაზე, მაგრამ სურათი ხომ სწორედ ამით ხდება საინტერესო! უნდოდა თუ არ უნდოდა ეს რეჟისორს, სწორედ დროისა და „მთავრობების“ (სისტემებისაც კი) ცვლამ განაპირობა „ექსპრეს-ინფორმაციის“ მხატვრული სამყაროს მთავარი თვისება — დროსა და გემოვნების ცვლამ, განსხვავებულის ურთიერთშეჭრამ საბოლოოდ მოგვცა თანამედროვე მსოფლიო ხელოვნებაში ესოდენ პოპულარული „მხატვრული კიჩის“ ფაქტობრივად პირველი ნიმუში ქართულ კინოში (საინტერესოა, რომ „ექსპრეს-ინფორმაციის“ პრემიერიდან სულ ცოტა ხნის შემდეგ დათო ნაცვლიშვილმა დასასრულა ფილმი „ლეონარდო“, რომლის ესთეტიკა ასევე კიჩს მოგვაგონებს). ეს არც არის გასაკვირი — „კიჩის ეპოქაში“ მცხოვრებ საზოგადოებას არანაირი ესთეტიკური სისტემა არ გააჩნია და არც შეიძლება გააჩნდეს — ჩვენში დღეს „ექსპრეს-ინფორმაციის“ („მაცნეს“, „მონიტორის“) ესთეტიკა ბატონობს და ელდარ შენგელაიას ფილმიც ჩვენი ამ „უსტილო ეპოქის“ აღბეჭდვაა, ხოლო თავად ფილმის ღირსება უპირველეს ყოველისა ისაა, რომ ასეთი ესთეტიკა უხეირო რეჟისურისა და ქაოტური დრამატურგიის გამო კი არ იქმნება, არამედ ასეთი ესთეტიკა — რეჟისორის პრინციპია, იგი მთლიანად გააზრებულია (სწორედ ამიტომ არის „მხატვრული კიჩი“), რადგანაც სწორედ ასეთი ესთეტიკა გამოხატავს ყველაზე მეტად ავტორის სათქმელს.

კიჩის ანუ „უგემოვნების“ ესთეტიკის ნიშნები ელდარ შენგელაიამ ჯერ კიდევ „არაჩვეულებრივ გამოფენაში“ შექმნა. ფილმის გმირი, აგული ერისთავი კიჩის ტიპიურ ნიმუშებს — სასაფლაოს ქანდაკებებს ძერწავს, რათა „ფული იშოვოს“, მაგრამ ოცნებობს ჭეშმარიტი ხელოვნების ნიმუშის შექმნაზე. იქ ელდარ შენგელაია და რეზო გაბრიაძე იმედიანად ამთავრებდნენ ფილმს — ახალი ესთეტიკა უკვე მომავალ თაობებს უნდა შეექმნათ. „ექსპრეს-ინფორაციაში“ ეს მომავალი თაობები არათუ ახალ ესთეტიკას, თვით „კიჩსაც“ ვეღარ ქმნიან — ოდესღაც ცნობილი მომღერალი ახლა სასაფლაოს გამგე ხდება (ბიუროკრატიზმი კვლავ რჩება ელდარ შენგელაიას ფილმებად), ეს ადამიანები ჭურდობენ, ტყუიან, ან „ლურჯების“ მოძრაობაში ერთიანდებიან - და „ჟუჟუნა წვიმას“ მღერიან — სასაფლაოს ესთეტიკა უკვე რეალურ ცხოვრებაში გადმოდის (ელდარ შენგელაია მისთვის ჩვეული გონებამახვილობით მიმართავს თვითციტატებს — ისევ სასაფლაოს სახეს, სეისმოლოგებს, რომლებიც „ცისფერი მთების“ მარკშეიდერს მოგვაგონებენ, ოღონდაც აქ მიკროფონებს აყენებენ დუგლასის სახლის კედლებში. თვითირონია კულმინაციას აღწევს „ქალაქობის აღლუმის“ ეპიზოდში, რომელშიც რეჟისორი რთავს იმ დროის ქრონიკას და გვიჩვენებს „კორუმპირებულ ინტელიგენტს“... ელდარ შენგელაიას, იმ დროის „კომუნისტური ელიტის“ გვერდზე), ხოლო რაც შეეხება წინა თაობებს, მოხუცებს, მათ მიერ გამოგონილი მანქანა MK-7 — ახალი დანდგარი, რომელიც ხელით შრომის შესამსუბუქებლად იქმნება, ბოთლებს ქარხნის ტერიტორიის გარეთ ისვრის. ეს MK-7 უკვე ჩოჭხეთის სახეა, რომელიც შესანშნავად გამოხატავს დანგრევის ვნებას — ასკილის შხამზე უფრო მეტად გამანადგურებელს.

ისევე, როგორც თავის ყველა სხვა ფილმში, ელდარ შენგელაია ახერხებს ამ არაადამიანური ცხოვრებისა და ქაოსის ჩვენებასთან ერთად არსად, არცერთ ეპიზოდში არ გაკიცხოს თავისი გმირები. ეს ამ რეჟისორის რაღაც განსაკუთრებული უნარია, რაც საგრძნობი იყო „ცისფერ მთებშიც“. საუკეთესოა ამ მხრივ ეპიზოდი ლიფტში, ვიწრო სივრცეში თავმოყრილი ფილმის გმირების პორტრეტებით. ამ ეპიზოდში ისიც ნათელი ხდება, რომ „ექსპრეს-ინფორმაციის“ პერსონაჟები აღარ არიან ისეთი კოლორიტულნი, როგორც ელდარ შენგელაიას სხვა ფილმებში, ამიტომაც მათ მიერ წარმოთქმული სიტყვები, დიალოგებიც ნაკლებად გამახსოვრდება (სწორედ ეს იყო ხოლმე ესოდენ დამახასიათებელი ამ რეჟისორის ფილმებისათვის და სწორედ ამის დაკარგვას საყვედურობენ მას „ექსპრეს-ინფორმაციის“ ოპონენტები). მაგრამ სხვაგვარად ხომ არც შეიძლება ყოფილიყო — „ექსპრეს— ინფორმაცია“ ხომ შოუა, ისტორიის სიფრეალისტური პორტრეტის შექმნის ცდაა. შემთხვევით არ ჩნდება ფილმის დასაწყისში ურაგმენტი რობერტ სტურუას „კავკასიური ცარცის წრიდან“. ბრეხტი სახეების სქემატურობას მათი გამომხატველობის ხარჯზე ნიღბავდა. „ექსპრეს-ინფორმაციაში“ ელდარ შენგელაია პირველად დაუახლოვდა ასე ბრეხტის ესთეტიკას — ყველაფერმა მოიყარა თავი ფილმის ესთეტიკაში — რეალისტურმა და ფანტასტიკურმა, მრავალრიცხოვანმა ზონგებმა, კოსტიუმებისა და ნიღბების ცვლამ, რეკლამამაც კი, და მართალია ხშირად შესანიშნავად მიგნებულ, გონებამახვილურ ეპიზოდებს ფილმში ცვლის ხოლმე საკმაოდ სწორხაზოვანი სახეები, მეშჩანების სამყოფელის გამოხატვა ანტიკვარული ვაზებითა და ბროლით, რაც უკვე ქართული კინოს „ცუდ ტონად“ იქცა და არ ეკადრება, ალბათ, ისეთ რეჟისორს, როგორიც ელდარ შენგელაიაა, აგრეთვე ფილმის ფინალი — მომლიმარი და სევდიანი ნიღაბი, სათანადო კომენტარით, აშკარა ჩავარდნაა, ძალზე ბანალური სახეა, მით უმეტეს, რომ მას წინ უძღოდა ბრწყინვალედ დადგმული შოუ და შესანიშნავი დეტალი — ცარიელი ჩარჩო, რომელშიც ფილმის გმირს ჯერ არ ჩაუსვია „ახალი ლიდერის“ პორტრეტი, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ფილმის ესთეტიკური პრინციპიდან გამომდინარე, ეს სახეები ცალ-ცალკე სრულიად უმნიშვნელო ხდება, როგორც ზემოთ აღვნიშნე, რეჟისორისთვის თავად ნიღბების ცვლის პროცესია, თავად მოძრაობაა უფრო მნიშვნელოვანი, რადგანაც იგი დროს, ისტორიას იკვლევს.

ამ მრავალრიცხოვან სახეთა სამყაროს, სტილის სწრაფ ცვლას, ნიღბების მონაცვლეობას, რთულ მხატვრულ სისტემას, რომელსაც რეჟისორი ქმნის მთლიანობაში, ნამდვილად ვერ აღიქვამს ის კაცი, რომელიც „კინოში მარაოთი მიდის“. ამიტომ, ჩემი რჩევაა, თუ ელდარ შენგელაიას შემოქმედება გიყვარდათ და „ექსპრეს-ინფორმაციამ“ გული გაგიტეხათ, კიდევ ერთხელ ნახეთ სურათი. ეს უბრალოდ, საყვარელი რეჟისორის მიმართ პატივისცემის გამო გააკეთეთ. თუ არა და... თავად ფილმს ამით არაფერი დააკლდება. ასე მოხდა „არაჩვეულებრივი გამოფენის“, ასე მოხდა „სამანშვილის დედინაცვლის“ პრემიერების შემდეგ. ეს სურათებიც მოგვიანებით დაფასესე. რას იზამ, ელდარ შენგელაიას „შლაგერების“ შექმნა არ უყვარს, ის ხელოვანი

ბიორგი გვახარია

Coca-Cola

დარჩით რომანტიკოსად, ბატონო ელდარ!

ქართულ კინოში 60-იანელთა მოსვლიდან თითქოს არც თუ ისე დიდი ხანია გასული, თუმცა ჩვენი საუკუნის ხელოვნებისთვის, რომლისთვისაც დამახასიათებელია არაჩვეულებრივი დინამიზმი, სწრაფი ცვალებადობა, საკმაო დროა, რომ განახლების, „გამოცოცხლების“ თუ, საერთოდ, შეცვლის საჭიროება წარმოიშვას, მით უმეტეს, როდესაც ურთიერთგამომრიცხავი და წარმოუდგენელი მოვლენებით დატვირთულ ბოლო ათწლეულში გაოცების უნარიც კი თითქმის დაკარგეთ. 60-იანელთა მიერ დამკვიდრებული ფილმ-იგავების ესთეტიკამაც, რომელმაც ამ ხნის განმავლობაში განიცადა თავისებური ტრანსფორმაცია, ნაწილობრივ კი ჩიხშიც მოექცა, ცხადია, უკვე თქვა თავისი სათქმელი და მისკენ მიბრუნება გზის ტკეპნას ემსგავსება. ალბათ, ამასაც გულისხმობდა სწორედ 60-იანელთა ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი ელდარ შენგელაია, როდესაც თავისი ახალი ფილმის პრემიერაზე განაცხადა: რომანტიზმის დრო აღარ არის... რაც შეიძლება, მეტი სიმართლე უნდა ვთქვათ. მაგრამ... გარდა იმისა, რომ ჩემთვის მიუღებელია თვითონ ასეთი პრობლემა — არის თუ არა რომანტიზმის დრო ხელოვნებაში, იმის მიხედვით, რამდენად დაძაბულია პოლიტიკური სიტუაცია და გართულებულია ცხოვრება (ამავე პრინციპით შეიძლება დავასკვნათ, რომ ასეთ შემთხვევაში საერთოდ „ხელოვნების დრო არ არის“) — ჩემი აზრით, ამ თვისების უარყოფით ქართული კინო თავის უმთავრეს ღირსებას დაკარგავს. ახალი, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს ძველის კატეგორიულ უარყოფას; პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ გარკვეულწილად მისი განვითარებაცაა. რადგან ინარჩუნებს საყრდენს, ძირითად მარცვალს, რასაც ქართული კინოსათვის, ალბათ, სწორედ „დამწეებული რომანტიზმი“ წარმოადგენდა, რომელიც ანიჭებდა მას პოლიფონიურ ხასიათს და გამოარჩევდა გაშიშვლებული სიმართლის პუბლიცისტურობისაგან.

გასაოცარია ამ სიტყვების მოსმენა სწორედ ბატონი ელდარისაგან, რომელიც ყოველთვის რჩებოდა „ჰეშმარიტების მაძიებელ რომანტიკოსად“ — განა მისი „შერეკილი“ გმირები ნაკლებ სიმართლეს გვეუბნებოდნენ? ანდა რა არის, საერთოდ, ხელოვანის მიერ ნათქვამი სიმართლე? — ის, რაც ყველასთვის თვალნათელია და რასაც უთვალავჯერ იმეორებს ყველა? თუ რაღაც უფრო განზოგადებული, „ყოველდღიურ სიმართლეზე“ ცოტა ზემოთ მდგარი — ზესიმართლე? (მომიტევეთ პათეტიკისათვის — თ.ხ.).

ერთი შეხედვით, ელდარ შენგელაიას ახალ ფილმში — „ექსპრეს-ინფორმაცია“ — ყველაფერი ძველებურადაა, რეჟისორი თითქოს არ ღალატობს თავის შემოქმედებით პრინციპებს — ისევ აბსურდი, ისევ „შავი“ იუმორი... მაგრამ დაკრგულია სწორედ ის უმთავრესი, ის რომანტიზმი, „ცისფერი ფერის გამჭვირვალება“, რაც ყველაზე უფრო „პროზაულ“ „ცისფერ მთებშიც“ კი არ ტოვებს რეჟისორს. ამ ფილმის ერთგვარი პუბლიცისტური ჟღერადობა კიდევ (რო გამძაფრებულია ახალ სურათში, მაგრამ „ცისფერი მთებისგან“ განსხვავებით, სადაც ბიუროკრატიზმისა და უაზრო ყოფის განზოგადებული მხატვრული მოდელი იხატებოდა, აქ პირდაპირი, სწორხაზოვანი ასოციაციები ჩნდება.

ტელერეპორტაჟის ფონზე ფილმის დასაწყისშივე ვეცნობით მოჩვენებითი კეთილდღეობითა და ურთიერთსიყვარულით მცხოვრებ საზოგადოებას — „თბილისობის“ პომპეზურ დღესასწაულზე ირჩევენ საპატიო მოქალაქეებს — ერთი მაფიის სხვადასხვა იერარქიის წარმომადგენლებს, რომლებიც ასკილის წვენის გახმაურებულ საქმეში არიან გახვეულნი. ტოტალური ტყუილი, თვალთმაქცობა, სიყალბე ამ საზოგადოების ცხოვრების წესია. მეშჩანური ოჯახი, რომელიც დაფუძნებულია ფულზე და არა სიყვარულზე (დილით უზადოდ გაშლილ სუფრასთან დანაყრებული ხეიძე (ზურა ყიფშიძე) მექანიკურად ჩამოუვლის ოჯახის წევრებს, უგრძნობლად კოცნის და ფულს უტოვებს მათ), ცოლი (მაკა მახარაძე) ქმარს ღალატობს, ქმარი — ცოლს, ეს ორივემ იცის, მაგრამ „მოსიყვარულე“ ღიმილი სახიდან არ სცილდებათ. ის კი არა, ნანა (ცოლი) ლალისთანაც (საყვარელი — ნანა შონია) მეგობრობს — ასე ურჩევნია ორივეს ხალხის თვალის ასახვევად. სასაფლაოს გამგე (თემურ ჩირგაძე) ათასნაირ მაქინაციას ეწევა, გეგმა რომ არ ჩაუვარდეს — რა ქნას? „ნედლეული“ საკმარისი არ არის და ყველას მაგივრად ხომ არ დაიმარხება? ნოტარიუსი მისი პროფესიისთვის დამახასიათებელი შესაშური გულმოდგინებით და ყველანაირი წესის დაცვით ადგენს მიცვალებულთან ხელისმოწერის საბუთებს... სიყალბე ისე გამჯდარა ამ საზოგადოების ძვალსა და რბილში, რომ ისინი ბავშვის ჩასასხვის ბუნებრივ, „ტრადიციულ მეთოდსაც“ კი ხელოვნურს ამჯობინებენ, რის შედეგადაც ბუტაფორიული თოჯინა — ბავშვები იბადებიან (კიჩის სტილში შესრულებული ეს ბრტყელი მეტაფორა საოცრად არაორგანულია ელდარ შენგელაიას აქამდე არსებული ხელწერისათვის).

თუმცა ყველა ტყუის, მაინც ყველამ ყველაფერი იცის, რადგან ტოტალური სიცრუე ტოტალურ დასმენას, თვალთვალს ბადებს. აკვარუმში ვზიავარ, — უღონოდ შლის ხელებს ბ-ნი ზაზა „ბოსთან“ სატელეფონო საუბრის შემდეგ. მრავალსახა სამეულს — ამ ყოვლისმხილველ თვალთ და ყოვლისმსმენელ ყურთ — ხომ ვერაფერს გამოაპარებ.

კრიტიკულ ზღვრამდე მისულმა საზოგადოებამ თითქოს ვეღარ უნდა შეძლოს ასე ცხოვრება. მაგრამ ერთ სიყალბეს მეორე ცვლის. გამოუვალობის, შეკრული წრის გაურღვევლობის განცდა, „ცისფერ მთებს“ რომ გასდევდა, სადაც ძველის ნგრევა ჯერ კიდევ არ ნიშნავდა გათავისუფლებას, აქ კიდევ უფრო მძაფრდება. რეჟისორის მახვილი მზერის არეში ფსევდოეროვნული თუ ფსევდოდემოკრატიული მოძრაობაც ექცევა თავისი საარჩევნო კამპანიისა თუ მრავალპარტიულობის ისტერიით, ხალხის ნების გამომსახველი ყალბი ლოზუნგებითა თუ ამოჩემებული ეკოლოგიური მოთხოვნებით. ჩვენ დიალოგის მომხრე ვართ — გაისმის რეფრენად ირონული ფრაზა; დაე, ილაპარაკონ მათ, იდეებით შეპყრობილებმა, მაფია კი მათთან თავის კანტუჩით განაგრძობს საქმიანობას.

რეჟისორის კრიტიკული ხედვა, „რაც შეიძლება მეტი სიმართლის თქმის“ სურვილი ხშირად კარიკატურულ სიშიშვლემდე მიდის; პოლიტიკური ჟღერადობის ეპიზოდები ზოგჯერ პირდაპირ ჩვენი ცხოვრების თემებზე შექმნილ შარჟებს ემსგავსება: იქნება ეს კრება ქარხანაში თუ მის პარალელურად მიმდინარე „ლურჯების“ მიტინგი, მათი ხანმოკლე მჯდომარე გაფიცვა, რაც „ჟუჟუნა წვიმას“ ომახიანი სიმღერით მთავრდება...

თუმცა ფილმში გვხვდება ტიპიური ელდარ შენგელაიასეული ეპიზოდებიც, სადაც განმაქიქებელი მზერა გაჯერებულია ხალასი იუმორით. „ლურჯები“ მოდიან, — ამცნობენ მაღალი ინსტანციის წარმომადგენელს (ზ.ყიფშიძე). სავარძელზე აცოცებული სასწრაფოდ გადააბრუნებს კედელზე ჩამოკიდულ სახელმწიფომმართველის სურათს, რომლის ზურგზეც ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი კაცია გამოსახული.

შემოდიან წვერაოსანი, აჩაჩულ-დაჩაჩული ახალგაზრდები.

— ანექსირებულია და ოკუპირებული, — ისმის მათი დაზეპირებული სიტყვები.

— დიალოგის მომხრე ვარ, — ამბობს ბ-ნი ზაზა მობეზრებული და ინდიფერენტული სახით.

„ლურჯები“ ახალი მთავრობის სათავეში მოსვლისასაც გამოჩნდებიან — (ამაზე კაბინეტში გამოკრული უკვე ჩოხოსანის სურათი მიგვანიშნებს). მათ ამჯერად უკვე პიჯაკები ჩაუცვამთ, თუმცა არაინტელიგენტური სიფათებისთვის ჯერ ვერაფერი მოუხერხებიათ.

კაბინეტში გაკრული სურათი კიდევ რამდენჯერმე „გადაბრუნდება“ — ჩოხოსანი ადგილს უთმობს სამხედრო ფორმაში გამოწყობილ ავტომატიან მამაკაცს, ბოლოს კი ჩარჩოში სიცარიელე ისადგურებს. ბ-ნი ელდარი ამჯერადაც არაერთხელ მიმართავს განმეორებას — თავისი შემოქმედების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ხერხს, რომელიც ახალ პლასტს სძენდა ხოლმე ფილმს. მათგან განსხვავებით, სადაც ვერ ნახავდით ზედმეტ დეტალს, ნიუანსს, მით უმეტეს ეპიზოდს, მეჩვენება, რომ აქ რეჟისორი ზოგჯერ კარგავს ზომიერებას. ასე მაგალითად, ზედმეტად მიმაჩნია ტოტალური შეიარაღების გამომხატველი კადრების გამეორება. როცა თავდაპირველად ეკრანზე სრულიად მოულოდნელად გამოჩნდება მანქანა, საიდანაც უმისამართოდ და ისტერიულად ისვრიან, უკვე აშკარაა რეჟისორის დამოკიდებულება ამ მოვლენისადმი. მაგრამ მანქანაც კიდევ რამდენჯერმე ჩაიქროლებს და ფილმის პერსონაჟთა აფექტაციის ერთ ეპიზოდშიც ყოველი მათგანი „დააძრობს“ იარაღს და გამაყრუებელ სროლას ატეხენ.

ხსნებული ეპიზოდი არა მხოლოდ სიუჟეტურად არაფერს იძლევა, არამედ სტილისტურადაც ამოვარდნილია ფილმიდან, თუმცა რეჟისორი ახალ სურათში არაერთხელ მიმართავს კიჩის ელემენტებს, რომლის ესთეტიკითაცაა გადაწყვეტილი სწორედ ეს კადრები და რომელსაც ფილმის დასაწყისშივე ვაწყდებით. ტელევიზიაში მოწვეული საპატიო მოქალაქეები ჯადოსნური ჯოხის ერთი აქნევით მოულოდნელად ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობიან და ხალხურ სიმღერას შემოსძახებენ. გადაცმის ხერხს კვლავაც მიმართავს რეჟისორი ფილმის დასასრულს: ამჯერად უკვე უფრო „ცივილიზებულ“ გარდერობს — საბალო კოსტიუმებს — ირჩევენ პერსონაჟები, ჰუმანური პრინციპების გათვალისწინებით ამნისტირებულნი ამაყად უმღერიან თავისუფლებას (აშკარაა რეჟისორის ირონია როგორც ფსევდოპატრიოტული, ისე ფსევდოდემოკრატიული და დასავლური იდეოლოგიის მიმართ).

ელდარ გავაგრძელებ ცალკეული ეპიზოდების მოყოლას ან განხილვას, ვიტყვი მხოლოდ, რომ ისინი ფილმს ვიზუალურად ძალზე ჭრელს ხდიან. ცხადია, აქ დიდი „დამსახურება“ მიუძღვის გამოცდილ ოპერატორს — ლომერ ახვლედიანს, რომლის ნამუშევარი გასაკვირი უგემოვნობით გამოირჩევა (განსაკუთრებით თვალისმომჭრელია მყვირალა, ლოკალური ფერები). ელდარ შენგელაიას ფილმები ყოველთვის გვხიბლავდნენ საოცარი სისადავით, სტილური ერთიანობით, რომელსაც ამ შემთხვევაში ანგრევს კიჩის პრეტენზიულობა. თუმცა ფილმი მთლიანად ამ სტილისტიკაში რომ გადაღებულიყო — სტილისტიკაში, რომელიც ყველაზე უკეთ გამოხატავს ჩვენი ქაოტური ყოფის არსს — შესაძლოა, მისთვის უფრო მომგებიანიც ყოფილიყო. ამჯერად კი მივიღეთ ეკლექტური სანახაობა, ესოდენ მსგავსი ჩვენი ტელეპროგრამებისა — ფილმიც ხომ სწორედ ორიგინალურად მოძებნილი ტელერეპორტაჟის სტრუქტურაზე იგება, თუმცაღა ბოლომდე არ არის გათამაშებული: კარგად თუ ცუდად მომზადებული პუბლიცისტური გადაცემებით, უგემოვნო გასართობი პროგრამებით, შიგადაშიგგარეული სანტიმენტალური გადაცემებით (მხედველობაში მაქვს ლალისა და დუგლასის მელოდრამატული ისტორია).

შესაძლოა, შეკოწიწებულობის ეს განცდა გამოიწვია ფილმის შექმნის რთულმა პროცესმა — საოცარი სისწრაფით ცვალებადი დროის კვალდაკვალ იცვლებოდა თვით სურათიც: რაღაც აკლდებოდა, რაღაც ემატებოდა, სცენარი თითქმის ახლად დაიწერა... ფილმი კი, რომელიც ცოცხალ ორგანიზმს წარმოადგენს, ვერ იტანს მრავალგზის ქირურგიულ ჩარევას, რომელიც უამრავ ნაწიბურს ტოვებს მასზე. ასეთი ნაწიბურიანი აღმოჩნდა ამჯერად ელდარ შენგელაიას და რეზო ჭეიშვილის ნაცადი დუეტი, რომელიც საოცარი ბუნებრიობით, მოქმედების დენადი განვითარებითა და შეკრული სტრუქტურით გამოირჩეოდა ხოლმე. დრამატურგიული მთლიანობა და ლაკონიზმი, რეჟისორული მეტყველების სისადავე და უშუალობა ელდარ შენგელაიას ფილმებს მაყურებლის დაუსრულებელი აღტაცების საგნად აქცევდა; რეჟისორი უმცირესი ნიუანსების შემოპარებით — სწორედ შემოპარებით, ყოველგვარი პედალირების გარეშე ახერხებდა მრავალფეროვანი ეკრანული სამყაროს შექმნას.

სამწუხაროდ, ამჯერად დენადი სტრუქტურის, „შეპარვის“ ხერხების ადგილს, როგორც უკვე ვთქვი, ხშირად მშრალი პუბლიცისტიკა და სწორხაზოვნება იკავებს, რომლის ყველაზე უფრო აშკარა დემონსტრირებას ფილმის ფინალური კადრი წარმოადგენს. დიქტორის ხმა იუწყება, რომ დაბადებულა ორთავიანი ბავშვი, რომელიც უცნაურობით გამოირჩეოდა. თურმე, როცა ერთი თავი ტიროდა, მეორე იცინოდა. ჩნდება ორი ტრადიციული თეატრალური ნიღაბი. „ცრემლნარევი სიცილისა“ და „სიცილნარევი ცრემლის“ ესთეტიკა ელდარ შენგელაიას შემოქმედებით პრინციპად პირველივე ფილმებიდან ჩამოყალიბდა. მათში ეს ურთიერთსაწინააღმდეგო მოვლენები ყოველთვის ორგანულადაა შეზავებული და ძნელია, გაავლო ზღვარი — სად მთავრდება კომიკური და სად იწყება ტრაგიკული. მაგრამ ყველაფერში მეტი სიცხადის შეტანის, დაკონკრეტების იდეამ („რაც შეიძლება მეტი სიმართლე უნდა ვთქვათ“...) დაბადა სწორედ ამ პრინციპის ბანალური მეტაფორაც, რომელმაც ფილმის ნახვისას საბოლოოდ კიდევ ერთხელ გამაკვირვა, როგორც რეჟისორისთვის მანამდე სრულიად უცხო ესთეტიკის გამოხატულებამ და კიდევ ერთხელ გამახსენა პრემიერაზე წარმოთქმული სიტყვები: რომანტიზმის დრო აღარ არის...

გეთანხმებით, ბატონო ელდარ, ნამდვილად გვეყო, რაც ცხოვრებაში „ვირომანტიკოსეთ“, მაგრამ მაინც მგონია, რომ ხელოვნებაში რომანტიზმის დრო ყოველთვის უნდა იყოს.

თეო ხატიაშვილი

ქართული საგალობლო ტრადიცია

ყოველმა ქართველმა იცის, სად ისმარის სიტყვა „სიმღერა“ და სად სიტყვა – „გალობა“. მაგრამ, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება იმის გაცნობიერება, თუ როგორ კონტექსტში გვხვდება ეს სიტყვები ძველ წერილობით წყაროებში.

„სიმღერა“ და „გალობა“ – ამ ორი ტერმინის მნიშვნელობის გამმსაზღვრელად უპირველესად ისმარება – „ხმა“. ეს სიტყვა ნიშნავდა არამარტო ადამიანის მიერ წარმოქმნილ მგერას, არამედ ინსტრუმენტის მიერ გამოცემულ ხმასაც. მაგ.: 1. ნეშტთა 15,30-ში ნათქვამია: „ზაქარია მომღანთა თანა დამღისა ხმითა გალობდეს“, ანდა: 2 მეფეთა 19,35-ში: „ვისმინო ხმაი კუალად გალობისა, ხმად მომღერთა“.

ყოველთა საკრავთა მგერებსაც „ხმა“ ერქვა. მაგ.: 2. ნეშტთა, 15,31: „ხმაი საყვირისად“, „ხმაი ნესტვისაი“ და სხვა.

აი, რას მრავალს დიდი ქართული ლექსიკოგრაფი სულხან-სამა ორბელიანი ამ ორი ტერმინის შესახებ. იგი იშველიებს გამოსვლათა 32,6 და ამბობს, „სიმღერა მსოფლიო ხმიანობაა“, ხოლო გალობა „არს ხმა ავაჯიანი, შეწყობით აღტყვებული, თვინიერ ორღანოსა, გინა ორღანოთა და მწყობ[illegible]თა. – გალობა არს მართლ-მადიდებლობითა მიერ ღვთისმეტყველებისა“.

ცხადია, სიმღერა საერო, ხოლო გალობა – სასულიერო მუსიკის აღმნიშვნელი ტერმინი იყო.

ამასვე მრავალს იოანე მაცონიშვილი „კალმასობაში“: „გალობა არს ხმაი ანგელოსთადმე შემსგავსებული, რომელნიცა წინაშე საცდართა, ღვთაებისათა გალობენ „წმიდაო, წმიდაო უფალო სამაოთ“ და ამისთვის გალობა, თუ არ საღმრთოთა ზედა, სხვებრ არ მიიღების, ხოლო გალობა სასელ იღების ეკლესიერსა მსასურებასა შინა. მიღებული საღმრთოითა წერილებთაგან სტისად, პოებად ანუ წარსაკითხველად „ცისკართა“ ზედა კანონისამებრ, რომელიც არიან რიცხვით ცხრანი“.

აკადემიკოსი ი.ჯავახიშვილი ტერმინს „გალობა“ უფრო ადრინდელად მიიჩნევს, ვიდრე ქრისტიანობაა. მას მოჰყავს „დამადების“ ძველი ქართული თარგმანი, სადაც სიტყვა „გალობა“, საერთოდ, სიმღერის აღმნიშვნელია. მაგ.: იობის 30,31-ში ნათქვამია: „მოიქცნეს გალობა ჩემი გოდებად ჩემდა“.

ტერმინი სიმღერა XII ს-მდე უფრო თამაშის გამომსახველი სიტყვა იყო, ხოლო შემდეგ ისმარების როგორც სიმღერის, ასევე თამაშის გამომსახველად. სამოღოდ მაინც რჩება ადამიანის ხმის გამომსახველ ტერმინად, მხოლოდ სხვა ასპექტში, გალობასთან შედარებით.

მეფეთა 6,22-ში ნათქვამია: „ვიმღერდე და ვრეკვიდე წინაშე უფლისა“. დამადების მეორე ქართულ თარგმანში ეს წინადადება ასეა ნათარგმნი: „წინაშე უფლისა ვრეკვიდე... ამისთვის ვმღერ და ვშუშპარობ“.

ორივე შემთხვევაში „ვიმღერ“ და „ვმღერ“ თანამედროვე მკითხველს სიმღერა-გალობის აღმნიშვნელად მოეჩვენება, მაგრამ მრავალ და ღათინურ დედნებში ეს სიტყვები თამაშს ნიშნავს.

ასე რომ, ძველ დროში „სიმღერა“ თამაშობის აღმნიშვნელი სიტყვა ყოფილა, ხოლო XII ს-ის ბეგლებში იგი უკვე საკუთრივ გალობის გამომსახველია, ისე როგორც დღეს გვესმის ამ ტერმინის მნიშვნელობა.

ბალზე მნიშვნელოვანია ის თვალი, თუ როგორ დაიმკვიდრა ქრისტიანულმა გალობამ თავისი ადგილი ქართველ ხალხში, რა აიღო მან თავისი წინამორბედებისგან, ე.ი. ხალხურ-სასიმღერო ტრადიციებიდან, რა უარყო და რა შემოგვინახა.

საოცარი სიზუსტითა და ზედიზი მეცნიერული აღღოთი აკადემიკოსი ი.ჯავახიშვილი ქრისტიანული გალობისა და, კერძოდ, ქართული საგალობლის ეკლესიაში დამკვიდრების პროცესის შესახებ მსჯელობს:

„წარმართული საერო და სარწმუნოებრივი მუსიკის მეზობლობრივ განვითარებას ქრისტიანობაში დაედვა საზღვარი, რომელსაც ასალ რწმენასა და მსოფლმხედველობასთან ერთად საქართველოში წირვა-ლოცვის ასალი ჰანგებიც შემოყვა.

„კარგად ცნობილია, რომ ქრისტიანობამ ებრაელთაგან წირვა-ლოცვაში ერთხმიანი გალობა შეითვისა, რომელიც დასავლეთ ევროპის კათოლიკური და ქართული ეკლესიების გარდა, დღეკანდლამდე ერთხმიანადვე შემორჩა მორბენულს, სომხურს და ასირიულ ეკლესიებს. XI ს-ში თვით რომის ეკლესიასაც ერთხმიანი გალობა ჰქონდა.

ცხადია, რომ ქართულ ეკლესიასაც თავდაპირველად და უმეტესს სანაში ერთხმიანი საეკლესიო გალობა უნდა ჰქონოდა“.

ამ ეკ. ი.ჯავახიშვილი გამოთქვამს თავის მოსაზრებას იმის თაობაზე, თუ როდის უნდა შემოსულიყო ერთეული სული ქართულ გალობაში და როდის გაიკარა აღმოსავლეთ ეკლესიებთან გალობის გზები.

„ცხადია, რომ ებრაულ-ასურულ-სომხურ გალობა-საგალობლებთან კავშირი, თუ ამაზე უწინარეს არა, მაინცდამაინც უკვე VII ს. დამდეგიდან უნდა შეწყვეტილიყო, როდესაც ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის სარწმუნოებრივი ერთობა სამოღოდ შეწყდა, უფრო სანგრძლივი უნდა ყოფილიყო კავშირი სამრეკლო-მიზანტიასთან, ამიტომ ქართულ საგალობლთა ჩამოყალიბების განსაზღვრისათვის უნდა ვიცოდეთ, თუ როდის უნდა დაშორებოდა ქართული გალობის წესი და საგალობლთა ჰანგები მორბენულ წესს და ჰანგებს“.

ამ გაცრის ზუსტი თარიღი არ მოგვეპოვება, მაგრამ ქართული გალობის დამოუკიდებლად არსებობის შესახებ გვაქვს შესანიშნავი ცნობები მიქაელ მოდრეკილის საგალობლთა კრებულში (X ს.), საიდანაც ჩანს, რომ X ს.-ში ქართული ენით აღსრულებოდა სტლისპირნი და გალობანი ჩვენს ტაძრებში. საინტერესო ცნობად უნდა ჩაითვალოს გიორგი სტეფანოზაზვნის ნაამბობი, გიორგი მთაწმინდელისა და მის ობოლ მავშვთა მგალობელთა გუნდის შესახებ.

გ.მთაწმინდელმა კონსტანტინოპოლში მიზანტიის კეისარს თხოვნა გადასცა და მისი გულის მოსაგებად გალობა აღასრულა კეისრის წინაშე.

„მაშინ უბრძანა მეფემან, რათა ქამობანი ათქმიოს ობოლთა მათ თესითათ. ხოლო მან ფიმეონ მოსტეტელისა გალობანი გვიბრძანა გალობად, რომელი არს ესე „მადლობარ ეგლეთა ქერუბინთა მეფეო“ და „აწ განუტევე მეუფეო“. ხოლო ვითარცა ვთქუთ, გალობათ იგი დიდი მადლი უბრძანა მეფემან მორსა მას, ვითარმედ განგისწავლიან მორბენულსა გუარსა ზედა, ვეთილო მორო, შენი ობოლნი და მრძანა ათასი აქუნა მიეცათ მათდა“.

ეს მონათხრობი XI საუკუნისაა, რაც უცილობელი სამუდამოა ქართული და მორბენული გალობების ცალ-ცალკე არსებობის და მათი სხვადასხვა გვარობისა.

რაც შეეხება წარმართული მუსიკალური კულტურის უარყოფას ქრისტიანობის მიერ, ეს მრავალ დღესაც უნდა გაგრძელდეს იმ მნიშვნელობებით, რომ ტაძარში უნებლიეთ არ გაგვეპაროს ერში არსებული და ღრმად ფესვგადგმული სასიმღერო ჰანგები.

შეიძლება გალობით დაინტერესებული მუსიკოსი კარგი კომპოზიტორი და დიდი პატრიოტიც იყოს, მაგრამ ეს სრულებით არ აძლევს უფლებას მას (თუ იგი რელიგიური ცნობიერებისა არ არის და არ ერკვევა საეკლესიო საგალობლის სტილში, მაშასადამე, მის კანონიკურ არსშიც), წერილს საეკლესიო საგალობელნი.

ქართული ქრისტიანული გალობის დამკვიდებისა და წარმართული-ქართული მუსიკის განცალკევების პროცესი ჯერ კიდევ V საუკუნეში დაწყებულა.

ბოლო ქართველის ცხოვრების ასურულ ტექსტში ნათქვამია, რომ არჩილ მეფემ, დავით მეფის მსგავსად, საეკლესიო საგალობლების მგალობელნი გაიჩინა, რომელნიც პეროზისა თუ ყოველ სხვა დროსაც ღმრთის წმიდა სიტყვებს გალობდნენ. ასე რომ, მისი სასახლე ეკლესიისაგან არაფრით არ განსხვავდებოდა. ასეთი აკრძალვები სასახლეში შეიძლებოდა, მაგრამ ხალხის ყოფა-ცხოვრებაში და მათ ადათ-წესებში წარმართული გალობის აღმოფხვრა არც ისე ადვილი იყო.

1103 წ. რუის-ურმნისის საეკლესიო კრებამ მიიღო გადაწყვეტილება, რათა ხალხში აღმოფხვრათ წარმართული ყოფის ნიშნები.

ცხადია, აქ დღემდის დროს ჩვენში მიღებული ხალხური სიმღერა-გასართობანიც იგულისხმებოდა.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ამბობს, რომ ჯარშიც აუკრძალავთ საერო ყოფის ამსახველი სიმღერები.

„საეშმაკო სიმღერანი, სასიობანი, განცხრომანი და გინემა ღმრთისა საბოლველი, ყოველი აწესებდა მოსპომილიყო ლაშქართა შინა მათთაო“.

მიუხედავად უამრავი დევნისა და აკრძალვებისა, მუსიკის ჰანგთა ადამიანთა წეს-ჩვეულებათაგან განდევნა არცთუ ისე იოლი აღმოჩნდა, ამიტომ საჭირო იყო მათი გამიჯვნა, რაც მოითხოვდა სპეციალისტების მობზადებას, რათა გამოეყოთ და აღმაღლებინათ ქართული საეკლესიო გალობის საერთო დონე მთელს საქართველოში და მის ყოველ კუთხეში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყოველ სასულიერო სასწავლებელში სხვა საგნებთან ერთად დიდი ადგილი ეჭირა გალობის კულტურის შესწავლას და მის თეორიულ ანალიზსაც.

წარმართული კულტის (უფრო ფართოდ – წარმართული ყოფის) სწორედ ამ გადმონაშთთა წინააღმდეგ შეურიგებელ მრძოლაში იმადებოდა ძველი ქართული პროფესიული მუსიკა, იქმნებოდა დიდი ქართული საგალობლო ტრადიცია, ესოდენ ძლიერი როგორც საკუთრივ საკომპოზიციორო, ისე საშემსრულებლო განზომილებებში. ამ დიდ სულოვნებას, ერთგული ნიშნადობით ესოდენ გამორჩეული რომ გასლავთ, განვითარების მრავალსაუკუნოვანი გზა აქვს გავლილი. მრავალ ფაქტთაგან ამაზე მეთითებს თუნდაც ის მეკეთრი ზღვარი, რასაც „საგალობელთა ბეღლთა“ და „საგალობელთა ასალთა“ შორის დებს პალესტინური (უფრო ზუსტად, სამაწმინდური) ქართული სკოლის ცნობილი ჰიმნოგრაფიული კრებული, „მეკლე იადგარად“ რომ იწოდება. საგალობელთა ორ ციკლს მიღმა, ცხადია, ქართული გალობის განვითარების ორი საფეხური იკითხება: არქაული, რომლის ლიტურგიული პრაქტიკის ანამეტი კარგად ჩანს გრიგოლ სანმთელის „საწოლიწადო იადგარში“ (VIII-IX სს. მიჯნა, შეტანილია V-VII საუკუნეთა სამგალობლო ნიმუშები ქართული ლექსთწყობის უძველესი ფორმით – წყობილი სიტყვით რომ არის სტრეფებსმული) და მომდევნო ეტაპი, – „სილამურ-ცონური ლექსის“ ანუ „საგალობელნი ასალნის“ დამკვიდრების სანას რომ ემთხვევა, როგორც ეს გაარკვია მუსიკისმცოდნე მ. იაშვილმა.

აღნიშნული ფაქტი მიგვანიშნებს შემდეგ გარემოებაზე: VIII-IX საუკუნეთა მიჯნაზე ქართულ გალობაში (ანუ საეკლესიო მუსიკაში) ადგილი ჰქონია რეფორმას. ეს უკანასკნელი გრიგოლ სანმთელს ჩაუტარებია. რეფორმა გაგარემოება როგორც სალიტერატურო ენის, ისე საკუთრივ საკულტო მუსიკის საზითაც.

რამდენი დიდი ქართველი მუსიკოსის სახელს (სწორედ კომპოზიტორს ვგულისხმობ, არსენ იაკეთელი თავის ცნობილ „ანდერძში“ „ხელოვანთ მთავარსა სულისასა“ რომ იწოდებს) აცოცხლებს ქართული გალობის ეს „წმიდა წიგნი“, ერის სულიერი ზეობის ნათელი რომ მოაქვს ჩვენს თანამედროვეობე.

ძველი ქართული პროფესიული მუსიკის ნაშუთა შემცველი 9 ხელნაწერი, ანუ სამგალობლო კრებული, შემოგვინახა ქამთასვლამ და რადენ მნიშვნელოვანია, რომ ყველა მათგანი სწორედ „ძლისპირთა“ კრებულს წარმოადგენს, მაშასადამე, ადასტურებენ მრავალხმიანი გალობის უძველეს ტრადიციას ქართულ საკულტო მუსიკაში. ეს სწორედ ის მახასიათებელი გასლავთ, რომელიც ესოდენ გამოარჩევს ქართულ გალობას, მაშასადამე, განსაზღვრავს მის ერთგულ ნიშნადობას, ქართული სამგალობლო ტრადიციის ეს არსებითი თვისება, ე.ი. მრავალხმიანი საგუნდო სიმღერის ფენომენი, ქართული მუსიკალურ-საზრდენი სისტემის ფიდელი შენაცვანია საკაცობრიო მსაცვრელ კულტურაში, მაშასადამე, საკუთრივ მუსიკალურ კულტურაში. ქართულ ხალხურ სიმღერაში, აქედან ქართულ გალობაშიც, რომელშიც მრავალხმოვნობის პრინციპი ხალხურ-სასიმღერო ტრადიციიდან შემოდის, როგორც მ.იაშვილი ამტკიცებს, ქართული საეკლესიო მუსიკის არქაული ქანრის „ბნობის“ მოსმენით ანის შემოღწეული. „ოროვა“, „ბნობა“, „საგალობელი“ – ასეთია მ. იაშვილის თვალსაზრისით ძველი ქართული პროფესიული მუსიკის დადგენების პროცესი, მაშასადამე, ქართული საკულტო მუსიკის ძირითადი ქანრის „საგალობლის“ სპეციფიკის დადგენის პროცესიც.

„საგალობელსა“ და „ბნობას“ მხოლოდ ქანრობრივი სპეციფიკა განასხვავებს, სტრუქტურის მხრივ ისინი მრავალხმიან მგერით კონსტრუქციებს წარმოადგენენ. იმ განსხვავებით, რომ „საგალობელი“ „განწმენდილი“ გასლავთ „ოროვის“ ანუ წარმართული რიტუალური ქმედების რიტმისაგან.

ყოველივე ეს, კიდევ ერთხელ, მიგვითითებს ქართული სამგალობლო ტრადიციის სანდაზმულობაზე, აგრეთვე იმაზეც, თუ როგორ თავისუფლდებოდა თანდათანობით ქრისტიანული სარწმუნოება წარმართული ელემენტებისაგან.

მამა ამირანი (ამირანაშვილი)

Coca-Cola

ფეხბურთი

საქართველო ევროპის ჩემპიონატს



მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე ინგლისურმა თამაშმა FOOTBALL-მა ფართო გასაქანი ჰპოვა და მოგვიანებით მთელს მსოფლიოში გავრცელდა. 30-იან წლებში კი ჩატარდა პირველი მსოფლიოს ჩემპიონატები, სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის ბედუკულმართობის გამო ვერ მოხერხდა საქართველოს საფუძვლიანი ჩართვა მსოფლიო ფეხბურთის განვითარებაში. ამიტომ სპორტის ამ სახეობაში დიდი ხნით ჩამოვრჩით. ამ ხნის განმავლობაში მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანამ ღირსეული ადგილი მოიპოვა საფეხბურთო ოლიმპზე და შექმნა ელიტარული ფენა, რომელიც მუდმივ ფავორიტად ითვლებოდა ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატებზე.

წამყვანი გუნდების თამაშს ყოველთვის განაპირობებდა ლიდერის ფაქტორი (მაღალი კლასის გამთამაშებელი, ასეთივე გარემარბი და კარის აღების ოსტატი). მაგალითად, ბრაზილიური ფეხბურთის ოქროს ხანაში ამ გუნდში თამაშობდნენ ისეთი ვარსკვლავები, როგორებიც იყვნენ: პელე, გარინჩა, ტოსტაო და სხვა. პელეს თამაშის სტილი, მისი მოქმედება მინდორზე ბრაზილიურ „სამბას“ ჰგავდა. უფრო მეტიც, იგი ბრაზილიელი ხალხის ტემპერამენტს ამჟღავნებდა. გერმანელთა მკაცრი, ორგანიზებული თამაში, გერმანული ცხოვრების წესის, მისი ხასიათის აშკარა გამოვლინებაა. იგივე შეიძლება ითქვას ემოციურ იტალიელებსა თუ დახვეწილი ტექნიკის მქონე ფრანგებზე. ამ გუნდებმა ინგლისის, არგენტინის, ურუგვაის გუნდებთან ერთად თავის დროზე მთელი ეპოქა შექმნეს.

დღეისათვის თამაშის დონე შედარებით გათანაბრდა და მსოფლიო ასპარეზზე გამოჩნდნენ სუსტი, ე.წ. მეორეხარისხოვანი საფეხბურთო ქვეყნები. ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი. საკლუბო დონეზე ჩვენ უკვე გვყავდა თავისი ღირსების მქონე საკმაოდ სოლიდური გუნდი. ხოლო რა იმიჯს შეიქმნის მომავალში საქართველოს ნაკრები და როგორ წარსდგება მსოფლიოს წინაშე, ამას მომავალი გვიჩვენებს. 1996 წელს ინგლისში გაიმართება ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი, ამიტომ 1994 წლის 22 იანვარს ქალაქ მანჩესტერში შეიკრიბება ფიფას საორგანიზაციო კომიტეტი და მოეწყობა წილისყრა (თუ ჩვენს ბედს გავითვალისწინებთ, კენჭისყრა დადებითს ვერაფერს გვიქადის).

ჩემპიონატი ჩატარდება ახალი სისტემით და ადრე არსებული რვა გუნდის ნაცვლად ფინალში გამოვა 16. სავარაუდოა, რომ შეიქმნება 6 გუნდისგან შემდგარი 6 ქვეჯგუფი. აქედან I-II ადგილზე გასული გუნდები მოხვდებიან ფინალურ ეტაპზე. ამის პარალელურად 5-5 გუნდისგან ჩამოყალიბდება 2 ქვეჯგუფი და პირველ ადგილზე გასული გუნდები ავტომატურად მოხვდებიან ფინალში, ხოლო მეორე ადგილზე გასული გუნდები დამატებით შეხვდებიან ერთმანეთს და მათ შორის გამარჯვებული გაემგზავრება ინგლისში. როგორც საქართველოს ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ალექსანდრე ჩივაძემ განაცხადა, არსებობს კიდევ ერთი სიახლე. თუ ადრე შეხვედრის ვადები დგინდებოდა მწვრთნელების მოლაპარაკების საფუძველზე, ამიერიდან ამას განახორციელებს ფიფას საორგანიზაციო კომიტეტი. მოსამზადებელ პერიოდთან დაკავშირებით ბატონმა ალექსანდრემ გვითხრა:

— ნოემბერში მალტაში ჩატარდება ოთხთა ტურნირი, სადაც მიგვიწვიეს. ამის გარდა, იანვრის ბოლოს და თებერვლის დასაწყისში მოსკოვის საერთაშორისო ტურნირში მივიღებთ მონაწილეობას. შემდეგ დაიწყება ეროვნული ჩემპიონატი. ალბათ, ყოველთვიურად მოვაწყობთ ნაკრების ერთკვირიან შეკრებას. ზაფხულში, როცა ეროვნული ჩემპიონატი დამთავრდება, ნავარაუდევი გვაქვს რამდენიმე ამხანაგური მატჩის გამართვა. ლეგიონერებს რაც შეეხება: თქვენ იცით, რომ შელია, ცხადაძე ბუნდესლიგაში თამაშობენ, გურული საფრანგეთში, ქეცბაია, ყიზილაშვილი, გოგრიჭიანი, კაჭარავა — კვიპროსში. ჯერჯერობით არ გადაგვწყვეტია, თუ ვის მოვიწვევთ, მაგრამ ჩვენ წინასწარ შევაგროვებთ მათ შესახებ ინფორმაციას — როგორ ფორმაში არიან, რა დონეზე და ამის მიხედვით ვიმოქმედებთ.

კახა ფაჩუაშვილი

მედიცინა

ტრანსპლანტაცია — სენსაციები და პრობლემები

ტრანსპლანტაცია ეწოდება ორგანოების ან ბიოლოგიური ქსოვილების გადანერგვას ერთი ცოცხალი ორგანიზმიდან მეორეში. ასეთი ოპერაციების წარმატებით ჩატარება დღეს სხვადასხვა დარგის მეცნიერების განვითარებამ განაპირობა. ესენია: მოლეკულური ბიოლოგია, იმუნოლოგია, ბიოქიმია, ქირურგია და სხვა.

ტრანსპლანტაციის ბუმი ჩვენს პლანეტაზე ბოლო ოცდაათი წელია, რაც დაიწყო. როგორც ყველაფერში, აქაც დასავლეთის მეცნიერებმა გაუსწრეს ყველას. ორგანოებისა და ქსოვილების ტრანსპლანტაცია თავიდანვე სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს ე.წ. იმუნური ბარიერი. ამ ბარიერის არსი შემდეგშია: ჩვენი გენეტიკური ნივთიერება — დნმ გადანერგვის გზაზე თითქმის გადაულახავ წინააღმდეგობებს ქმნის. როგორც ცნობილია, ნებისმიერ ცოცხალ ორგანიზმს და მათ შორის ადამიანს, აქვს თავისი უნიკალური გენეტიკური აპარატი. საკმარისია ორგანიზმში შეიჭრას უცხო გენეტიკური აპარატის მქონე ორგანიზმი (ბაქტერია, ვირუსი და სხვ.), იგი იწყებს მის წინააღმდეგ სპეციალური ნივთიერებების — ანტისხეულების გამომუშავებას. ანტისხეულები უვნებელყოფენ უცხო ორგანიზმებს. ისინი უზრუნველყოფენ ისეთი გადაგვარებული გენეტიკური კოდის მქონე უჯრედების განადგურებასაც, როგორებიცაა ავთვისებიანი სიმსივნეების უჯრედები, რომლებიც ორგანიზმში საკმაოდ ხშირად ჩნდებიან. ასეთივე სურათია გადანერგვების დროსაც — ანტისხეულები ცდილობენ თავიდან მოიცილონ მათთვის უცხო ორგანოები და ქსოვილები.

ტრანსპლანტაციების წარმატებით ჩატარებას დიდად შეუწყო ხელი ისეთი იმუნოდეპრესანტის (იმუნური ბარიერის დამრთგუნველი) შექმნამ, როგორიცაა ციკლოსპორინი. ეს ნივთიერება პირველად შვეიცარიის ფარმაკოლოგიურ ფირმა „სანდოზში“ იქნა მიღებული. ციკლოსპორინს თითქმის ნულამდე დაჰყავს იმუნური ბარიერის წინააღმდეგობა და ხელს უწყობს გადანერგილი ორგანოებისა და ქსოვილების წარმატებულ ფუნქციონირებას უცხო ორგანიზმში, თუმცა პარალელურად იმუნოდეპრესანტით დამუშავებული ორგანიზმი სრულიად დაუცველი ხდება დაავადების გამომწვევი ვირუსებისა და ბაქტერიების წინაშე.

1990 წელს მოხდა სენსაცია: ლოს-ანჯელესელ ცოლ-ქმარს მერი და ეიბ აილებს შეეძინათ გოგონა, რომელსაც მარისა დაარქვეს. ეს ფაქტი არც იქნებოდა აღნიშვნის ღირსი, რომ არა ერთი გარემოება. მარისა გაჩნდა, რომ გადაერჩინა საკუთარი და — ანისა. ანისა 15 წლის ასაკში დაავადებული. ციკლოსპორინს თითქმის ნულამდე დაჰყავს იმუნური ბარიერის წინააღმდეგობა და ხელს უწყობს გადანერგილი ორგანოებისა და ქსოვილების წარმატებულ ფუნქციონირებას უცხო ორგანიზმში, თუმცა პარალელურად იმუნოდეპრესანტით დამუშავებული ორგანიზმი სრულიად დაუცველი ხდება დაავადების გამომწვევი ვირუსებისა და ბაქტერიების წინაშე.

1990 წელს მოხდა სენსაცია: ლოს-ანჯელესელ ცოლ-ქმარს მერი და ეიბ აილებს შეეძინათ გოგონა, რომელსაც მარისა დაარქვეს. ეს ფაქტი არც იქნებოდა აღნიშვნის ღირსი, რომ არა ერთი გარემოება. მარისა გაჩნდა, რომ გადაერჩინა საკუთარი და — ანისა. ანისა 15 წლის ასაკში დაავადებული. ციკლოსპორინს თითქმის ნულამდე დაჰყავს იმუნური ბარიერის წინააღმდეგობა და ხელს უწყობს გადანერგილი ორგანოებისა და ქსოვილების წარმატებულ ფუნქციონირებას უცხო ორგანიზმში, თუმცა პარალელურად იმუნოდეპრესანტით დამუშავებული ორგანიზმი სრულიად დაუცველი ხდება დაავადების გამომწვევი ვირუსებისა და ბაქტერიების წინაშე.

ანისას მდგომარეობა ამ დროისათვის [illegible] ძალიან მძიმე იყო — მას გააჩნდა [illegible] თმები, გაბუსვითარდა ანემია, საერთო სისუსტე და სხვ. მთელ [illegible] იმედი მარისას ძვლის ტვინზე იყო დამყარებული. თავდაპირველად ანისას ძვლის ტვინი გაანადგურეს ძლიერი რენტგენური დასხივებით, ამის შემდეგ დაღუპული უჯრედების ნაცვლად შეიყვანეს მარისას ჯანმრთელი უჯრედები და მოხდა სიცოცხლე: ანისამ სიკვდილს ზურგი აქცია! ორ-სამ კვირაში მას დაეწყო თმების ამოსვლა, ანემიამ და სისუსტემ უკან დაიხია და სამ თვეში სასიკეთოდ განწირული ადამიანი სრულიად ჯანმრთელ პიროვნებად მოგვევლინა.

ამ ფაქტმა არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია საზოგადოებაში. ერთნი თვლიდნენ, [illegible] უზნეობაა ბავშვზე ქირურგიული ჩარევა [illegible] ექსპერიმენტების ჩატარება, როგორ კეთილშობილურ მიზნებსაც არ უნდა ისახავდეს ეს. ამგვარი ტრანსპლანტაციების მომხრეთა აზრით, ასეთი ტიპის ოპერაციები ჩაიარა.

ამის შემდეგ ასეთი ტიპის ტრანსპლანტაციებმა ფართო გამოყენება ჰპოვა სამედიცინო პრაქტიკაში. დღეს აშშ-ში ტარდება ორგანოების გადანერგვის 15 ათასამდე ოპერაცია! — აქედან 9 ათასი თირკმლის, 2 ათასი გულის, ასევე ღვიძლის, ფილტვის, პანკრეასის და სხვ. და ეს მხოლოდ აშშ-ში! ისმის კითხვა — სად პოულობენ ამდენ დონორს?

პირველ ყოვლისა, გადანერგვისათვის აუცილებელ ორგანოებს აცლიან ავტოკატასტროფებში გარდაცვლილ ადამიანებს. დღეს უკვე შესაძლებელია ცალკეული ორგანოების სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება გარკვეული დროის განმავლობაში.

კიდევ ერთი გზა: ცალკეული ორგანოებით და ბიოლოგიური ქსოვილებით ვაჭრობა. ამ „ბიზნესით“ მისი ორგანიზატორები კარგ მოგებას პოულობენ. მაგალითად, ერთი ჯანმრთელი თირკმელი ტოკიოში 50 ათასი დოლარი ღირს, მაშინ როცა ბომბეიში ან მადრასში ერთ თირკმელს მხოლოდ 1000 დოლარად ყიდულობენ. ხშირად ასეთ ვაჭრობას, განსაკუთრებით ტაილანდსა და სინგაპურში, იატაკქვეშა ორგანიზაციები ეწევიან. ეს განსაკუთრებით საშიშია შიდსის ვირუსის გავრცელების თვალსაზრისით. ასე, მაგალითად, ავტოკატასტროფაში დაღუპული ამერიკელი მოტოციკლეტისტის შინაგანი ორგანოები 6 ადამიანს გადაუნერგეს. დონორი შიდსით იყო დაავადებული. რამდენიმე ხანში ექვსივე პაციენტს გამოაჩნდა ეს დაავადება.

ორგანოების გაყიდვა ოფიციალურად არცერთ ქვეყანაში არ არის დაშვებული, თუმცა ბევრგან შეიძლება ახლო ნათესავების მიერ „ნაჩუქარი“ ორგანოების გამოყენება. ზოგჯერ კურიოზებიც ხდება. ერთი აფრიკელი ეპისკოპოსი მრევლს უქადაგებდა შეეწირათ ორგანოები და ამის სანაცვლოდ სასუფეველში მოხვედრას ჰპირდებოდა.

როდესაც ორგანოების გადანერგვაზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ განვიხილოთ კიდევ ერთი საკითხი — ესაა ერთი ქალის ორგანიზმიდან მეორე ორგანიზმში განაყოფიერებული კვერცხუჯრედის გადანერგვა. პირველი კომერციული სუროგატული ბავშვი 1985 წელს დაიბადა. 1991 წელს ერთმა ქალმა გააჩინა ტყუპი... შვილიშვილი. მის ქალიშვილს, რომლის ორგანიზმიდანაც გადმონერგეს კვერცხუჯრედი, საშვილოსნო არ ჰქონდა.

დასავლეთში ფართოდ გავრცელდა კვერცხუჯრედებით ვაჭრობა. დონორებს 2 ათას დოლარამდე უხდიან. ზოგჯერ კვერცხუჯრედებისა და სპერმის დონორები, აწევე სუროგატული დედები სარჩელს აღძრავენ სასამართლოში და ითხოვენ მშობლობის უფლებას. ასეთი საქმის წარმოება საკმაოდ ძვირი უჯდებათ მოპასუხეებს და, როგორც წესი, მსგავსი პროცესები ურთიერთგარიგებით მთავრდება — მოსარჩლე დამატებით ფულს იღებს და ორივე მხარე კმაყოფილი შორდება ერთმანეთს. ხშირია ამ ნიადაგზე წარმოქმნილი კრიმინალური შემთხვევებიც, რომლებსაც ფართოდ აშუქებს ხოლმე დასავლეთის პრესა.

ჩვენთან, ცხადია, ტრანსპლანტაციებს ისეთი ხშირი გამოყენება არა აქვს, როგორც დასავლეთში. ეს, უბირველეს ყოვლისა, რთული აპარატურის უქონლობით აიხსნება. აღსანიშნავია ისიც, რომ მსგავსი ოპერაციის ჩატარება 150 000-დან ნახევარ მილიონ დოლარამდე ჯდება. თუმცა დასავლეთში ჯანმრთელობის დაზღვევის ხარჯზე მთლიანად იფარება ხოლმე სამკურნალოდ განკუთვნილი თანხა.

ვასილ გაბუნია

გახსოვდეთ:

რეკლამა „კოკა-კოლას“ გვერდზე ყველაზე პრესტიჟულია !

TIWO

სხვადასხვა სახის პროდუქციის ექსპორტი და იმპორტი საფრანგეთსა და გერმანიაში, საქონელზე ექსკლუზიური უფლებების გადაცემა, იურიდიული და სავაჭრო დოკუმენტაციის გაფორმება, რეკლამა — ამ და სხვა მრავალი სახის მომსახურებას გთავაზობთ ფირმა

TIWO

მისამართი: გერმანიაში: D-66740 Saarlδuis, St. Avolderstr. 69
Tel. (49)6831
Fax (49)6831
საფრანგეთში: F-57503 St.Avold (CEDEX).
Route De Longeville B.P.96
Tel.t (33) 87/292970
Fax (33) 87/913978
Telex 860318

IGA INTERNATIONAL

ფირმა „აი-ჯი-ეი“-ს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ იცნობენ, როგორც სანმედო პარტნიორს. კომერციული პროდუქციის გარანტირებული მიწოდება, ტვირთების გადატანა, იურიდიული და სხვა სახის მომსახურება — „აი-ჯი-ეი“-სთან პარტნიორობა განგიმტკიცებთ თქვენი ბიზნესის წარმატებისადმი რწმენას.

მისამართი: 380079 თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N 50

ტელ.: 22-39-79, 23-03-99, 29-46-25, 29-46-30

ფაქსი: (8832) 223999

TEEKANNE

ფირმა „თეექანას“ შავმა ჩაიმ კარგა ხანია, სახელი გაითქვა მთელს მსოფლიოში. გარდა ამისა, ფირმა ამზადებს ასკილის, პიტნის, გვირილისა და ხილის ნაყენის დასამზადებელ კონცენტრატებს. „თეექანას“ პროდუქციის შემოტანის ექსკლუზიური უფლება ეკუთვნის ფირმა „კოკა-კოლა კავკასიონს“, რომელიც დაინტერესებულ პირებს სთავაზობს „თეექანას“ პროდუქციის მიწოდებას საქართველოს და რუსეთის, აგრეთვე СНГ-ს ნებისმიერ ქვეყანაში.

„თეექანა“-ზე ყველგან მაღალი მოთხოვნილებაა!

მისამართი: წერეთლის გამზ. N 114
ტელ.: 34-26-20

სულ ახლახანს „კიკოლას კლუბთან“ შეიქმნა გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამეცნიერო ცენტრი. მან სასწრაფოდ მიზნად დაისახა ემხილებინა ის გაყალბებული სოციოლოგიური გამოკითხვები, რომლებიც სხვადასხვა გაზეთებში ქვეყნდება. გაფსისაცემ (გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამეცნიერო ცენტრმა — აქ და ქვემოთ და, საერთოდაც, ასე შემოკლებული ფორმით იქნება ხოლმე იგი მოხსენიებული) 13-16 ნოემბერს ჩაატარა ქ. თბილისის მოსახლეობის როგორც სატელეფონო, ასევე პირადი გამოკითხვა პირდაპირ ქუჩაში, რაც მორალურ-ფიზიკურად საკმაოდ ძვირი დაუჯდა — ერთ შემთხვევაში გინება, ხოლო მეორე შემთხვევაში — ცემა-ტყეპა დაიმსახურა. გამოკვლევაში ნებსით თუ უნებლიეთ მონაწილეობდა თითქმის განსაზღვრული რაოდენობის არცთუ შემთხვევით შერჩეული პირი.

რესპოდენტებს ეძლეოდათ ღია კითხვები სხვადასხვა ცხოვრებისეულ პრობლემებთან დაკავშირებით (სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და ა.შ.). გამოკითხულნი არანაირად არ ყოფილან პასუხებში შეზღუდულნი, არამედ — პირიქით.

გამოკვლევების შედეგები ასეთია:

ეკონომიკა

რამდენ კვნიტა შაქარს ჭამთ თვეში?



0.1[illegible] %-მა პასუხის გაცემა ვერ შეძლო და პირი გააწკლაპუნა.

პოლიტიკა

მოგწონთ თუ არა ზვიად გამსახურდია?

A — მომწონს

B — ძალიან მომწონს

C — ყველაზე მეტად მე მომწონს



პასუხის გაცემისაგან თავი არავის შეუკავებია.

მწერლობა

იცნობთ თუ არა გურამ პეტრიაშვილის შემოქმედებას?

A — არა

B — ვერა

C — მარ[illegible]



0,001 პროცენტმა პასუხის გაცემისგან თავი ძლივძლივობით შეიკავა.

მცირე კომენტარი:

მიღებული შედეგები[illegible] ყურადღებია ის გარემოება, რომ ჩვენი მოსახლეობა მივიდა სწორ და ჯანსაღ დასკვნამდე — [illegible] ჯანმრთელობისათვის ფრიად და ერთობ მავნებელია — იგი დიაბეტს აჩენს, კბილებს აცვენს, [illegible] ამეჩხერებს, სმენას აქვეითებს, თვალებს აელმებს, გონებას აჩლუნგებს.

ბევრი შაქრის ჭამის შედეგი იყ[illegible], რომ არჩეულ იქნა ზ. გამსახურდია, რომ ქალს არ მიეცა თავისი — ქალის ადგილი და რომ მთელი საქართველო გურამ პეტრიაშვილის ქადაგებასა და რჩევა-დარიგებებს ისმენდა.

გაფსისაცე კვლავაც ააგრძელებს თბილისელების სოციოლოგიურ გამოკითხვას და პერიოდულად გამოაქვეყნებს რ[illegible]ორც მის შ[illegible]ებებს, ასევე ღრმა ანალიტიკურ კომენტარებს. ასე რომ, ყურადღებით იყავით — ნუ მიეძალებით შაქრს.

გაფსისაცე